


# სურათი იტვი

ს მ ბ მ ს ი ს

ყ ვ ე ვ ი ს ი



ეთნოგრაფის ნაგებობი

გამომცემლობა  
„საბოთა საქართველო“  
თბილისი  
1965

ლენინგრადში, მდინარე ნევის ნაპირას, ძველებურ სამსართულიან შენობაში მოთავსებულია სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი. ამ მუზეუმში ინახება უნიკალური ექსპონატები, რომლებიც ყველა კონტინენტის ხალხების ცხოვრებასა და ყოფაზე მოგვითხრობენ. თითქმის ყოველ ნივთს, რომლის ნახვაც მუზეუმში შეიძლება, თავისი საინტერესო ისტორია აქვს.

მუზეუმის ზოგიერთი ექსპონატის „ზოგრაფია“ დაედო საფუძვლად ლენინგრადელი ეთნოგრაფის რ. იტსის წარმტაცი და პოეტური მოთხრობების სიუჟეტებს. ავტორს მკითხველი შეჰყავს დედამიწის სფეროს სხვადასხვა კუთხეში დასახლებული ხალხების ცხოვრებასა და ყოფაში. ციმბირი და ცეცხლოვანი მიწა, დანია და ჰავაის კუნძულები, კონგო, ტიბეტი და კამჩატკა, — აი „ლოტოსის ყვავილის“ გმირების მოქმედების ადგილები.

Рудольф Фердинандович Итс

Цветок лотоса

(На грузинском языке)

Издательство

«Сабчота Сакартvelo»

Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

1965

## წინასიტყვა

მახსოვს, ბავშვობაში ვკითხულობდი ფანტასტიკურ მოთხრობას: ოთახში უცებ ალაპარაკდნენ კედლები. ისინი აღარ დუმდნენ, რადგან გენიალურმა გამომგონებელმა გამონახა საშუალება აღედგინა ოდესღაც აქ მკლერი ადამიანის ხმები. და კედლებმა მსოფლიოს გაანდეს იმის შესახებ, რისი მოწმენიც იყვნენ — ჩხუბსა და შერიგებებზე, მეგობრობასა და მტრობაზე, სიყვარულსა და სიძულვილზე.

სინამდვილეში ასეთი რამ საეჭვოა. მაგრამ ნივთების ალაპარაკება მაინც შეიძლება. მათ შეუძლიათ მოგვითხრონ არა მარტო ახლობელზე, არამედ ძალზე შორეულზეც. და არა მარტო რომელიმე ბინაში მცხოვრებთა საუბრებზე, არამედ გაცილებით უფრო საყურადღებოსა და მნიშვნელოვანზე — ხალხის ცხოვრებასა და შრომაზე.

ასეთი ძალა გააჩნია ისტორიულ მეცნიერებას, განსაკუთრებით მაშინ, თუ მას ეხმარება მისი ერთი მნიშვნელოვანი დარგი — ეთნოგრაფია. რუსულ ენაში არსებობს სიტყვა, რომელიც საკმაოდ ზუსტად გადმოგვცემს ამ უცხოური შესიტყვების აზრს: ხალხთმცოდნეობა.

წიგნი, რომელიც ხელში გიჭირავთ — საბჭოთა სწავლული ეთნოგრაფის მოთხრობებია. მათში თითქოს ცოცხლებიან საგნები, რომლებიც უკვე მრავალი წელია ინახებიან ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო მუზეუმის — ლენინგრადის პეტროვსკის „კუნსტაკამერაში“: მამონტის ეშვის კოვზი; ბუდისტური წიგნი — მწვანე ნეფრიტის რვა თხელი ფინი; — წაწვეტებული და გამომწვარი ხის ნაჭერი — ავგაროზი შორეული აფრიკიდან, ჩიტის ბუმბულების ლაბადა — ჰავაის კუნძულების ნაკეთობა; თვითეულ ნივთში ჩანს მისი შემქმნელი

ხალხის ოსტატობა, ადამიანთა, ზოგჯერ მთელი ხალხების ოხვრა და ცრემლები, რომელთა ხსოვნასაც ეს ძვირფასი მოწმეები ასე სათუთად უფრთხილდებიან.

იმისათვის, რომ გაცოცხლდნენ და ალაპარაკდნენ ნივთები, საჭიროა მეცნიერის ცოდნა და მხატვრის წარმოსახვა. ლენინ-გრადელი ეთნოგრაფის მოთხრობები მისი პირველი ცდაა, და ეს ცდა ვგონებ წარმატებით დამთავრდა, მიუხედავად იმისა, რომ მოთხრობები წარსულზეა და ზოგიერთ შემთხვევაში შორეულ წარსულზეც, ისინი მაინც თანამედროვეა, იმიტომ რომ გვასწავლიან უბრალო ადამიანების დაფასებას და ჩვენს პლანეტაზე დასახლებული ხალხების მრავალგვარობის გავებაში გვეხმარებიან.

ისინი გვასწავლიან აგრეთვე, რომ არ არსებობს მაღალი და დაბალი რასა, არ არსებობს ხალხი დაბადებული მონებად ან ბატონებად, მბრძანებლებად ან დამორჩილებულებად. ხალხები თანასწორნი არიან, თუმცა მათ შორის არიან დიდებიც და პატარებიც. ჩვენ უნდა ვაფასებდეთ მათ შრომას და ბრძოლას, მათ წვლილს მსოფლიო კულტურის საგანძურში და მათ ვაეკაცურ რწმენას უკეთეს მომავალში.

მოთხრობები არა მარტო ყურადსაღები, არამედ საინტერესოცაა. ისინი საშუალებას გვაძლევენ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ, თუ რა ვორ მუშაობენ ეთნოგრაფები, რისთვის აკეთებენ ამას, ვისთვის და რისთვისაა საჭირო მათ მიერ დიდი შრომით და ხელოვნებით მოპოვებული ცოდნა.

ცოცხალი, დაუცხრომელი ინტერესი როგორც თავისი, ისე მსოფლიოს სხვა ხალხების ცხოვრებისადმი რუსული კულტურის დამახასიათებელი და ღირსშესანიშნავი თვისებაა. წიგნში არის მოკლე მოთხრობა იმის შესახებ, თუ როგორ მოხვდნენ პეტერბურგში მოხატული მარხილები, რომლებიც ახლაც ინახება „კუნსტაკამერაში“. ამ მარხილებით ჩამოვიდნენ კამჩადალები — ცოლი და ქმარი, სასწრაფოდ გამოძახებულნი მხოლოდ იმისთვის, რომ გაერთოთ უკუყო და მკაცრი დედოფალი ანნა იოანეს ასული. ეს ძალიან სამწუხარო ისტორიაა, რომელიც მოწმობს, რა იაფად იყო შეფასებული მე-



ფეხების მიერ ადამიანის, განსაკუთრებით კი უცხო ტომელის სიცოცხლე.

ამასთან, უნებლიეთ გაგონდება, რომ რუსეთის სახელმწიფოს დედაქალაქმა კამჩატკაზე მიავლინა არა მხოლოდ მეფის მონები, არამედ ისეთი ნიჭიერი ადამიანები, როგორც იყო გამოჩენილი რუსი მოგზაური და ეთნოგრაფი სტეფანე კრაშენინიკოვი.

კრაშენინიკოვის წიგნს „კამჩატკის მიწის აღწერა“ იცნობდა და ყურადღებით სწავლობდა ა. პუშკინი. შემონახულია მონახაზი მისი სტატიისა კამჩატკის შესახებ. პუშკინი მასში წერდა იმ რუს ადამიანებზე, რომელთაც გადაკვეთეს მთელი ციმბირი და მიაღწიეს ყინულოვან ზღვას:

„გამოჩნდნენ გამბედავი ვაჟაკები, დაუჯერებელ წინააღმდეგობებსა და საშიშროებაში რომ მიისწრაფვოდნენ მტრულად განწყობილ და ველურ ტომებს შორის... და უშიშრად სახლდებოდნენ თავიანთ უმწეო საპყრობილეებში“.

სტატია, დაწყებული პოეტის სიკვდილის წელს, დაუმთავრებელი დარჩა, მაგრამ ნაწყვეტი მოწმობს, რომ პუშკინს სურდა დაეწერა იმ ადამიანების მამაცობაზე, რომლებმაც კამჩატკა რუსულ მიწად აქციეს და მის სამეურნეო ათვისებას დასაბაბი მისცეს.

გამბედაობა და გმირობისადმი მისწრაფება გვხვბლავს ჩვენ პრევეალსკის, კოზლოვის, არსენიევის, იმ რუსი მკვლევარების ნაშრომებში, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს აზიის ხალხებისა და ბუნების შესწავლაში. ვ. არსენიევი არა მარტო მოგზაურობდა — მან შექმნა მისი გასაოცარი დერსუ; დაუვიწყარი სახე მცირე ხალხის წარმომადგენლისა, ნანაელისა, რომელშიც რუსმა მწერალმა და მოგზაურმა ნახა მეგობარი, ტაიგის მკოდნე და მაღალი სულის ადამიანი. პ. კოზლოვმა არა მარტო გათხარა მკვდარი ქალაქი ხარახოტი, არამედ კაცობრიობისათვის შემოინახა ტანგუტსიკური დამწერლობის ძეგლები — კარგა ხნის წინათ დაშლილი სახელმწიფოს კულტურის ფასდაუღებელი სიმდიდრე.

თუ ჩვენ შევეცდებოდით გლობუსზე აღგვენიშნა ყველა ის წერტილი, სადაც რუსი მოგზაურები ხალხური ზნე-ჩვეულებ-

ბებისა და ყოფის მკვლევართა კეთილშობილური მისიით იყვნენ, ასეთი წერტილი არცთუ ცოტა აღმოჩნდებოდა. ამ მკვლევართა შორის იყვნენ ისეთი ჰუმანისტები და კაცობრიობის მეგობრები, როგორცაა მიკლუხო-მაკლავი:

საბჭოთა ადამიანისათვის ღრმად გასაგებია ინტერესი სხვა ხალხების, მათ შორის იმ ხალხების ცხოვრებისადმი, საუკუნეების მანძილზე კოლონიური ჩაგვრის ქვეშ, სიღარიბესა და უცილობაში რომ იმყოფებოდნენ. ჩვენ ვიცით, რომ აფრიკის, აზიის, ამერიკის, ყველა კონტინენტის ხალხებს შეუძლიათ წარმოშვან გმირები, რომლებიც სიცოცხლეს არ დაზოგავენ თანამემამულეთათვის უკეთესი, დამოუკიდებელი, ამაყი და ღირსეული მომავლის გზის საჩვენებლად. პატრის ლუმუმბას თანამედროვეთ გვესმის, რომ ჩაგრული ხალხების თავისუფლება ბრძოლებში მათი საუკეთესო შვილების გმირობის საფასურად მოიპოვება.

სწავლული ეთნოგრაფების მუშაობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენს დროში, როცა აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის ხალხები დამოუკიდებლობის გზაზე გამოდიან და ისწრაფვიან უფრო ღრმად შეისწავლონ თავიანთი წარსული, სწევენ რა ამით უფრო მალა ნაციონალური თვითშეგნების დონეს.

ამიტომ, მე მგონია, რომ საბჭოთა მკითხველი ინტერესით შეხვდება ახალგაზრდა მწერლის, საბჭოთა ეთნოგრაფის რ. იტისის ამ წიგნს. სასურველი იქნებოდა, რომ მისი ცდა კეთილ მაგალითად იქცეს და დედამიწის სფეროს ხალხებზე ახალი საინტერესო წიგნების ნაკადი გამოიწვიოს.

ეთნოგრაფია მეცნიერებაა, რომელიც ვითარდება; მის მიერ შესასწავლი ობიექტების რიცხვი სულ უფრო და უფრო იზრდება. იცვლება მუშაობის მეთოდებიც, ისინი მდიდრებიან თანამედროვე ტექნიკის მიღწევებით, რაც მკვლევარებს კიდევ უფრო სრულყოფილ სამეცნიერო აპარატს აძლევს.

მრავალი წლების მანძილზე საზღვარგარეთელი მეცნიერები შეუძლებლად თვლიდნენ ცენტრალური ამერიკის ძველ მკვიდრთა — მაიას ხალხის იეროგლიფური დამწერლობის წაკითხვას. საბჭოთა მეცნიერმა ი. კნოროზოვმა იპოვა ამ

იეროგლიფების გასაღები. ამ წარმოუდგენელი სირთულის ამოცანის გადაწყვეტა მან შეძლო იმიტომ, რომ მთლიანად ეყრდნობოდა ისტორიული მატერიალიზმის მეთოდებით შეიარაღებული საბჭოთა მეცნიერების გამოცდილებას. ახლა კი მის დასახმარებლად მოვიდა ელექტრონიკა. „გონიერი“ მანქანა დაეხმარება მეცნიერს საბოლოოდ გაშიფროს მათას დამწერლობა, ჩაწვდეს მის ძველ კულტურას.

დიდი ხანია მიწყნარდა სი-სიას გამქრალი ენის ბგერები, რომლის გამოკვლევაზედაც მეოთხედი საუკუნის წინ მუშაობდა პროფესორი ნ. ა. ნევსკი. იგი სწავლობდა ამ ენას პ. კ. კოზლოვის მიერ ხარა-ხოტოდან გამოტანილი ტანგუტსიკური ხელნაწერებისა და წიგნების მიხედვით.

ამჟამად ამ სამუშაოებს ლენინგრადში აგრძელებს ე. ი. კაჩანოვი. ახალგაზრდა მეცნიერს დიდი რაოდენობის ხელნაწერებისა და წიგნების გარჩევა ელის. ვინ იცის, რა სიახლეს გავიგებთ მისგან გარდასული ხალხისა და მისი სახელმწიფოს შესახებ. შემდეგ კი შორეული წარსულის ხმები უეცრად აღდრდებიან ჩვენთვის.

შეიძლება ბევრი ახალგაზრდა მკითხველისათვის ამ წიგნში შესული მოთხრობები მეცნიერების დიდი და ნათელი სახლის მხოლოდ პირველი საფეხური აღმოჩნდეს.

ი. ინოზემცევი.



## შესავლის ნაცვლად

მოხუცმა გვერდზე გადადო თვითნაკეთი რანდა, რომლითაც ნავისათვის ფიცრებს თლიდა და მიწოდებული პაპიროსი აიღო. აუჩქარებლად დასრისა იგი ძარღვიანი ხელების გრძელი თითებით და სანამ გააბოლებდა, თქვა:

— შენც ცოტა აჩქარებულიყავ, ყმაწვილო, თორემ წვიმა წამოვა და შეიძლება ქარბუქიც დაგესწროს. ხედავ, ლიუდსკის ქვებზე ნისლი — მოროგი ჩამოწვა.

მე ვიცქირებოდი შორს და ვხედავდი მხოლოდ მთის მაგიდასავით სწორ წვერს. მისი თოვლის ქუდი ჯერ კიდევ ჩაუსვლელი მზის შუქზე ბრწყინავდა.

იმეორპოლარეთის ტბა, რომლის ნაპირზედაც ჩვენ ვსაუბრობდით, მშვიდი იყო. პირდაპირ ჩვენს წინ კუნძულია, ხოლო აი იქ, ასე თორმეტ კილომეტრზე, პატარა მოსახვევთან, ჩრდილო ნაპირი. დაბლობში, არყებსა და ფოთლოვანებს შორის, არყის ხის ქერქით გადახურული ოთხი თავწვეტიანი ლატანი დგას. ზაფხულობით მათში ცხოვრობენ კეტები — მონადირეები და მეთევზეები, ჩემი თანამოსაუბრის თანამემამულენი, ძველი და ძალზე მცირერიცხოვანი ხალხი ციმბირის მიწისა. მათი მეჩხერი სოფლები და კოლმეურნეობები ენისეის და მისი შენაკადების გასწვრივ ას კილომეტრზეა გადაშლილი. კეტები სულ ათასი კაცია.

დამწერლობის უქონელ ხალხს — კეტებს, არ გააჩნიათ მატრიანე. მათი წინაპრების საქმიანობა დაიკარგა წარსულ საუკუნეებში, მათი ისტორია გამოუცნობია და უკვე ას წელზე მეტია ამ ხალხის წარმოშობა სწავლულებისათვის გადაუქრელ პრობლემას წარმოადგენს.

ამბობენ, რომ იმ კუნძულზე, რომელზედაც ახლა წყლის

მსუბუქი მიმოქცევის გამო იბზარება და იმსხვრევა ყინულას უკანასკნელი ვიწრო ზოლი, ძველ ფიჭვებში ადამიანები პოულობენ ისრების რკინის ბუნიკებს. ოდესღაც ამ უზარმაზარ ტბის ნაპირებზე ევენკები ცხოვრობდნენ. ორმოცი წლის წინათ მათი კარვებიდან ბოლი ამოდიოდა და წყლის ზედაპირს სქელ ნისლად ეფინებოდა. ასე ბევრი იყვნენ ისინი. ახლა კი აქ მხოლოდ კეტები ცხოვრობენ.

საინტერესო და ოდნავ საიდუმლო ხალხია. მე ყურადღებით ვაკვირდებოდი მოხუცს და დაუფარავად ვტკბებოდი მისი ცქერით. იგი სიტყვაძუნწი იყო. თქვა თუ არა ამინდზე, ადგა, გადაადგო პაპიროსი და ჩიბუხი ამოიღო, თითქოს სრულიად არ აინტერესებდა საუბარი, რომელიც ჩვენს შორის თითქმის ორი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. მსოლოდ ტუჩების კუთხეებში ეტყობოდა ძნელად შესამჩნევი ჩაცინება, ოდნავ მოჭუტულ თვალებში კი — ცბიერება. ვითომდა, კიდევ რა გინდაო, ყმაწვილო? მთელი დროის განმავლობაში მე მხოლოდ ვეკითხებოდი მას, ის კი აუჩქარებლივ მიაპობდა.

სანამ მოხუცი ჩიბუხს აბოლებდა, ვფიქრობდი თუ რაზე აჯობებდა მეკითხა. ნიშნებზე, რომლითაც იგი იგებდა ავდრის მოახლოებას თუ მთის უცნაურ სახელწოდებაზე? ღამის სამი საათი იყო. პოლარულ დღეებში შრომითი ცხოვრება იწყება ღამით, როდესაც ივლისის სიცხე ცხრება და მსუბუქი ნიავი უთვალავ კოდოს გაფანტავს.

— საიდან აქვს მთას ასეთი სახელწოდება?

მოხუცი ჩემსკენ მობრუნდა:

ასე დაარქვეს მას ევენკებმა. აქ ხომ მათი ადგილებია. ლაუდსკის ქვებზე მე შენ ვერაფერს გეტყვი, სხვებს კითხე, აი, შენ გაგიგია ტელოზე?

მოხუცმა ჩაიცინა. იგი იჯდა, როგორც ყოველთვის — განზრახ გულგრილი. მე გაგონილი მქონდა ტელოს, ზღაპრული ურჩხულის, შესახებ, მასზე ყველა ისე ლაპარაკობდა, როგორც რეალურ არსებაზე. ხანდახან მეჩვენებოდა, რომ ეს სიმართლეა და უარყოფა უხერხული იქნებოდა, მთხრობელი კი პასუხს ელოდა. იტყვი, რომ ეს ზღაპარია — აწყენინებ, ხოლო

იმის დამტკიცება, რომ ეს მონაგონია — არ შეგიძლია. ძალიან ცოტა იცი ტელოს შესახებ! მე ვუპასუხე:

— ერთხელ კი მოვისმინე, მაგრამ შენ გიმოწმებდნენ, მოხუცო.

მოხუცი სოფელში ხელშეუხებელი ავტორიტეტით სარგებლობდა და ჩემი სიტყვები ჯეროვნად მიიღო.

— მე ტელო არ მინახავს, ტყუილს ვერ ვიტყვი, მაგრამ იგი დაინახა ჩემმა ძველმა მეგობარმა ევენოკმა, — აქ მან დაასახელა იმ ადამიანის გვარი, რომელსაც ჩვენ მოგზაურობის დროს შევხვდით. შენ ალბათ უკვე იცი, ყმაწვილო, რომ ტელო თევზი არ არის, მაგრამ წყალში კი ცხოვრობს, მას თავზე ორი უზარმაზარი კბილი აქვს: როდესაც ყინვები დააქერს და წყალს იყინება, მაშინ ეს კბილები ყინულს ზემოთაა ამოშვერილი. ტელო ზამთარს წყალში ატარებს. ერთხელ, დაახლოებით ოცდახუთი ზამთრის უკან, ევენოკი ტყეში ფიჩხის მოსაპკრელად წავიდა აიღო თოკი, ცულღ და მიდის, გავიდა ტბასთან. ტბაზე ლიპი მაგარია, თხილამურებისა და ირმების გარეშე შეიძლება გავლა. ირმები, კვალს რომ არ გამოყოლოდნენ, ნაპირზე დაბა, თვითონ კი პირდაპირ მეორე ნაპირს მიაშურა ფიჩხის მოსახებად. მიდის, მიდის და უეცრად ყინულში ჩავარდა. მიფრინავს ორმოში და რაღაც რბილს დაეჭახა. ზემოთ პატარა კუჭრუტანაა, ცა ჩანს, მაგრამ როგორ ააღწიოს იქამდე, არ იცის. ნახა სად ჩავარდა და მიხვდა, რომ შავი ტელოს ზურგზე წევს. ეშინია ევენოკს განძრევის, მაგრამ ტელოს სძინავს და ვერაფერს გრძნობს. ხედავს, წინ, ორას საყენზე, თავიდან კბილებია ამოშვერილი, ორი უზარმაზარი კბილი...

მოხუცმა გახსნა ქისა, გატენა ჩიბუხი, და ქვეშ-ქვეშ მიყურებს როგორია მისი ნაამბობი? მე ყურადღებით ვუსმენ და თან ვფიქრობ: ესეც შენი „ცოცხალი ურჩხული“. მოხუცი სერიოზულია, ჩანს ამ ამბავს არაერთხელ მოყოლია და ყველაზე უფრო ექვიანი ღიმილის ეშინია. მოხუცმა ხელით გაისწორა გრძელი, სწორი, ჭაღარა თმები და გააგრძელა:

— ფიქრობდა ევენოკი, როგორ გადარჩენილიყო და ბოლოს, ფრთხილად გახობდა ტელოს თავისაკენ. გახობდება ცოტაზე, გაჩერდება, ტელოს სძინავს, არაფერს გრძნობს. და

აი, მიხიხდა. ხელში თოკი და ცული ეჭირა, რომლითაც იგი შეშაზე წავიდა. აილო თოკი, მაგრად მიაბა ერთ კბილზე, ხოლო მეორე ბოლო ხელზე დაიხვია, ასწია ცული და ტელოს კბილებს შუა დაარტყა. ტელომ გაიღვიძა, წამოვარდა, დაამტვრია ყინული და გრივალისგან გამოვარდა გარეთ. კბილი, რომელზედაც თოკის ბოლო იყო მიბმული, მოტყდა და ევენოკი ბიძგისაგან შორს გადავარდა. ხელში შერჩა ცული და თოკი კბილის ნატეხით. ტელომ ტბაზე მიმოფანტა ყინული, გამოჩნდა წყალი და სიღრმეში დაიკარგა. ევენოკი ნაპირზე აღმოჩნდა, შემოაჯდა ირემს და სახლისკენ გასწია. ამ დროს მე მის კარავთან ახლოს არგიშს — ირმების სადგომს ვაკეთებდი. ვნახე, როგორი მოვიდა ის და ყველაფერი მისგანვე მოვისმინე.

მოხუცი ცოტა ხანს გაჩერდა და შემდეგ დაუმატა:

— აბა, რას იტყვი ამის შესახებ, ყმაწვილო, არსებობს ტელო, თუ არა?

იგი პირდაპირ თვალეებში მიყურებდა და მე მივხვდი, რომ პირფერობა არ შეიძლებოდა, მაგრამ პასუხის ნაცვლად უეცრად ჩემს გონებაში ნათლად გაიელვა ფრაზამ მეცნიერ ანთროპოლოგთა ნაშრომებიდან: „ფიზიკური თვისებებით კეტები განსხვავდებიან თავიანთი ძველი მონგოლოიდური მეზობლებისაგან და ყველაზე მეტად სამხრეთამერიკელ ინდიელებს გვაგონებენ“. ჩემს წინ მჯდომი მაღალი, ხმელ-ხმელი, გრძელი სახის მოხუცი ორბისებური ცხვირით, დროდადრო ჩიბუხს რომ აბოლებდა, სწორედ ინდიელს მაგონებდა. მხოლოდ ბუმბლიანი ქუდი და ტომაგავკა აკლდა. მსგავსება განსაკუთრებით სარწმუნო იყო მაშინ, როდესაც მოხუცი ძველ ხალხურ სიმღერებს მღეროდა. ხმა ხან ლალი ჩიტივით აფრინდებოდა მაღლა, ხან კი მიწას ეფინებოდა ყრუ ქუხილივით. სიმღერაში იყო ყველაფერი — სულიერი ძალა, შიში, ჩივილი, იმედი და სიხარული. ყოველივე ჩვეულებრივი ქრებოდა, რჩებოდა შორეული ცა, მთები, ტაიგის თვალუწვდენელი სივრცე და უზარმაზარი კოცონის ალი, რომელიც მზისკენ მიიკლაკნებოდა. მე მესმოდა, როგორ მღეროდა ის.

შევხედე მოხუცს. იგი პასუხს ელოდა, მე კი იმ მსგავსებაზე



ვფიქრობდი, რომელსაც მივაგენი და ძალაუნებურად გავი-  
ლიმე.

— შენ არ გჯერა. იცინი! არა?

მოხუცი უცებ წამოდგა და სახლისაკენ გაემართა. მე  
ვერ მოვასწარი მეთქვა რამე, დავიბენი და არ ვიცოდი  
როგორ მოვქცეულიყავი. უეცრად ძლიერმა ქარმა დაუბერა.  
ცაზე ღრუბლები მიცოცავდნენ, მოხუცის წინასწარმეტყვე-  
ლება მართლდებოდა. აჩქარება იყო საჭირო, მე ხომ მეთევ-  
ზეებისათვის ის ნავი უნდა მიმეყვანა, რომელიც ამ ოთხმოც-  
დაათი წლის მოხუცმა დაამზადა. დარწმუნებული ვიყავი, რომ  
იგი განაწყენდა.

სახლის კარი გაიღო. პატრონი გამოვიდა, მომიახლოვდა  
და ძველებური კეტური კოვზი მომაწოდა. იგი არაჩვეულებ-  
რივი იყო, ხის კი არა, ძვლისა. მოხუცმა ხელში მომაჩეჩა და  
გაბრაზებით მითხრა: — აჩქარდი, ყმაწვილო, ქარი უკვე შე-  
ნელდა.

მან მსუბუქად მიბიძგა ნავისაკენ. ის იყო ნაპირს უნდა მოვ-  
ცილებოდი, რომ კოვზი მომაგონდა, რომელიც მაგრად მქონ-  
და ხელში ჩაბლუჯული.

— რატომ მომეცი ეს?

მე მივუახლოვდი მოხუცს, მან გაიცინა და ჩაილაპარაკა:

— შენ ხომ არ გჯერა ტელოს შესახებ. როდესაც ვვენო-  
კის სიტყვები გავიგონე, არც მე დავიჯერე, დავცინოდი მას.  
მის ბინას რომ ვტოვებდი, მოვიდა ჩემთან და ძვლის სქელი,  
მრგვალი ნაჭერი მომაწოდა. მე ასეთი ძვალი არასოდეს მენა-  
ხა. „შენ არ გჯერა ჩემი, — მითხრა ვვენოკმა — აი აიღე — ეს  
ტელოს კბილის ნაჭერია“. ზამთრის გრძელ ღამეებში, როდესაც  
კაცს მხოლოდ ზღაპრების თხრობა და მოსმენაღა სია-  
მოვნებს, მე იმ ნაჭრიდან კოვზს ვაკეთებდი. შენ არ გჯერა  
ტელოს შესახებ, — წაიღე, ასეთი ძვალი არა აქვს არც დიშბას,  
არც ირემს, არც დათვს. ეს ტელოსია. აიღე და სწრაფად წადი,  
თორემ მალე ტალღები აიშლებს.

მოხუცი შებრუნდა და წასვლა დააპირა, მაგრამ როდესაც  
მე საჩუქარი ყურადღებით დავათვალიერე და წამოვიყვირე,  
შეჩერდა.

— ეს ხომ მამონტის ეშვია, მოხუცო, ეს მამონტია!

— როგორც გინდა, ისე უწოდე, მაგრამ ჩვენებურად ეს ტელაა.

მოხუცი გაჰყვა სახლისაკენ მიმავალ ბილიკს. მე მოვაცილე ნავი ნაპირს და ნიჩბები მოვუსვი.

ცა შედებოდა, საცაა ჭექა-ქუხილი დაიწყებოდა, 'მე კი მხიარულ გუნებაზე ვიყავი. ნავს ზურგის ქარი მიასრიალებდა, დავაწყვე ნიჩბები და კოვზს ვათვალღერებდი. მართლა სასაცილოა არა? უკანასკნელი წლების მანძილზე რამდენი გონიერი ადამიანი ამაოდ აფორიაქებს ძებნით ხელშეუხებელ იდუმალ არსებებს მხოლოდ ფუჭი ოცნებების და გამონაგონის საფუძველზე. ხშირად ექსპედიციებსაც კი გზავნიან იეტების დასაჭერად. მე ხელთ მაქვს დამუშავებული კოვზი, მაგრამ ხომ არავინ მიიღებს სერიოზულად. მოწოდებას, რომ გავემგზავროთ ენისეიზე ცოცხალი მამონტების საქებნელად. სასაცილო და ცოტა საწყენიცაა, რომ ბრძენ მოხუცს სჯერა ტელოს არსებობა.

ბავშვებსაც ხომ სჯერათ. ზღაპრების. დევ-გმირებს და ჯადოსნებს ისინი სინანულით მხოლოდ მას შემდეგ შორდებიან, როცა უკვე დიდები ხდებიან.

რამდენიმე თვის შემდეგ მე შეეხვდი ევენოკს, მან მანახა ადგილი, სადაც მამონტის ეშვი იპოვნა, სიცილით მიაშვო, თუ როგორ შეთხზა მთელი ეს ისტორია და გამიმეორა ზღაპარი, რომელიც მას ბაბუისგან ჰქონდა განაგონი.

მზე ღრუბლებს მოეფარა და მეც ნიჩბები მოვუსვი.

\* \* \*

მდინარე ნევის მეორე ნაპირზე, საადმირალოს პირდაპირ დგას დიდი სამსართულიანი შენობა. ფასადით იგი მდინარისაკენაა მოქცეული. მის ცენტრში კოშკია, რომლის გუმბათზე ოქროთი მოვარაყებულნი, ერთმანეთში გადახლართული ექვსი განიერი სალტე ბრწყინავს. სალტეებს შიგნით ოქროს გლობუსია. ეს ძველებური ასტრონომიული ხელსაწყო არმილიარული სფეროა.

მესამე სართულის მრგვალ დარბაზსა და კოშკში მოთავსებულია მიხეილ ვასილის ძე ლომონოსოვის მემორიალური მუზეუმი. შენობის დანარჩენ ნაწილში და მინაშენის მარჯვენა ფრთაზე სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმიცაა განლაგებული. აქვეა მოთავსებული სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების კაბინეტები.

ფართო და ნათელ დარბაზებში კარადები და ვიტრინებია. მუზეუმის ვესტიბიულში კი შორეული ქვეყნების სამყაროში ვხვდებით, სადაც ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ სხვადასხვა კულტურისა და ყოფის ადამიანები.

მუზეუმში ინახება ამერიკელი ალუტების ქუდები და ატაბასკის ტომის, ინდიელების ნატის ტანსაცმლის მსოფლიოში ერთადერთი კოლექცია; ვიტრინებში განლაგებულია ცეცხლოვანი იარაღების და ბოტოკუდას ტომების — სამხრეთ ამერიკის განადგურებული ან შემორჩენილი ინდიელების, აზანდების და მანგბეტუს — ძველი აფრიკელი ხალხების მიერ შექმნილი იშვიათი ნივთები; ბრინჯაოსი და ძვლის ნაკეთობები კოლონიზატორების მიერ გადაღწვარი აფრიკის ქალაქ ბენინიდან. მეორე სართულზე ჩვენ ვხვდებით გასაოცარი „მოლაპარაკე ხის“ — „რონგი-რონგოსა“, და შობის კუნძულის დამწერლობის ძეგლების სამყაროში, ვხვდავთ ადამიანის ხელით შექმნილ ნაკეთობებს პავაის კუნძულებიდან და ხუან-ხეს ველიდან, განგის ნაპირებიდან და მზიური ინდონეზიიდან. ჩვენ წინ იშლება დედამიწის ყველა დასახლებული კონტინენტის ცხოვრება.

რუსი მეცნიერები და მოგზაურები, ჩვენი ქვეყნის მეგობრები, ორ-ნახევარი საუკუნის განმავლობაში ავსებდნენ მუზეუმის სიმდიდრეს და იგი ახლა სამართლიანად ითვლება მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ ეთნოგრაფიულ კრებულად;

მუზეუმს კუნსტკამერას უწოდებენ არა მარტო ლენინგრადელები, არამედ ჩამოსულებიც. ეს სახელწოდება, რაც „იშვიათობის პალატას“ ნიშნავს, პეტრე პირველმა უწოდა ძველებური ნივთების კოლექციებს, რომლებმაც შემდგომში სა-

ფუძველი ჩაუყარეს ჩვენს ქვეყანაში ექვსი აკადემიური დაწესებულების შექმნას, მათ რიცხვში ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმსაც.

პეტერბურგის კუნსტაკამერა მხოლოდ ათი წლითაა უმცროსი ნევის ნაპირას გაშენებულ ქალაქზე.

ერთხელ პეტრე პირველი ვასილიევის კუნძულების პრეობრეჟენსკის სასროლზე ჩავიდა. ამ უდაბნო ნაპირზე მისი ყურადღება ერთმა ფიჭვმა მიიპყრო. ჯადოსნურად გადახლართული რამდენიმე მსხვილი ტოტი ხის ტანზე შეზრდილიყო, მოღუნულიყო და ნახევარ რგოლებს ქმნიდა.

ო! ხეო — საფრთხობელა, ხეო — სასწაულო! — შესძახა პეტრემ და დაუმატა:

— ამ ადგილზე მოეწყოს ახალი კუნსტაკამერა.

მუზეუმში ახლაც შეიძლება ნახვა ფიჭვის ნახევარრგოლებიანი, დამტვერიანებული ღეროსი, რომელმაც მეხსიერებაში შემოინახა ეს ამბავი, იგი დგას თვალსაჩინო ადგილზე, მესამე სართულის დერეფანში, სადაც კუნსტაკამერის კოლექციების პირველი ექსპონატები ინახება.

\* \* \*

ფიჭვის ღეროს ისტორია ჩემთვის ცნობილი იყო, მაგრამ იმ დღიდან, რაც იქ, ენისეიზე ჯერ მოვისმინე მონათხრობი, ხოლო შემდეგ თვით გავხდი მამონტის ეშვისაგან დამზადებული კოვზის მფლობელი, მე შემიპყრო აზრმა, ხომ არ შეიძლება მივცეთ ნივთებს საშუალება თვითონვე ალაპარაკდნენ თავისთავზე, ხომ არ შეიძლება მუზეუმის ჩვეულებრივი ექსპონატებიდან აღმოვაჩინოთ ახალი, ჯერ კიდევ უცნობი სამყარო. ჩემი ამხანაგები მრავალი წლების განმავლობაში დღემდე ამ ნივთიერი ძეგლების მიხედვით აღადგენენ ძველი ხალხების ისტორიას. კუნსტაკამერის ძველი კედლები ინახავენ კოლექციებს, რომლებიც დღეს მეგობრობისა და მშვიდობის საქმეს ემსახურებიან.

მე კვლავ ჩამოვიარე დარბაზები, ვაცქერდებოდი კარადებს, ვიტრინებს და კოლექციის ყოველი მღუმარე საგანი ჩემს

თვალწინ იმოსებოდა სიუჟეტით, იქცეოდა საფუძვლად საოცარი მოთხრობებისა მისი ოსტატის და იმ ხალხის შესახებ, რომელთა შორისაც ცხოვრობდა და ჭმნიდა ეს ოსტატი.

წარსულიდან ცოცხლდებოდნენ ადამიანები, მოვლენები რეალური ხდებოდნენ, ჩნდებოდნენ უცნობი ქვეყნები. კუნსტკამერის კედლებში იღუმალად გამეფებულიყო ცოტა გაურკვეველი და საიდუმლო სამყარო. ღირდა შევდგომოდი შოგ-ზაურობას წიგნების თაროებზე; არქივებსა და მატრიანეში მისი პოვნისა და ამოხსნის ერთადერთი მიზნითა და იმედით.

## გოტორპის გლობუსი

გამვლელებს რამდენიმე დღის განმავლობაში ტანჯავდა ცნობისმოყვარეობა იმის გამო, თუ რატომ ანგრევენ მუშები ფახჩრებს შორის კედელს კუნსტკამერის კოშკის მეხუთე სართულზე. როგორ აძლევს ამის უფლებას ძეგლების დაცვა?! — ფიქრობდნენ ზოგიერთები, დამწუხრებულნი აქნევდნენ თავს და ფრთხილად უვლიდნენ გარს შენობას.

1950 წლის გაზაფხული იყო, ყველგან ღებავდნენ ფასადებს, აქ კი, ამ ძველი მუზეუმის კოშკზე. კედელი დაშალეს, ბლოკები გაამაგრეს, ეს უკვე სრულიად გაუგებარი იყო, ნუთუ ახლა საკიდელას ჩამოჰკიდებენ და ღობის ამოშენებას დააწყებენ? გაუგებრობა ჩქარა გაიფანტა: როდესაც კუნსტკამერასთან მოგორდა დიდი, ხუთტონიანი მანქანა სამ მეტრზე მეტი დიამეტრის სფეროთი, ცნობისმოყვარეთა შორის გამოჩნდნენ ისეთებიც, რომელთაც ყველაფრის განმარტება შეეძლოთ.

ჰეი, გაუფრთხილდი! — გაისმა ზემოდან.

ქვევით მდგომნი ხედავდნენ, როგორ მიცოცდა ნელ-ნელა სფერო კრილამდე და შემდეგ — როგორ შეიტანეს იგი კოშკში. ბათქაშის რამდენიმე მსხვილი ნაგლეჯი ჩამოვარდა და ტროტუარზე დაეცა. ხმელ-ხმელმა მოხუცმა სიამოვნებით დაისრისა ხელები და ხმამაღლა წარმოთქვა:

— ო, მადლობა ღმერთს, გოტორპის გლობუსი ადგილზეა.

— როგორ თქვით? გოტორპის? თქვენ ხომ არ გეშლებათ?

მოხუცმა ნაწყენივით დაბრიცა ტუჩები.

მე, ახალგაზრდავ, ვიცი და მიყვარს პიტერის ისტორია, ხოლო ეს გლობუსი — იგივე ქალაქის ისტორიაა.

ნუ გეწყინებათ, მაგრამ ახლა თქვენ შეცდით. საქმე იმაშია, რომ...

ახალგაზრდა რილაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ბრბომ სტვენა დაუწყო. როცა დაუძახეს, მან ხელი ჩაიქნია და კუნსტ-კამერისაკენ წავიდა.

მოხუცმა განაწყენებულად აიჩეხა მხრები, ცნობისმოყვარეებისათვის არაფრის მოყოლა აღარ მოინდომა და ნელი ნაბიჯით გაცილდა იქაურობას. ბრბო ნელ-ნელა დაიშალა ისე, რომ მაინც ვერ გაიგო, ეს რა სფერო დააყენეს კოშკზე...

ქარი ბალტიკიდან შავ ღრუბლებს ერეკებოდა. დილის სქელი ნისლი გაიფანტა, მაგრამ სივრცეს სველი თოვლის მსხვილი ფიფქები მოეფინა, შლეზვიგ-გოლშტინისკის საჰერცოგოს ციხე-ქალაქი ტეპინგენი პირქუშად გამოიყურებოდა. ვიწრო ქუჩებში სახლები ყრუდ დახურული დარაბებით იდგა. იშვიათად თუ გამვლელი გაიქცევა და მოსახვევში მიიმალება. სიწყნარეა. ისმის მხოლოდ ბაღრაგების ფეხის ხმა და იარაღის ჩხარუნი. ყველა, ვისაც მოძრაობა შეეძლო, უკვე რამდენიმე დღეა ციხე-სიმაგრის კედელზე იმყოფება, თავის ალყაშემორტყმულ ქალაქს შეედებისაგან იცავს. სიჩუმე და დამქანცველი მოლოდინი სუფევდა ქალაქში. მტერი ახალი იერიშისათვის ემზადებოდა.

დადუმდა ჩვეულებრივ ხმაურიანი გოტორპის ციხე-დარბაზი. მოზრდილების დაძაბულობა მცირეწლოვან ჰერცოგსაც გადაედო. მან თამაშს თავი დაანება და ციხე-დარბაზში დაეხეტებოდა. ქუჩაში თოვლ-ჰყაპია. მას ეზოში გასვლის უფლებაც კი არ მისცეს. ციხე-დარბაზი პატარა კვადრატულ კუნძულზე იდგა. ღრმა თხრილებზე ხიდეები იყო გადებული, როჭლებიც ახლა აეწიათ. თხრილის გარშემო მაღალი ხეები იზრდებოდა. ჰერცოგი შეკრთა, როდესაც ქალაქის მხრიდან ზღვის მიმოქცევის მსგავსი მზარდი ხმაური გაისმა. შვედები ხელმეორედ გადმოვიდნენ იერიშზე.

ბრძოლის ხმაური ისევე უეცრად შეწყდა, როგორც დაიწყო. სიწყნარე ჩამოვარდა, შემდეგ კი ციხე-დარბაზამდე მჭექარე შეძახილებმა მოაღწია. ჰერცოგი ცდილობდა, ფანჯრის რაფაზე ამძვრალიყო, რომ დაენახა რა ხდებოდა ქა-

ლაქში. მეურვე, რომელიც მოუშორებლად იდევნებდა თვალ-  
ყურს, მასთან მიიჭრა და იატაკზე ჩამოსვა. მცირეწლო-  
ვანი მბრძანებელი ტირილს აპირებდა, მაგრამ ხიდების  
ჩამოსაშვები მექანიზმების ნაცნობმა ხმაურმა იგი აიძულა  
ყურადღება დაეძაბა. ახლა უკვე მეურვე მივიდა ფანჯარასთან.  
ციხე-დარბაზს სწრაფად უახლოვდებოდა მხედარი. რამდენიმე  
წუთის შემდეგ იგი უკვე დარბაზში შემოვარდა და, დაივიწყა  
რა ეტიკეტის შესახებ, სიხარულით შესძახა:

— თქვენო უბრწყინვალესობავ! რუსები! შვედები გარ-  
ბიანი

1713 წლის ბოლოს რუსები ტეპინგენს მიაღწენ. ისინი  
აღყაშემორტყმული დანიელების დასახმარებლად ისწრა-  
ფოდნენ. როდესაც ქალაქის დამცველები შვედების ახალი  
იერიშის შესახვედრად ემზადებოდნენ, ციხე-სიმაგრის კედ-  
ლებს იქით, შორს, ბორცვებზე მჭექარე მრავალხმიანი „ურა“  
გაისმა.

ზვავად მოდიოდნენ დროშაგაშლილი რუსების პოლკები.  
მტერი აწრიალდა და გაიქცა. ქალაქელები სიხარულითა და გა-  
კვირვებით იცქირებოდნენ აქეთ-იქით. ბრძოლა სულ უფრო და  
უფრო შორს მიდიოდა. მრავალთვიანი აღყა დამთავრდა.

თოვლით დაფიფქულ მიწაზე დარჩა მიტოვებული გვამები,  
ქალაქი კი უკვე იღებდა სადღესასწაულო სახეს. გაიხსნა ცი-  
ხე-სიმაგრის ალაყაფი, ფართოდ გაიღო სახლების კარებები და  
ფანჯრები. ყველგან აინთო კაშკაშა ლამპრები. ცოტა ხნის წინ  
მოქუფრული ცა თითქოს განათდა.

გოტორპის ციხე-დარბაზის წინა მოედანზე სადღესასწაუ-  
ლო ფეიერვერკის მაშხალები შუშხუნებდა. მცირეწლოვანი  
ჰერცოგის მეურვე ციხე-დარბაზში იღებდა რუსეთის მეფეს  
და მის ოფიცრებს. მდიდრულ სუფრაზე რუსეთის იარაღის დი-  
დებისა და თვით ცნობილი სტუმრის — პეტრე პირველის სა-  
დღეგრძელოები წარმოითქვა. იცოდა რა პეტრე პირველის გა-  
ტაცება ძველებური ნივთებით, მეურვემ მას ციხე-დარბაზის  
კოლექციების დათვალიერება შესთავაზა. პეტრე სწრაფად წა-  
მოდგა, წინსაფარი გადააგდო და მასპინძელს გადაეხვია:



— აი ეს კარგია, ჩვენ გაგონილი გვაქვს თქვენი სიმდიდრის შესახებ.

მასპინძელთან ერთად ყველამ დერეფნებსა და ვიწრო გადასასვლელებს მიაშურა. ქვედა სართულის დიდ დარბაზში იყო ოქროს ხმლები და ძვირფასეულობით მოვარაყებულნი ფიალები, წყლის მექანიზმიანი საათები და ძვლისაგან გამოქრილი ფანტასტიკური ცხოველებიც.

პეტრეს ყურადღება 3,11 მეტრის დიამეტრიანმა უზარმაზარმა გლობუსმა მიიპყრო, იგი შეჩერდა და ყურადღებით დაუწყო თვალიერება. გლობუსს გარედან ქალაღი ჰქონდა გადაკრული. მასზე დედამიწის კონტური და მოხაზულობა ეხატა. შიგნიდან სფერო სპილენძის ვარსკვლავებიან, მეწამული ფერის ციურ გუმბათს წარმოადგენდა. პეტრემ ხელი დაჰკრა და ნელა წარმოთქვა:

— ჩინებულია.

მეურვემ გაიღიმა:

— თქვენო უდიდებულესობავ, ეს ჩვენი ციხე-დარბაზის ყველაზე ძვირფასი საგანძურია, რომელიც ჯერ კიდევ 1644 წელს დაამზადა ჩვენმა გოლშტინსკელმა ოსტატმა ანდრეი ბუშმა. მობრძანდით სფეროს შიგნით.

მეურვემ გააღო ჰერცოგისღერბიანი პატარა კარები და პირველი შევიდა.

ბინდბუნდში შეიძლებოდა გაგვეჩიხა მრგვალი მაგიდა, რომლის ცენტრშიც სფეროს ღერძი გადიოდა; მაგიდის გარშემო სკამი 10—12 კაციისათვის, მასზე კი — პატარა სპილენძის გლობუსი, რომელზედაც მატერიკის გამოსახულება იყო ამოკვეთილი. პეტრე სკამზე დაჯდა.

აანთეს სანათურები. თავზე და ფეხებს ქვეშ აბრწყინდნენ მეწამული ცის ვარსკვლავები. მეურვემ ნიშანი მისცა. ცამ დაიწყო ბრუნვა, რომელიც ციური სფეროს ნამდვილ მოძრაობას იმეორებდა.

— როგორ არის ეს გაკეთებული? ვინ ამოძრავებს ამ სასწაულს? — წამოიძახა გაკვირვებულმა მეფემ.

დარბაზის გარეთ, ნიშში ჰქრილი იყო. წყალი მილიდან მთე-

ლი ძალით ეცემოდა ფრთიან ლილვს, რომელიც ბრუნავდა და სფეროს ღერძის გარშემო აბრუნებდა.

პეტრე დიდხანს ათვალეირებდა გლობუსს და მის გონივრულ მექანიზმს, შემდეგ ჩაფიქრებულმა ჩაილაპარაკა:

— აი, ასეთი რომ მომცა დედაქალაქში.

რამდენიმე დღის შემდეგ რუსეთის ჯარები ტეპინგენს ტოვებდნენ. მათ მთელი ქალაქის მცხოვრებლები აცილებდნენ. მხოლოდ მცირეწლოვანი ჰერცოგი იწვა ლოგინში — იგი მაინც გაცივდა: დიდებული სტუმრების პატივისცემით გატაცებულ მეურვეს ბავშვი სულ დაავიწყდა.

პეტრე ტოვებდა ციხე-დარბაზს, მას მეურვე და ჰერცოგის მრავალრიცხოვანი ამალა აცილებდა. ცხენი რომ მოუყვანეს, მეურვე ამალას გამოეყო და რუსეთის მეფესთან მივიდა.

— თქვენო უდიდებულესობავ, ჩვენი ჰერცოგი გთხოვო ქალაქის გადარჩენისათვის სამარადისო მადლობის ნიშნად საჩუქარი მიიღოთ. მეურვემ ხელით უჩვენა ციხე-დარბაზის კარებზე, რომელიც იმ წუთში გაიღო; პეტრემ დაინახა დიდი სფერო, რომელმაც ალტაცებაში მოიყვანა იგი და გაიღიმა.

— მეფური საჩუქარია, გმადლობთ!

პეტრე ცხენს მოახტა.

ქუდი მოიხადა, თავი დაუკრა ყველა გამცილებელს და ჯარისაყენ გააქენა.

პოლშტინის საჩუქარი ოთხი წლის განმავლობაში იყო გზაში. ტეპინგენიდან რეველამდე (ასე ეწოდებოდა ადრე ქალაქ ტალინს) იგი ზღვით მიჰქონდათ, რეველში გლობუსი დიდ მარხილებზე გადატვირთეს. ასეული ყმა შეება მარხილში და ხევების, ქაობებისა და ტყეების შემოვლით პეტერბურგში წაიღეს. სადაც ტყის შემოვლა არ შეიძლებოდა, გასასვლელი იჭრებოდა.

პეტრეს განზრახული ჰქონდა ძვირფასი საჩუქარი ახალი კუნსტაკამერის ერთ-ერთ კოშკში მოეთავსებინა, მაგრამ მიუხედავად იმ დიდი დროისა, რაც გლობუსმა გზაში დაჰყო, დედაქალაქში ის მაინც კუნსტაკამერის მშენებლობის დაწყებამდე ჩამოიტანეს. „გოტორპის საოცრება“ დროებით სპილოების ყოფილ სადგომში — მხეცების ეზოში დადგეს, რომელიც

მაშინ საზაფხულო ბაღთან იმყოფებოდა. შემდეგ სპეციალური ფარდული შეკრეს და ხალხის შეშვება დაიწყო.

1726 წლის ივლისში ოცდახუთმა ხურომ გლობუსის და მისი მექანიზმებისათვის ბაგირები, საყრდენები, საფარები და ყუთები ააგო. ფარდულთან მოზიდეს ასი ათასი ყველაზე სქელი ფიცარი, ოთხმოცი მორი, თხუთმეტი ფუთი რკინა, ასი საყენი მსხვილი ბაგირი და სხვადასხვა ჭოჭონაქები. ნევის ნაპირზე სამი სატვირთო ხომალდი და სამი დიდი კანჯო მოიყვანეს და ერთმანეთზე ფიცრებითა და მორებით მიამაგრეს. გამოვიდა ჯერ კიდევ არნახული ზომის კარპაკი.

ასმა გლეხმა გლობუსი ფარდულიდან გადაათრია და კარპაკზე დატვირთა, ეკიპაჟმა მოუსვა ნიჩბები და კარპაკი ნელ-ნელა გაემართა საწინააღმდეგო ნაპირისაკენ, სადაც კუნსტკამერა შენდებოდა. როცა გლობუსი ასწიეს და კოშკის მესამე სართულის ბაქანზე მოათავსეს, მშენებლებმა დაიწყეს კედლების ამოყვანა და კოშკის დაშენება.

გამოდინდა, რომ არაჩვეულებრივი საჩუქარი სამუდამოდ ამოიქოლა კუნსტკამერაში.

\* \* \*

გავიდა მხოლოდ სამი ათეული წელი.

გრაფ რაზუმოვსკის რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტობის დროს ყველა საქმეებს განაგებდა აკადემიის კანცელარია და მისი გამგებელი იოჰან შუმახერი. ეს მლიქვნელი, წვრილი, მელიასებური სახის მოხუცი იმპერატორის კარზე დიდი კეთილგანწყობილებით სარგებლობდა.

მიხეილ ლომონოსოვი, ისევე როგორც მისი მეგობრები და კოლეგები — პალასი, რიხმანი, ნარტოვი და მილერი, შუმახერის მიმართ მტრულად იყო განწყობილი.

კუნსტკამერაში შუმახერის გამოჩენა ჩვეულებრივ იქ მომუშავეთა გაღიზიანებას იწვევდა.

ერთხელ მან გადაწყვიტა კუნსტკამერაში თავისი კანცელარია მოეთავსებინა და მექანიკურ სახელოსნოში მოინახულა მისდამი ყველაზე მტრულად განწყობილი ნარტოვი.

— შენ ძირს გადაბარგება მოგიწევს, აქ სამხატვრო პალატები იქნება.

ნარტოვმა გესლიანად უპასუხა.

— უნდა იცოდეთ, რომ იქ ინსტრუმენტები კი არა, მუშებიც ვერ ეტევიან!

შუმახერი ბრაზით გაწითლდა.

— ჰოდა, მათ გვერდით კამერებში გადაიყვან! მართალია, დიდები არ არის, მაგრამ გლენებისათვის ზედგამოჭრილია. პალატების ადგილას კანცელარია იქნება.

ნარტოვს კიდევ სურდა პასუხი გაეცა, მაგრამ შუმახერა წავიდა.

მისი დაჟინებით მექანიკური სახელოსნოს გადაადგილება და კანცელარიის შესახლებამ მთელ სათავსოებში სიმქიდროვე გამოიწვია. მუშებიც თვით კუნსტკამერაში დაასახლეს. 1747 წლის დეკემბერი იდგა. საცხოვრებელ საკნებში ღუმელების დანთება დაიწყო. შეიძლება მათი გაუმართაობა იქცა შექდეგი შემთხვევის მიზეზად.

5 დეკემბერს გუშაგები, როგორც ყოველთვის, შუალამის ორ საათზე შეიცვალნენ. ქარბუქიან დღეებში ბევრია ნამქერა. გუშაგი ევსეი სამი საათი დადიოდა კუნსტკამერის გასწვრივ. გამვლელები არ ჩანდნენ.

ევსეი გაშორდა შენობას და ნევის ნაპირისაკენ გაემართა. აქ მისი დაცვის ქვეშ იმყოფებოდა ღია სავაჭრო საწყობი. გუშაგმა შემოუარა ნავიგაციის ბოლოს შემოტანილი საქონლის ტილოთი თავგადაფარებულ ყუთებს და ნევის ყინულზე შედგა ფეხი.

ყინული ტოროსებში უცნაურად ჩატეხილიყო. ტეხილის წიბოები რალაცით ხიშტებაშლილ მწყობრს მოგვაგონებდა. ევსეის თვალი ზედ დარჩა, მოეჩვენა, რომ ყინულის ბასრ წიბოებზე განთიადის სხივები თამაშობდნენ. „ლამაზია“, — გაიფიქრა გუშაგმა და თვალეები ზეცას აღაპყრო. თენდებოდა, მაგრამ ლამის ცა ჯერ კიდევ ბნელი იყო. მან კვლავ გაკვირვებით შეხედა ყინულს, რომელზეც ნამდვილად თამაშობდნენ მოწითალო ანარეკლები. მიმოიხედა და სწრაფად გაიქცა კუნსტკამერისაკენ.

სახურავიდან ხმაურით ამორბოდნენ ცეცხლის გრძელი ენები. ცეცხლი თამაშობდა კოშკის მესამე და მეოთხე სართულების ფანჯრებში. ალი გიზგიზებდა მარცხენა ფრთაზე.

ევსეის რამდენიმე გასროლამ ფეხზე დააყენა ახლო მყოფი გუშაგები. რამდენიმე წუთში გარნიზონისა და ლეიბგვარდიის ქვეითი პოლკების ჯარისკაცებმა შენობას ალყა შემოარტყეს. ხანძრის ადგილზე მოვიდნენ ნარტოვი და ლომონოსოვი.

კოშკის ზედა სამი სართული იწვოდა. ცეცხლმა გაანადგურა კედლის ხის ტიხრები, იგი ემუქრებოდა „იმპერატორის კაბინეტს“, სადაც პეტრეს ჩარხები და რუსეთის პირველი იმპერატორის სანთლის ფიგურა ინახებოდა.

ნარტოვი ჯარისკაცებთან ერთად შევარდა ცეცხლში. მათ უკვე ბევრის გამოტანა მოასწრეს, ვიდრე ცეცხლმოკიდებული გოტორპის გლობუსი, დიდი ცეცხლოვანი სფეროს მსგავსად, იატაკს გაანგრევდა და დაბლა სართულში ჩავარდებოდა. მარცხენა ფრთის გალერეებიდან კოლექციების გადაჩენა შეუძლებელი იყო. ხალხი სასოწარკვეთილებას მიეცა.

დაბნეულ ბრბოში ლომონოსოვის ჰვარტლისაგან გაშაგებული დიდი ფიგურა აღიმართა.

— ვაის ძახილი კი არა, ვიდრე ცეცხლი მოედებოდეს, პირველი სართულიდან ნივთების გადაჩენაა საჭირო.

ხალხი ლომონოსოვის კვალდაკვალ შეცვივდა შენობაში და დაიწყო კარადებისა და დაზგების გამოტანა. გააღეს ფანჯრები. პირდაპირ წყვილიადში გადმოცვივდა წიგნები, სხვადასხვა ხალხების კოსტუმები, ჩონჩხები, ხელსაწყოები, მონსტრები და კერპები.

შუმახერი რომ გამოჩნდა, ხანძარი შენელებული იყო. იგი შიშით გაფითრებული დადიოდა თოვლში მიმოზნეული საგნების გარშემო და უმწეოდ შლიდა ხელებს.

— აბა, გამგებელო, კმაყოფილი ხარ შენი განკარგულების? — რისხვით ესროლა ლომონოსოვმა. — შენ შეასახლე ხალხი, შენვე ხარ მომხდარ ამბავში დამნაშავე.

შუმახერი არ უსმენდა, ანდა არ ესმოდა მისი. იგი მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ დაემალა მეფის კარისა, სენატისა და საზოგადოებისათვის ხანძრით მიყენებული ფაქტიუ-

რი ზარალი. მან თვალი მიმოავლო შენობას. ქარი ნელ-ნელა ფანტავდა კვამლს. თეთრლეგა საბურველში ნათლად ჩანდა დამწვარი შენობა ჩამონგრეული კოშკით და განადგურებული ზედა სართულებით. შუმახერი შეხტა კარეტაზე და კი არ დაიყვირა, როგორც ყოველთვის, არამედ წაიჩურჩულა:

— გრაფთან, სასწრაფოდ.

— გრაფმა ის-ის იყო დაამთავრა დილის ტუალეტი და უგუნებოდ იყო. მას არავის მიღება არ სურდა და მით უმეტეს შუმახერისა, რომელიც თავს აბეზრებდა თავისი მრავალრიცხოვანი ნათესავებისათვის რაიმეს თხოვნით. რაზუმოვსკი ის იყო აპირებდა ლაქიასათვის ეთქვა, არავის მივიღებო, რომ თვით შუმახერი შემოვარდა.

— თქვენო უბრწყინვალესობავ, უბედურებაა, კუნსტკამერა დაიწვა!

გრაფს მოულოდნელობისაგან ხელიდან სურნელის შუშა გაუვარდა და მუხლებზე დაცემულ გამგებელს უხეშად სტაცა მხრებში ხელი.

როგორ თუ დაიწვა, ნამუსგარეცხილო?

შუმახერი მისვდა, რომ გადაამლაშა და შედარებით წყნარად ჩაილაპარაკა:

— თქვენო უბრწყინვალესობავ, მთლიანად კი არა, მხოლოდ კოშკის ფრთები დაზიანდა უმნიშვნელოდ, ყველა ძვირფასი ნივთი გადარჩენილია, ხანძარი ძლიერი არ იყო, თქვენო უბრწყინვალესობავ.

რაზუმოვსკიმ შვებით ამოისუნთქა და სკამზე ჩამოჯდა.

— შენ კი შემაშინე. რას მიედ-მოედები, დაჯექი და დალაგებით მიაბე.

შუმახერმა გადაწყვიტა, არაფერი დაემალა და ყველაფერი გულახდილად უამბო დამწვარი ნივთებისა და გლობუსის შესახებ. გრაფი მოიღუშა. მოუსმინა გამგებელს, ჯერ დუმდა, ხოლო შემდეგ მკაფიოდ წარმოთქვა:

— მოემზადე, სასახლეში მივლივართ. ყველაფერს იქ ვიტყვით.

— თქვენო უბრწყინვალესობავ, რა საჭიროა სასახლის კარის შეწუხება? ათასი მითქმა-მოთქმა შეიქმნება; მოშურნენი

ყველაფერს თქვენს წინააღმდეგ შეატრიალებენ. ჩემის აზრით, უკეთესია, რომ აკადემიამ უწყებებში მოათავსოს ცნობა ხანძრის შესახებ, რითაც ჭორებს აღკვეთთ, ამასობაში კუნსტკამერასაც წესრიგში მოვიყვანთ.

შუმახერი შემპარავად და პირფერულად ლაპარაკობდა. გრაფმა გაბრაზებით შეხედა მას.

— გამგებელო, ძალიან ზრუნავ ჩემზე, შენ რა, გლობუსსაც ახალს გააკეთებ, თუ როგორ?

შუმახერი სინარულით ჩაეჭიდა ნათქვამს:

— თქვენო უბრწყინვალესობავ, გლობუსსაც გავაკეთებთ, თქვენ ამის შესახებ ნუ სწუხართ.

რაზუმოვსკი მოღუშული იჯდა, შემდეგ კი გაიცინა.

— მაშ ასე, დამიყოლიე. მხოლოდ იცოდე, თუ სენატმა კომისია. დააწესა, არ მიმტყუნო, თვითონ იცი, რაც იქნება, ახლა გასწი აქედან. სასახლეში კი მე მაინც წავალ.

შუმახერი გახარებული წამოვარდა, მაგრამ როგორც კი უკანასკნელ სიტყვებს მოჰკრა ყური, ისევ გაფითრდა:

— თქვენო აღმატებულებავ, სასახლეში თქვენ ყველაფერს ნუ მოჰყვებით. — რაზუმოვსკიმ წარბშეკვრით შეხედა გამგებელს:

— მე შენ გითხარი, გასწი, დაიკარგე-მეთქი, აქედან!

აკადემიის სხდომა შედგა 1747 წლის 8 დეკემბერს. „სანკტეტერბურგის უწყებებში“ გამოჩნდა ოფიციალური ცნობა ხანძრის შესახებ. ცნობა შედგენილი იყო თვით შუმახერის მიერ. მასში სხვათაშორის იყო აღნიშნული: „...ძვირფასეულობა და მხატვრული ნივთები, მანქანები, მოდელები და ხელსაწყოები, ასევე... ანატომიური პრეპარატები და კუნსტკამერაში მყოფი მხეცები, ფრინველები, თევზები და სხვა ნატურალური ნივთები, აგრეთვე ნაბეჭდი და ხელნაწერი წიგნები ბიბლიოთეკიდან — ყველაფერი მშვიდობიანადაა გამოტანილი და გადაჩენილი. ამრიგად, ძირითად დანაკლისს შეადგენს მხოლოდ ზოგიერთი ასტრონომიული ხელსაწყო და საათები, რომლებიც ობსერვატორიაში დაიწვა. მცირედ დაზიანებული გოტორპის დიდი გლობუსის მოწესრიგება თავისუფლად შეიძლება. ზოგიერთი ჩინური ნივთი, კაბები, კერპები და ციმბი-

რის ხალხების სხვა მათი მსგავსი უცნაურობები, ადვილად შეიძლება იმ ადგილებში ხელახლა შეიკრიბოს.

როდესაც რამდენიმე დღის შემდეგ „უწყებებში“ გამოჩნდა შუმახერის ახალი სტატია, გრაფმა რაზუმოვსკიმ გამოიძახა გამგებელი.

— შენ რა, ძმაო, ახალი გლობუსი უკვე ააგე?

— არა, თქვენო უბრწყინვალესობავ.

შუმახერი ძალაუნებურად შეკრთა, როდესაც ოთახში მოსიარულე გრაფი მკვეთრად შეჩერდა მის წინ და ცხვირში დახვეული გაზეთი შესჩარა.

— აბა რატომ წერ, რომ ამას წინათ ცნობილმა უცხოელმა გლობუსი მთელი ნახა. სტყუი, გამგებელო?

შუმახერი სდუმდა და ელოდა რა მოხდებოდა შემდეგ. გრაფი მაგიდისაკენ წაიწია, სავარძელში ჩაეშვა და განაგრძო:

— მაშ ასე, გამგებელო, ყველა შენი თვალთმაქცობის შედეგად პასუხს აგებ სენატის წინაშე, რომელმაც სპეციალური კომისია დანიშნა. სახე რატომ შეგეცვალა?

შუმახერი მართლაც გაფითრდა, ამას იგი უკვე აღარ მოელოდა.

— თქვენო უბრწყინვალესობავ, მიშველეთ, თუ ვინმე აკადემიიდან იქნება კომისიაში, ტაუბერტი მაინც იყოს.

გრაფმა არ უპასუხა, ხოლო იოჰან შუმახერი ფრთხილად გავიდა კაბინეტიდან.

მალე სენატმა დაამტკიცა კომისია, რომლის სათავეშიც ტაუბერტი დააყენეს.

— ტაუბერტი სათავეში? შუმახერის სიძე, მისი მამულის, საქმეების და ლამის აკადემიის მემკვიდრეც? აღშფოთებული იყო მიხეილ ლომონოსოვი.

— ისინი ხომ შუმახერთან ერთად დაიწყებენ მტკიცებას, რომ დიდი გლობუსი მთელია, თუმცა მისგან დაბლა სარდაფში ჩაყრილი რკინის სალტეებისა და კარის გარდა მთელი არაფერი დარჩენილა.



ეს ასეც მოხდა. სანამ ტაუბერტი კომისიის სახელით ხელისუფალთ არწმუნებდა, რომ არავითარი სერიოზული დანაკლისი არ არის, შემახერი და კანცელარია ეძებდნენ ხელოსანს, რომელიც ახალი გლობუსის დამზადებას შეძლებდა.

ინგლისელი საზღვაო ინჟინერი სკოტი, რომელმაც მათ თავისი სამსახური შესთავაზა, დიდხანს ათვალეირებდა რკინის სალტეებს, — ყველაფერს, რაც კი ძველი გლობუსიდან დარჩა და განაცხადა:

— მაშ, თქვენ გსურთ, რომ ახალი გლობუსი გავაკეთო? არა, გამათავისუფლეთ! და დაუმატა:

— თქვენ ვერ იპოვით ასეთ ხელოსანს.

ინჟინერი სკოტი შეცდა. საქმეს ხელი მოჰკიდა რუსმა ოსტატმა ტირიუტინმა. და მალე მნახველთათვის ახალი გლობუსის ჩვენება მართლაც შეიძლებოდა. გლობუსი ახლად აშენებულ კოშკში კი არ აიტანეს, არამედ კუნსტკამერის უკან, კოლექსიის მდებარეობაზე, თავისუფალ ადგილას აგებულ კარავში დააყენეს.

ახალი გლობუსი ისეთივე ზომისა იყო, როგორც გოტორპისა. მის შიგნით ღერძთან ისევე მიმაგრებული იდგა მაგიდა და სკამი. გლობუსის მოძრაობაში მოსაყვანად კბილათვალთან შეერთებულ სახელურზე დაკვერა იყო საჭირო. კბილათვალის აბრუნებდა ღერძს. სფეროზე შემორტყმული თითბერის სალტეები მერიდიანებს და პორიზონტებს განასახიერებდნენ. შიდა ნაწილში ლაქვარდი ცა იყო, მოოქროვილი მიხაკი-ვარსკვლავებით და დიდი და პატარა დათვის თანავარსკვლავედებით რაკასა, კოზეროგის და ღრაკონის მშვენიერი ნახატებით, რომელიც შუალამის ცის თალის თანავარსკვლავედს ქმნიდა. წინანდელი გლობუსი ქალღმერთთა აკრული ფურცლოვანი სპილენძისა იყო, ახალი კი ტირიუტინმა სპილენძის ფურცლებით შემოსა. ზემოდან ხეები დააწყო და მუშამბა დააკრა. მხატვრებმა მუშამბაზე მატერიკების მოხაზულობა, ახლად აღმოჩენილი კუნძულები და ქვეყნები აღნიშნეს. -

1752 წელს კარავში მოსულები ცნობისმოყვარეობით ათვალეირებდნენ ოსტატ ტირიუტინის გლობუსს. თუმცა მასზე ყველა წარწერა რუსულად იყო და არა გერმანულად, როგორც

გოლშტინსკისაზე, აკადემიის უფროსობა მაინც არ ივიწყებდა მნახველთათვის მისი ჩვენებისას ეთქვა:

— აი, ეს არის ხანძრის დროს სასწაულებრივად გადარჩენილი ცნობილი გოტორპის გლობუსი.



გადიოდა წლები, ათეული წლები, საუკუნეები და მხოლოდ ცოტამ იცოდა, რომ მათ წინაშე გოტორპის კი არა, ტირიუტინის მიერ გაკეთებული გლობუსია. ორასი წლის შემდეგ ლენინგრადში გამოვიდა წიგნი, სადაც პირველად იყო მოხსენიებული რუსი ოსტატის სახელი.

ხომ ხდება ასეც, რომ შესანიშნავი ნივთის ისტორია არ მთავრდება ძის დასრულებასა და გაკეთებასთან ერთად. 1829 წელს გლობუსის კარავი დაინგრა და ტირიუტინის სფერო აკადემიური „მუზეუმის“ შენობაში გადაიტანეს.

1901 წელს იგი ცარსკოე სელოში წაიღეს და საადმირალოს ერთ-ერთ დარბაზში მოათავსეს. აქ ინახებოდა „ტირიუტინის სასწაული“ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ და დიდი სამამულო ომის დღეებშიც.

1944 წელს საბჭოთა ჯარებმა გაათავისუფლეს ქალაქი პუშკინი. საადმირალო ნანგრევებად იყო ქცეული, ხოლო გლობუსი ან მისი ნარჩენები არსად იყო.

ომი დამთავრდა. ხანგრძლივი ძებნის შემდეგ იგი გერმანიის ქალაქ ლიუბეკში იპოვნეს. და ისევე, როგორც მისი წინაპარი ორასი წლის წინათ, ტირიუტინის გლობუსიც დატვირთეს გემზე. 1949 წელს იგი არხანგელსკში, ხოლო იქიდან სპეციალური სარკინიგზო ვაგონ-ბაქანით ლენინგრადში ჩამოიტანეს. ეს მოგზაურობა ასჯერ უფრო სწრაფი იყო, ვიდრე ის, რომელიც თავის დროზე გოლშტინსკის ჰერცოგის საჩუქარმა ჩაატარა მარხილებზე.

ლენინგრადული გაზაფხულის ერთ დილას მუშებმა კუნსტკამერის კოშკის მეხუთე სართულზე — „გოტორპის სასწაულზე“ ორი სართულით მალდა, ჭოჭონაქებით ასწიეს დიდი აკადემიური გლობუსი, ტირიუტინის მიერ შექმნილი ჩვენი ქვეყ-

ნის რელიკვია. ხმელ-ხმელი მოხუცი, რომელსაც გაგიჟებით უყვარდა თავისი ქალაქი, შეცდა, მაგრამ ეს მას უცოდინარობით მოუვიდა.

\* \* \*

დღეს, როცა ეს უზარმაზარი სფერო ბრუნავს, შიგ მსხდომნი ციური სფეროს მოძრაობას ხედავენ. გარეთ მყოფთა თვალწინ კი ბრუნავს დედამიწა თითქმის მივიწყებული ძველებური სახელებით და გლობუსის შემქმნელთათვის უცნობი მატერიკებისა და ქვეყნების, მდინარეებისა და ტბების აღმნიშვნელი თეთრი ლაქებით. ორასი წლის წინ ადამიანებმა არც ისე ბევრი იცოდნენ თავიანთი პლანეტის შესახებ.

და შესაძლებელია, ამ გლობუსის შემხედვარე, ბევრმა მკვლევარმა მოიხვეჭა გამბედაობა ახალი ქვეყნების აღმოჩენისათვის, სხვადასხვა უცხო ტომებისა და ხალხების შეცნობისათვის.

## მარხილი ჟინულოვანი სახლიდან

ტერენტი შადრინი შუბს დაეყრდნო და რამდენიმე ნაბიჯი გადადგა ფხვიერ თოვლზე, რომელსაც დადნობა ვერ მოესწრო. აი ის უკვე შიველუჩის ბორცვზეა.

მოკლე, კამჩატკური გაზაფხული კვალდაკვალ მოჰყვებოდა. თხილამურები უკვე აღარ იყო საჭირო. დამითაც კი აღარ ყინავდა. გაზაფხული ეშურებოდა, თოვლის ბორცვები წაელეკა და მზისათვის გაეხსნა გაყინული მიწის გული. შადრინი ჩქარობდა. გაზაფხულზე სახიფათოა მოსახლეობისაგან შორს ტაიგაში მარტო დარჩენა. რამდენიმე საათში თოვლიანი ველის მკვრივი ქერქი ფოროვან რუხ საფარად გადაიქცევა, მის ქვეშ კი თავისუფლებას მოწყურებული გაზაფხულის ნაკადულები იმალება. არც სიარული შეიძლება, არც ხოხვა, იყვირე, გაზაფხულით გაღვიძებულ ტაიგაში არავინ გამოგეხმაურება.

ტერენტიმ ეს იცოდა და იმიტომაც მიისწრაფოდა მწვერვალისაკენ. სადაც თოვლჭრილზე თავისუფლად შეძლებდა გზის გაგრძელებას.

მან როგორც იქნა შედგა ფეხი ხმელ ბალახზე. დადო თოფი, შუბი, გაიხანდა მალახაი და ჯუბა. თავისუფლად, ხალისიანად სუნთქავდა. ბაგეებთან პირქუში ნაოჭები გაუქრა... მთელი არსებით, მოუთმენლად ეწადა გზის გაგრძელება, მაგრამ თვითონვე იხშობდა ამ სურვილს. აგონდებოდა იმ განვლილ გზებს იქეთ დარჩენილი წარსული, ახლა რომ გაზაფხულის ცელქი ნაკადულები კვეთდნენ.

დაჯდა და გააბოლა. ვიდრე გზას გააგრძელებდა, ჯერ აზრის მოკრება იყო საჭირო. იცოდა ბორცვის მეორე მხარეს მისთვის ახალი ცხოვრება იწყებოდა. სურდა მომავალ-

ზე ეფიქრა, მაგრამ თვალწინ წარსულის სურათები ცოცხლდებოდნენ.

ჯერ ოცდაათისა არც კია და უკვე რამდენი აქვს განცდილი. ტერენტი განცვიფრდებოდა, მისთვის რომ გეთქვათ ახლა 1711 წელიაო. ნუთუ ამდენი ხანია, რაც სამშობლო დასტოვა? ახლა ალბათ იქაც გაზაფხულია. სამშობლო! როგორია იგი? ტერენტის არ ახსოვდა. იგი იშვიათად იგონებდა თავის სამთავარანგელოზოს, ღირდა კი? მშობლები ერთად დაეხოცნენ, როდესაც ცხრა წლისაც არ იყო. ორი წელი მეზობლებში მუშაობდა, შემდეგ კი მეპატრონემ საბადოებზე გაგზავნა. მისი წლებისათვის შეუფერებლად ახოვან ტერენტის მხოლოდ მძიმე სამუშაოს აძლევდნენ. მის ზურგზე ხშირად გადაუვლია მოიჯარის მათრახს, იგი კი მხოლოდ ტუჩებს კუმშავდა ჭიუტად. შეიძლება ბედად მადაროში დაღუპვა ეწერა, მაგრამ ცამეტი წლისა რომ იყო, გაიქცა. დიდხანს იხეტიალა გუბერნიაში, შემდეგ ურალისპირს მიაღწია. თავი შემთხვევით ნაშოვნის პურით გაჰქონდა, ზაფხულობით ღამეს მინდორში ან ტყეში ათევდა. ზამთარი რომ დადნა, ერთ გულჩვილ მიკიტანთან გადაბარგდა.

ერთხელ მოხუცმა მიკიტანმა თავის შვილობილს პურის ყუა მოუტეხა და ჩაილაპარაკა:

— კარგი იქნებოდა კაზაკებში წასულიყავ, ტერენტი. ლტოლვილად დიდხანს ვერ გაძლებ, კამჩატკაზე კი ყველა თავისუფალი იქნებით.

ტერენტიმ, რომელიც ხარბად კბეჩდა პურს, მოხუცს შეხედა, შემდეგ ჩაეფიქრა და თქვა:

— ბიძიავ, რა არის ეს კამჩატკა, რა უნდა გააკეთონ კაზაკებმა იქ?

— კამჩატკა სამეფოს ახალი ოლქია. იგი ციმბირს იქეთაა. კაზაკები იქაურ ხალხებში ხარკს აგროვებენ. მას სხვადასხვა ნადირის ტყავით იღებენ სამეფოს ხაზინისათვის.

მოხუცმა ტერენტის ბურახის კათხა მიუწია, ამოიოხრა და გააგრძელა:

— შესულიყავი, ტერეშა, კაზაკებში, რაც არ უნდა იყოს, მეფის სამსახურია, ტანსაცმელს მოგცემენ, სასმელ-საჭმელიც.

იქნება. ამბობენ, არც მიწაა ჩვენსაზე ნაკლები. იქაურებს ხარკის გადახდა არ სურთ და ჯანყდებიან. კაზაკები მეფეს ამისათვის სჭირდება. ტყუილად კი ჯანყდებიან! თუ მეფის კაცი ხარ, მეფეს უნდა გადაუხადო. მე ათშაურიანებით ვიხდი, გლეხი პურიით, ისინი — ტყავებით. ასე რომ, წადი კაზაკებში, ტერენტი.

გარეთ ქარბუქი მძვინვარებდა, ტერენტის დიდხანს არ ეძინა, მან კარგად იცოდა, რაც იყო მეფისა და მებატონის სამსახური, მაგრამ მალულად ცხოვრებაც მობეზრდა.

მალე ის მიკიტანს დაემშვიდობა და კაზაკებთან ერთად წავიდა კამჩატკაზე.

კამჩატკაზე მაშინ ორი ტომის ხალხი ცხოვრობდა. მათ კაზაკები კორიაკებს და იტელმენებს, ანუ კამჩადალებს უწოდებდნენ. ისინი ველებზე, მდინარეების ნაპირებზე სახლდებოდნენ. დასახლება განსაკუთრებით დიდი იყო მდინარე კამჩატკის გაყოლებით. კაზაკები კი ბოლშერეცკის ქვედა და ზედა კამჩატკის ციხე-ქალაქებში ცხოვრობდნენ. ატამანი მათ წელიწადში რამდენჯერმე გზავნიდა მკვიდრ მოსახლეობაში ხარკის შესაგროვებლად. ტერენტიმ არა ერთხელ შეამჩნია, რომ სამეფოს ხაზინისათვის იგი მთელი ხარკის მხოლოდ ერთ მესამედს ტოვებდა და უჩიოდა მის მექრთამეობას.

რაც უფრო დიდხანს იყო ტერენტი მეფის სამსახურში, მით უფრო ხშირი უთანხმოება ჰქონდა ამხანაგებთან, რომლებიც ხარკის დიდ ნაწილს ითვისებდნენ. მას სცხვენოდა, როდესაც თითქმის მეხუთეჯერ უხდებოდა შესვლა ერთი და იმავე კორიაკის სახლში, თუ ამხანაგებიდან ახლოს არავინ ეგულებოდა, ისე სტოვებდა შეშინებულ სახლის პატრონს, რომ სახეში არც კი უყურებდა. რითი იყვნენ კაზაკები იმ ყაჩაღებზე უკეთესნი, რომლებსაც იგი გუბერნიაში ხეტიალისას ხვდებოდა? მალე ტერენტი თითქმის მთელ ციხე-ქალაქს წაეჩხუბა და მონასტრის მცველად წავიდა.

ბორცვის თბილ და ნოტიო მიწაზე ჩამომჯდარი ტერენტი დიდხანს აბოლებდა. მეხსიერებაში მზიან ცაზე მოფარფატე ღრუბლების დარად ირეოდნენ ძნელად დასაეიწყარი წარსულის სურათები. წამოწოლა და შორეული ცისათვის ცქერა მო-

უნდა. თავი ასწია, მაგრამ უეცრად დაიგმინა და კისერზე წაიყლო ხელი: მთელ სხეულს პერანგის საყელომდე მისდევდა ფართო, ლურჯი ნაჭრილობევი. შეიკმუხნა:

— წყეული ბორკილები...

ჩვეულებრივი ხის ბორკილები, რომელთაც დამნაშავეებს ადებენ.

ყველაფერი იმ დღიდან დაიწყო, როდესაც მღვდლებმა მას ძველი კამჩადალის ტოიონ ტიგელის ნათლობაზე დასწრება უბრძანეს. ტერენტის შემჩნეული ჰქონდა, რომ მღვდლები, ისევე როგორც ატამანები, გამორჩენის მოყვარულნი არიან და თავის მხრივ მოსახლეობიდან ხარკსაც კი კრეფენ.

ტერენტი ორი კაზაკის და მღვდლის თანხლებით მივიდა ტიგელის სამყოფელოში მდინარე ელოვკაზე, შიველუჩის მწვერვალის იქითა მხარეს. წეს-ჩვეულებისათვის თითქოს ყველაფერი მზად იყო. მღვდელი კი წრიალებდა და არ იწყებდა. რაღაცას უჩიჩინებდა თარჯიმანს. დაბალი ტანის, წყნარი ტოიონ ტიგელი თარჯიმნის გვერდით იდგა. ზაფხულის ღრუბლიანი დღე იყო, წვიმას ეპირებოდა და ნათლობის დაჩქარება იყო საჭირო. ტერენტიმ ყური მოკრა, რომ მღვდელი ნათლობის საფასურსა და რაღაც ტყავებზე ლაპარაკობდა და სახეზე სისხლი მოაწვა. სწრაფად მივიდა მღვდელთან და გვერდზე გაიყვანა:

— მამაო, კურთხევა ანგარების გარეშე უნდა ჩატარდეს. მღვდელმა გაბრაზებით შეხედა კაზაკს, მაგრამ როდესაც ტერენტის მრისხანე სახე დაინახა, დაიბნა. ტიგელმა ყველაფერი შენიშნა, გაიგო და ოდნავ გაიღიმა. შეიძლება მაშინ პირველად მოხდა, რომ კამჩატკაზე ნათლობის წეს-ჩვეულების შესრულებისათვის მღვდელმა არაფერი მიიღო.

რამდენიმე დღის შემდეგ მღვდლის დასმენით ტერენტი შეიპყრეს, ციხე-სიმაგრეში წაიყვანეს და ბორკილები დაადეს. მან იცოდა, რომ კამჩატკაზე დანაშაულის გარჩევას არავინ დაიწყებდა და ისე, უბრალოდ ჩამოახრჩობდნენ. მაგრამ, როგორც ჩანს, ბედმა ბუნებრივი სიკვდილი არგუნა. ერთხელ, როცა ფარდულის კედლებს იქით სროლა და ყვირილი გაისმა და კარები გაიღო, იგი მიხვდა, რომ კაზაკთა ვოლნიცა ხე-

ლახლა აჯანყდა ატამანის წინააღმდეგ. აჯანყებულებმა პატიკ-რებს ბორკილები ახსნეს. ტერენტი თავისუფალი აღმოჩნდა.

მან ჯერ კიდევ დასჯის მოლოდინში გადაუსვა ხაზი ყველაფერს, რითაც წინათ ცხოვრობდა და ახლა, თავისუფლების მიღებისთანავე გადაწყვიტა სამუდამოდ დაეტოვებინა ციხე-სიმაგრე და მეფის სამსახური. ტერენტი ისევე, როგორც სხვებო მასზე ადრე, კამჩადალებთან წავიდა. საჭიროა მხოლოდ მწვერვალიდან დაშვება და იგი უკვე ტოიონ ტიგელის სამფლობელოში იქნება. იქ ახალი ცხოვრება უნდა დაიწყოს. ტერენტი წამოდგა და ხმამაღლა წარმოთქვა:

— გამოსავალი ერთია — კამჩადალებთან წასვლა.

იგი სწრაფი ნაბიჯით გაემართა ამ ახალ, ჯერ კიდევ უცხო ცხოვრებასთან შესახვედრად. რამდენიმე საათის შემდეგ მის თვალწინ ვრცელი დაბლობი გადაიშალა. რა ვუყოთ, რომ ახლა, ამ ადრე გაზაფხულზე, ეს დაბლობი ბინდით იყო მოცული. ტერენტის იგი ისეთივე ახსოვდა, როგორიც ზაფხულში.

მდინარე ელოვკა, რომელიც ნახევარკუნძულის ორი ყველაზე დიდი მდინარის ტიგელსა და კამჩატკას შორის მიედინება, აქ მკვეთრ მოსახვევს აკეთებდა და კორომებზე გადადიოდა. მდინარის კალაპოტი ორად იყოფოდა და კუნძულს ქმნიდა. ნაპირები მურყანითა და არყნარით იყო დაფარული კუნძულზე და ნოლაში ხანმოკლე ზაფხულის მანძილზე ადამიანზე მაღალი, ხშირი, ნოყიერი ბალახი იზრდებოდა, კამჩადალები მდინარის ნაპირზე საკვებ ძირძურებს აგროვებდნენ ხანგრძლივი ზამთრისათვის მარაგდებოდნენ. ზაფხულობით, როდესაც თევზთა გუნდი ქვირითის დასაყრელად ელოვკის გასწვრივ მიდიოდა, მეთევზეთა ნადავლი იმდენად დიდი იყო, რომ იგი კარგახანს ყოფნიდათ და უხვადაც უნაზლაურებდათ ზამთრობით გადატანილ გაჭირვებას.

ტერენტი მწვერვალიდან გაჰყურებდა დაბლობს, ხედავდა მის სიმდიდრეს და უკვე წარმოიდგინა, თუ როგორ იცხოვრებდა ტიგელის თანამემამულეებთან, დათესავს პურს, გაიჩენს პირუტყვს, ზამთარში ამ მწვერვალზე დახოცავს სიასამურს, კვერნას და შეიძლება დათვსაც.

მან შორს გაიხედა და ტბური ცხელი წყაროების თავზე



ამავალი ორთქლი დაინახა. კამჩადალები ამ წყაროებს სულე-  
ბის საცხოვრებელ ადგილად თვლიან. ზამთრის დღეს შის  
თავზე ორთქლის კორიანტელი დგას. თუ ვინმე მასთან ახლოს  
მივა, ღმერთების რისხვა დაატყდება. მაგრამ ტერენტის კამ-  
ჩადალების სულების არ ეშინია და აუცილებლად იბანავებს  
ამ წყაროებში.

მომავალზე მშფოთვარე ფიქრებით შეპყრობილი ტერენტი  
დაბლობისაკენ დაეშვა.

• • •

ტოიონ ტიგელს სელაპის ტყავზე ეძინა. იქვე იჯდა მისი ძმა  
და ზარმაცად მოლივლივე ცეცხლის ენებს უყურებდა. სუსტი  
სინათლე ძლივს ანათებდა ორივეს და სიბნელეში იკარგებოდა  
გაქვარტლული კედლები, ტახტი და კამჩადალების ამ ზამთრის  
საცხოვრებლის მრავალრიცხოვან მკვიდრთა სახეები.

ნახევრად მიწურს სწორკუთხედის ფორმა ჰქონდა. ჰერის  
ფენილს ცენტრში მიწაში ჩადგმული ოთხი ბოძი იქერდა. მშენ-  
ებლებს კედლები ხარიხა მორებისაგან აეგოთ, ხოლო მათ  
გასწვრივ ტახტები მოეწყოთ.

ასე აკეთებდნენ ყველა კამჩადალები. სახლებს ფანჯრები  
არ ჰქონდათ. ჰერში ოთხკუთხა ნახვრეტს ტოვებდნენ, საიდა-  
ნაც კიბის საშუალებით ჩადიოდნენ მიწურში, აქედანვე გა-  
მოდიოდა კვამლი. საშიშროების შემთხვევისათვის ერთ-ერთ  
კედელში ყოველთვის აწყობდნენ სამარქაფო გასასვლელს,  
რომლითაც მხოლოდ ქალები და ბავშვები სარგებლობდნენ.  
ნახევრად მიწურს გარედან მიწას აყრიდნენ და მას ბორცვის  
იერი ეძლეოდა. ტოიონები სხვა თანატომელებზე მდიდრები  
იყვნენ. მათ მიწურში ხუთი ოჯახი ცხოვრობდა, სხვებში კი  
მეტი. ზამთარში შემოსასვლელი ძალზე პატარა რჩებოდა, მას  
თოვლი ავსებდა და კოცონის კვამლი თვალებს ჰამდა.

თოვლის საფარი სწრაფად მცირდებოდა. მალე ტოიონ ტი-  
გელის გვარეულობა ბალაგნებში გადავიდოდა. საზაფხულო  
საცხოვრებელი — ბალაგანი ყოველ ოჯახს ჰქონდა. 4—5 მეტ-  
რის სიგრძის ცხრა ბოძს ერთმანეთისაგან ტოლი ჰანძილების  
დაცილებით, სამ რიგად არჭობდნენ მიწაში. ბოძებს მიწიდან

მეტრის სიმალღეზე კადონებით კრავდნენ და მათზე დატანებით და წვრილი მორებით იატაკს აგებდნენ. კარებს ორივე მხრიდან ერთმანეთის საწინააღმდეგოდ აკეთებდნენ. ბალაგანში ისეთივე კიბეებით აღიოდნენ, როგორითაც ზამთრის საცხოვრებელში ჩადიოდნენ. სანამ ხალხი ნახევრად მიწურებში ცხოვრობდა, ბალაგანი საკუჭნაოს მოვალეობას ასრულებდა.

— სიმართლე რომ ითქვას, ტიგელი გადასვლას ხვალისათვის უიქრობდა. ფიქრი ძილშიაც აწუხებდა და საწოლში წრიალებდა.

ამ დროს ტოიონის ერთგული შავი ძაღლი წამოხტა, ჰაერა მოყნოსა და გაათრეებული ყეფით მიწურიდან გავარდა. მას სხვა ძაღლებიც აჰყვნენ. ტიგელს გაეღვიძა, წამოჯდა და ყური მიუგდო. გზიდან ძაღლის ხრინწიანი ყეფა ისმოდა. ტოიონს ვიწრო თვალები გაუფართოვდა და ძმას შიშით უთხრა:

— გადი, ნახე. ძაღლი ადამიანს უყეფს. უცხო კაცი მოდის.

ტიგელის ძმა მარჯვედ ავიდა კიბეებზე და ფრთხილად გაიხედა. წამის შემდეგ მან მხოლოდ ტოიონის გასაგონად ჩაიჩურჩულა:

— კახაკი მოდის, თოფით მოდის, საქმე ცუდად იქნება, ტოიონ.

ტოიონი წამოხტა, თვითონ აძვრა ზევით და გარეთ გაიხედა. მგზავრი გაჭირვებით მოაბიჯებდა ჯერ კიდევ სველ მწაზე, მის შესახვედრად ყეფით მირბოდნენ ძაღლები. ტოიონმა მგზავრი შეიცნო. მისმა მკვეთრმა შეძახილმა აიძულა შავი ძაღლი შეჩერებულიყო. მასთან ერთად მთელი ხროვა შემობრუნდა.

— რუსი მოდის, კარგი რუსი მოდის. ჩაი უნდა დავდგათ. ტოიონი კიბიდან ჩამოვიდა და ცეცხლს შეუკეთა.

\* \* \*

ტერენტი შადრინმა პირველი ზაფხული და ზამთარი ტიგელის ოჯახში გაატარა და ძაღზე დაუმეგობრდა მის ძმას. კარგი და მამაცი მონადირე, ტიგელის ძმა ბავშვური აღტაცებით აკვირდებოდა ყველაფერს მისთვის არაჩვეულებრივს, რასაც რუსი ელ ოვკის ნაპირებზე აკეთებდა. ტერენტი მასთან ერთად დადიოდა ტბურ წყაროებზე. ერთხელ მან ცხელ წყალში იბა-

ნავა და წყლიდან ამოსვლისას თანამგზავრი კერსად იპოვნა. ტიგელის ძმა შეშინებული სახით მივბოდა, რომ ტომისათვის რუსის დაღუპვა შეეტყობინებინა.

ტერენტის ავმა სულეებმა ხელი არ ახლეს და რაკი უვნებელი დაბრუნდა სადგომში, კამჩადალები მას ძლევამოსილ ადამიანად თვლიდნენ, ხალისიანად დაიწყეს მისგან ცეცხლ-მსროლელი იარაღის ხმარების სწავლა, პურის თესვასა და თალგამის დარგვაში ეხმარებოდნენ. თანამემამულეთაგან მის პირველ მოადგილედ ყოველთვის ტიგელის ძმა იყო.

ტიგელთან მისი მოსვლის მეორე წელს იგი დაეხმარა ტერენტის ქოხისა და აბანოს დადგმაში. ისინი დიდი მეგობრები გახდნენ, მაგრამ ერთხელ კინალამ მაგრად წაიჩხუბნენ.

გადაწყვიტა რა სამუდამოდ ამ მხარეში დასახლება, ტერენტი დაქორწინდა და ვაჟი შეეძინა. ახალგაზრდა მამამ მალე ინანა, რომ ელოვკის ნაპირების საძოვრებზე მეწველი პირუტყვი არ იყო.

მართალია, ციხე-ქალაქში შეიძლებოდა პირუტყვის შექენა, მაგრამ ორ ძროხაში ორმოც სიასამურს ან ერთ შავ მურა მელას თხოულობდნენ. ტერენტი ამოდ დადიოდა კვირაობით სანადიროდ მწვერვალთან. ბედი უფრო ტიგელის ძმას წყალობდა. ერთხელ, როცა ტყეში შეხვდნენ ერთმანეთს, მან ტერენტის თავისი ნადავლი — ხუთი სიასამური და ერთი შავი მონაცრისფრო მელა აჩვენა.

რამდენიმე დღის განმავლობაში ამოდ ცდილობდა ტერენტი დაეყოლიებინა მეგობარი, რომ მელა მისთვის დაეთმო. ტიგელის ძმა იცინოდა და სიასამურებს სთავაზობდა, თვითონ კი სიყვარულით ათვალთქვებდა იშვიათ ტყავს. ტერენტის ეწყინა და იღბლიან მონადირეს ორ დღეს ხმას არ სცემდა.

ერთ საღამოს კაზაკთან სახლში ტოიონმა შეიარა და კამჩადალების წეს-ჩვეულების შესახებ უამბო. თითქოს ისე შემთხვევით ყვებოდა და იღიმებოდა.

— როდესაც ვინმეს სტუმრად ეძახიან, წაუსვლელობა არ შეიძლება, ამით მოსისხლე მტერს შეიძენ. რაც მე სინათლე დავინახე, ჩვენთან ყოველთვის ასეა: მასპინძელი რომ გპატიუებს სტუმრად, არ უნდა მას ძუნწი შეარქვან და ღუმელს ძა-

ლიან ახურებს, სტუმარსაც მაძლრად აკმევს. ჭამს სტუმარი, ოფლად იღვრება, მასპინძელს კი ისევ მოაქვს საკმელი. და თან ცეცხლს უკეთებს. სტუმარს არც ჭამა შეუძლია, არც სმა, არც ასეთ სიცხეში დაჯდომა, არც არაფრის თქმა. იტყვის „ცხელაო“ — მასპინძელს აწყენინებს, საკმელზე იტყვის უარს — ისევ აწყენინებს. სტუმარი ასე წვალობს და მოწყალებას ითხოვს, — მასპინძელს გამოსასყიდს პირდება, იგი უშვებს. ასე იქცეოდნენ ჩვენი პაპები და მამები და ჩვენც ასე ვაკეთებთ. თუ სტუმრად გეძახიან — წასვლაა საჭირო, წაუსვლელობა არ შეიძლება.

ტოიონი წავიდა, ტერენტი კი შეშის დასაპობად და აბანოში ღუმელის გასახურებლად გაიქცა. ცოლმა თევზი მოხარშა. შროშანას საკვები ძირები დაამზადა. ტერენტიმ სტუმრად მოიწვია ტიგელის ძმა.

სტუმარს მოეჩვენა, რომ აბანოში არ ცხელოდა. ტერენტიმ გახურებულ ქვაზე წყალი დაასხურა, თვითონ კი აბანოს წინა ოთახში გავიდა. ზის სტუმარი სიცხეში და ორთქლში, ხვავიანი საკმლისაგან გული უწუხს, მაგრამ ითმენს. ტერენტიმ მას თევზი და შროშანის ძირები მიართვა და თან ქვაზე წყალი დაასხა. გატყდა მონადირე, პატიება ითხოვა და მასპინძელს მელიას მიცემაზე დათანხმდა.

ტერენტიმ ძროხა და ხარი ზემო კამჩატკის ციხე-ქალაქიდან მოიყვანა. მისი მეგობრობა ტიგელის ძმასთან უფრო განმტკიცდა. თუკი ვინმე გახუმრების მსურველი მონადირეა რუსთან სტუმრობის შესახებ ჰკითხავდა, იგი თავს ასწევდა და მხიარულად პასუხობდა.

— ე! ჩვენთან არასოდეს არ გიმასპინძლდებიან ისე, როგორც რუსთან!

თითქმის ოცი წელი იცხოვრა ტერენტიმ ტიგელის ტომის მიწაზე. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ატამანებმა კიდევ უფრო უმატეს თავხედობას. კამჩადალების ზოგიერთი ტოიონი ტერენტისა და იმ კაზაკებს, რომლებმაც ციხე-სიმაგრეები დასტოვეს, ცერად უყურებდნენ, თითქოს მეფის მსახურების ბოროტმოქმედებაში ისინი ყოფილიყვნენ დამნაშავე.

ტერენტი ხანდახან კამჩადალ ახალგაზრდებთან ერთად

თოფით ხელში ერეკებოდა კაზაკთა რაზმებს. მიუხედავად ამისა, კამჩადალები მას რალაცას უმაღლავდნენ. ტერენტი ამას გრძნობდა ტიგელთან სხვა ტომებიდან მოსული სტუმრების დაძაბული მზერით, და კიდევ იმით, თუ რა ჯიუტად ღუმდა ყოველ შეკითხვაზე მისი მეგობარი, ტიგელის ძმა.

1731 წლის გაზაფხული ახლოვდებოდა, მომთაბარეთა სადგომებში შიმშილობდნენ. წარსულ ზამთარში კაზაკები იყვნენ და სადაც ხარკი ვერ მოაგროვეს, გამხმარი თევზი და მარცვლეული წაიღეს.

ტიგელთან კვლავ გამოჩნდნენ მეზობელი ელოვკის ტოიონის თედორე ხარჩინის საიღუმლო სტუმრები. ხარჩინი, რომელთანაც ბევრი თანამემამულე მუშაობდა, სხვა ტოიონებზე უფრო მდიდარი იყო. იგი ფიქრობდა ყველა გვარების მბრძანებელი გამხდარიყო, მაგრამ ამაში დანარჩენი ტოიონები და კაზაკები უშლიდნენ ხელს. ხარჩინის მოციქულები გაუბოდნენ ტერენტის. მან კი, როდესაც კითხვებზე პასუხი ვერ მიიღო, გადაწყვიტა თვითონ გამგზავრებულიყო მეზობლებთან და მარხილში დილიდანვე შეაბა ძაღლები.

ტერენტის მარხილი კამჩადალების ჩვეულებრივი მარხილებისაგან განსხვავდებოდა ღერძებზე და ძარაზე უცნაური რუსული ორნამენტების მოხატულობით. მათ იგივე სამი მთავარი ნაწილი ჰქონდათ: თხილამურების მაგვარი მკვეთრად ჩაღუნული კავი, ორი წყვილი ღერძი და ძარა. არყის ხის ფესვებისაგან გამოჭრილი ღერძები თანაბარ რკალს გვაგონებდა, ძარა კი — მალალწინარიან და საზურგე კალათს. კავის ზედა ჩანადუნი განივად და გრძივად დამშვენებული იყო სელაპის მუქი-ყავისფერი და ყვითელი ტყავებით. ასეთი წნული მაგიდის ორნამენტს ქმნიდა. ეს ტერენტის ტიგელის ძმამ ასწავლა, რომელიც მარხილის გაკეთებაში ეხმარებოდა. მარხილის აკაზმულობა შემოკერილი იყო ხავერდით და ყვავილოვანი ამონაქარგი ამშვენებდა.

ტერენტიმ მკვეთრი ფერებით მოხატა ძარაზე ფოთლოვანი გვირილები და კავზე სასაცილო მამლები. ჩვეულებრივი კამჩადალური მარხილი სხვებს აღარ ჰგავდა. შეამჩნევდნენ თუ არა

მას კამჩადალები, უსათუოდ იტყობდნენ: „აი, ტერენტის მარხილი მოდის“.

მარხილს სავსებით შეეფერებოდა სამუხრუჭე ჯოხი მოლუნული ბუნიკით. ჩვეულებრივად მას რკინის ბუნიკები ჰქონდა. ტერენტის ბუნიკი კი ვერცხლით იყო ინკრუსტირებული, და ზარები ეკიდა. ეს სამუხრუჭე ჯოხი ტერენტის ტიგელმა აჩუქა. ჯოხის შუა წელთან ზარები იყო დამაგრებული. როდესაც ტერენტი მკვეთრად ამუხრუჭებდა და იმ ჯოხის მეშვეობით მარხილს აბრუნებდა, ზარები ერთხმად წკირალებდნენ.

ტიგელს ეს ამბავი მაშინვე შეატყობინეს. მღელვარე დრო იყო, ოთხი დანარჩენი კი წყვილ-წყვილად მის უკან მიდიოდა.

— საით გაემგზავრა სახლის პატრონი? — მიმართა კაზაკის ცოლს.

მან არაფერი იცოდა. ტიგელი ჩაფიქრდა და ხელახლა შეეკითხა:

— როგორ შეაბა ძაღლები?

— მარაოსმაგვარად, ერთი მეორესთან, — უპასუხა ტერენტის ცოლმა.

— იგი სანადიროდ არ წასულა, — გადაწყვიტა ტიგელმა და სახლიდან გამოვიდა.

მარხილებში შებმული ძაღლებით მხოლოდ ახლომახლო ნადირობდნენ, სადაც ბორცვები და ციცაბო აღმართები არ იყო. მათ მარხილში წალიკად აბამდნენ — წამყვანი პირველი იყო, ოთხი დანარჩენი კი წყვილ-წყვილად მის უკან მიდიოდა. გორაკიან ადგილებში ძაღლებს მარაოსმაგვარად აბამდნენ. დაქანებაზე ისინი თვითონ პოულობდნენ გზას და მგზავრს, რომელიც მათ ეხმარებოდა, გორაკის მწვერვალამდე მიღწევის იმედი უნდა ჰქონოდა.

ტერენტიმ გვარეულობა დატოვა და გაემგზავრა გორაკებისაკენ, სადაც დანარჩენი რუსები ცხოვრობდნენ. მალე ამ ამბავს ყველა გაიგებს, რა უნდა ვუთხრა თედორე ხარჩინისაგან გამოგზავნილ სტუმარს? ფიქრობდა თავის მიწურისაკენ გაბრუნებული ტიგელი. იგი ხომ არწმუნებდა სტუმარს, რომ ტერენტის, ისევე როგორც კამჩადალებს, ეჯავრება ატამანებზე

და ხარჩინის მოწოდებაზე მათთან ერთად წავა. როგორ მოიქცეს ახლა? ტოიონმა განზრახ შეანელა ნაბიჯი, დააკვირდა ტერენტის მარხილის განიერი კავების კვალს და ცდილობდა მოეფიქრებინა ყველაფერი, რაც მას სტუმარმა გადასცა.

კამჩატკის მეფის მოურავი — მმართველი ივლისის ბ.ო.ლოს კაპანო „გავრილით“ ოხოტსკში მიემგზავრება. თან ბევრი კაზაკი წაყვება. კამჩატკაზე მათგან ექვსი ათეული თუ დარჩება. „გავრილი“-ს წასვლა ნიშანი იქნება. კამჩადალების ყველა ტომი ნავეებით მიადგება მდინარე კამჩატკის სათავეს და როგორც კი კაპანო ნაპირს მოსცილდება, ციხე-სიმაგრეებს დაესხმება თავს. ტოიონი ხარჩინი კამჩადალებს რუსებთან საბრძოლველად ეძახდა.

„მამაცია თედორე ხარჩინი, — ფიქრობდა ტიგელი, მამაცია, მაგრამ ახალგაზრდაა. ტყუილად არ ენდო ის ციხე-სიმაგრეებიდან წამოსულ კაზაკებს. არ იცის მათი ცხოვრება. ატამანების წინააღმდეგ გალაშქრება მათთან ერთადაა საჭირო.

ტიგელს ტერენტისა სჯეროდა და გადაწყვიტა მისი დაბრუნებისათვის დაეცადა.

სამი დღის შემდეგ ტერენტი დაბრუნდა. იგი ღუმდა, ღუმდნენ მისი მეზობლებიც. ყველა ამბის დასასრულს ელოდა.

1731 წლის 20 ივლისს კაპანო „გავრილი“ ქარის დასმარებით ზღვაში გავიდა. თედორე ხარჩინის მიერ დარაზმული კამჩადალები მდინარე კამჩატკის სათავისაკენ გაემართნენ. ტიგელის ტომთან და ყველა კამჩადალთან ერთად ტერენტიც წავიდა.

იწვოდა ციხე-სიმაგრეები, ეკლესიები, კაზაკების სახლები. რამდენიმე დღის შემდეგ ამბოხება დიდ აჯანყებაში გადაიზარდა, რომელიც ნახევარკუნძულის მთელ ცენტრალურ ნაწილს მოედო. თოფებით და კაზაკების შუბებით შეიარაღებულმა აჯანყებულებმა გაიმარჯვეს.

ქვემო კამჩატკის ციხე-სიმაგრე დაეცა და აჯანყების ცენტრად გადაიქცა. თედორე ხარჩინმა თავი კამჩატკის გამგებლად გამოაცხადა და ყველა ტოიონს უბრძანა თავთავი-

ანთი ჭარით მასთან გამოცხადებულიყვნენ. მან ჩრდილოეთში დიდი ლაშქრობის ჩატარება განიზრახა.

შიკრიკებმა ვერც კი მოასწრეს ახალი მმართველის ბრძანებით ციხე-სიმაგრეების დატოვება, რომ მის კედლებთან გაჩნდნენ კაზაკები „გავრილიდან“. კაპანო ქარიშხალში მოხვდა და კამჩატკაზე დაბრუნდა.

თედორე ხარჩინი ციხე-სიმაგრის კედელზე ავიდა და კაზაკებს გასძახა:

— რისთვის მოხვედით? აქ, კამჩატკაზე, მე ვარ გამგებელი. მე თვითონ ავკრეფ ხარკს. წალით აქედან!

პასუხად თოფების ბათქი გაისმა.

თედორესათვის მთავარი იყო მაშველი ჭარის მოსვლამდე გაეძლო. ამასვე უცდიდნენ კაზაკები, რომლებმაც კაპანოზე ზარბაზნებისათვის შიკრიკები გაგზავნეს. ზარბაზნები უფრო ადრე მოიტანეს და ალყა დაიწყო. მხოლოდ თოფებითა და შუბებით შეიარაღებულ კამჩადალებს კაზაკები ბირთვებს ესროდნენ. ნათელი იყო, რომ დამცველები დიდხანს ვერ გასძლებდნენ.

წინაღამით ტერენტიმ ორ რუს ამხანაგთან ერთად ალყაშემორტყმულ ციხე-სიმაგრეში შეაღწია და ახლა დენტის საწყობთან იმყოფებოდა.

ციხე-სიმაგრის ნაგებობანი ალში იყო გახვეული და ცეცხლი საწყობისაკენ მიიწვედა. ხარჩინი ამ ჯოჯოხეთში გადაარჩენილ მებრძოლებთან ერთად ყოველი სახლისათვის იბრძოდა. ისარგებლა რა ბრძოლის დროს მცირე შესვენებით, ტერენტიმ სახლში შეირბინა და იმწამსვე გამოვარდა ვიღაც ქალის კაბით.

— გამგებელო, ყველაფერი დამთავრებულია, გაიქეცი. — თედორეს წინ ტერენტი იღგა და მას ქალის კაბას აწვდიდა.

— გაიქეცი თედორე ტიგელთან ელოვკაზე, ეს ჩაიცვი და ხერელში გაძვერი.

ბირთვის სკდომისაგან კედელში წარმოქმნილ ხერელში კამჩადალების დატყვევებული კაზაკების ცოლები ძვრებოდნენ. ხარჩინი გაკვირვებით უყურებდა ტერენტის.

— ახლავე გაიქეცით, საწყობს ცეცხლს მე წაუჟკიდებ.

თედორემ ბრძოლის ველს გადახედა, ქალის კაბა გადაიკ-



ვა და სვრელისკენ გაიქცა. ძლივს მოასწრო მიმალვა, რომ ძლიერმა აფეთქებამ მიწა შეაზანზარა და სიმაგრე მთელი მისი სიმდიდრით ფერფლად იქცა.

ბრძოლები სოფლებში გრძელდებოდა. დასახმარებლად გამოგზავნილი კაზაკები სოფლიდან სოფელში დადიოდნენ, წინააღმდეგობის გამწევთ ხვრეტდნენ, დამარცხებულთ იარაღს აკლიდნენ.

ბრძოლას ყველაზე დიდხანს ტიგელის გვარეულობა აგრძელებდა. თედორე ხარჩინი ახალი ჯარის შეკრებას აპირებდა, მაგრამ მახეში შეიტყუეს და შეიპყრეს. უწინამძღვროდ დარჩენილი ჯარი დაიშალა.

ტერენტი რამდენიმე დღის განმავლობაში სიკვდილ-სიცოცხლის შუა მერყეობდა და ერთი კვირის შემდეგ მოვიდა გონს. დენტის საწყობის აფეთქებამ სახე დაუწვა და წარბეზო შეუტრუსა, ტანი საშინელი ბებერებით ჰქონდა დაფარული. ბრძოლის ველიდან იგი კამჩადალის ოჯახმა გამოიყვანა. გონს მოსული ტერენტი ხედავდა მის თავზე დახრილი კამჩადალი გოგოს ლამაზ სახეს. შემდეგ კი ხელახლა კარგავდა გრძნობას.

ზამთარი იწყებოდა. ტერენტი იმდენად გამოკეთდა, რომ თავშესაფარის დატოვება და შინ გამგზავრება შეეძლო. მაპინძელს რომ ემშვიდობებოდა, იგი არ ფიქრობდა, თუ ისევ ჩქარა დაბრუნდებოდა უკან.

ტერენტიმ მშობლიური ადგილები ვერ იცნო. ტიგელის საცხოვრებლის ნაცვლად მუგუზლები დახვდა. არც ის სახლო იყო, რომელშიც თვითონ ცხოვრობდა. იდგა მხოლოდ ერთადერთი აბანო, რომლის მილიდანაც კვამლი ამოდიოდა. სულიერი არ ჩანდა. ტერენტი ბარბაცით მივიდა აბანოსთან, კარები გამოაღო და სინარულის შეძახილი აღმოხდა. მის წინ ცოლი და შვილი იდგა.

ტიგელი თავისი გვარეულობით ზემო ელოვკაში გაიქცა, როდესაც აჯანყების შედეგი ნათელი გახდა, მან დახოცა შვილები, ცოლები და, რომ კაზაკებს ცოცხალს აიჩავოდნოდა ხელში, თავი მოიკლა. ტიგელის ძმა ხარჩინთან ერთად დაიღუპა. კაზაკებმა მთელი გვარეულობის სადგომები გადასწვეს,

დასწევს ტერენტის სახლიც, ოჯახისთვის კი ხელი არ უხლიათ. კამჩადალებიდან არავის უთქვამს, რომ ტერენტი მათ მხარეზე იყო.

ოდესღაც დასახლებული ადგილი ბნელითმოცულ უდაბნოდ გადაიქცა.

ტერენტიმ ცოლი და გადარჩენილი ბარგი-ბარხანა თავის ცნობილ მარხილზე მოათავსა. ვაჟი თხილამურებზე შედგა და გაემართნენ იმ სადგომისაკენ, სადაც ტერენტი მოარჩინეს.

• • •

გავიდა კიდევ რვა წელი. ტერენტი ხელახლა დასახლდა. ვაჟი გაიზარდა, ოცი წლის ლამაზი ყმაწვილი გახდა. მისი განიერლაწვებიანი სახე დედის მონღოლური სისხლის შესახებ მეტყველებდა, ხოლო მამისაგან მემკვიდრეობით სიმალლე და ფიზიკური ძალა მიიღო. გაიზარდა გოგონაც, რომელიც უფროსებს დაჰკრილი ტერენტის მოვლაში ეხმარებოდა. ბავშვები რვა წელი ერთად იზრდებოდნენ და განუყრელი იყვნენ. კამჩადალების წეს-ჩვეულებით მშობლები ახალგაზრდების საქმეში არ ერეოდნენ; მაგრამ ორივეს, ტერენტისაც და ქალიშვილის მამასაც სურდათ, რომ მათი მეგობრობა მტკიცე ყოფილიყო. მათ გაეხარდათ, როცა ტერენტის ვაჟიშვილი სიმონი, როგორც ეს მიღებულია, მომავალი სიმამრის სახლში წავიდა, რათა რამდენიმე ხანი საცოლის სახლში ემუშავა, მისი ოჯახისაგან ქორწინების თანხმობა მიეღო. ამის შემდეგ სიმონსა და მის საცოლედ ღუნიას ერთი თვე უნდა ეცხოვრათ ტერენტისთან და საბოლოოდ, ღუნიას მშობლების ოჯახში ქორწილი უნდა ეზეიმათ.

ქორწინების წინა ღამეს მომთაბარეთა სადგომის ახლოს კაზაკების რაზმები გამოჩნდნენ. მათ ჩაუარეს ტერენტის სახლს და ტოიონის სახლისაკენ გაემართნენ.

ამ ტომის ტოიონებთან ტერენტის ცუდი დამოკიდებულება ჰქონდა. მიზეზი მისი ცნობილი მარხილი იყო.

ახალ ადგილზე მისვლის პირველსავე დღეებში ტოიონმა

ტერენტის მარხილი სთხოვა და სანაცვლოდ ნახევარმიწურა შესთავაზა. ტერენტიმ უარი უთხრა. ტოიონს ეწყინა და მის ოჯახში სიარული შესწყვიტა. არც ტერენტი მიდიოდა მასთან. გადიოდა წლები, ტოიონს თითქოს აღარ აინტერესებდა მარხილი, მაგრამ როდესაც სადმე გამგზავრებულ ტერენტის დაინახავდა, მტრული მზერით აცილებდა მას.

კახაკების რაზმმა ღამე ტოიონთან გაათია.

ღილით სიმონი მამასთან, დედასთან და ღუნიასთან ერთად მარხილებით გაემგზავრა სიმამრის სახლისაკენ, რომელიც მდინარის მეორე ნაპირზე იდგა. მათ სტუმრების გროვა შემოხვდათ. ქალები ხან მხიარულ, ხან კი ნაღვლიან სიმღერებს მღეროდნენ. წინ გამოსულმა შამანმა ლოცვა წარმოთქვა, გახმარი თევზის თავზე იმკითხავა და იგი გვერდით მდგომ მოხუც ქალს გადასცა. ტერენტის მეგობრები და ნათესავები სიცილით შემოეხვივნენ ახალგაზრდა ქალს, ხონბა-ხალათის მაგვარი გრძელი თბილი ჩასაცმელი და ზემოდან კიდევ ოთხი ბეწვის კურტაკი — კუხლიანა ჩააცვეს. გახარებული და მოზეიმე ღუნია იდგა, ხელები ფართოდ გაეშალა და სხვისი დახმარების გარეშე ნაბიჯის გადადგმაც კი არ შეეძლო. იგი აიტაცეს, ნარტში ჩასვეს და ყველანი ნაპირის გაყოლებით ნახევარმიწურისაკენ გაემართნენ.

ღუნიას შესახვედრად სადგომიდან მისი უმცროსი ბიძაშვილი გამოვიდა. მარხილიდან ჩამოსვლაში მოეხმარა და ნახევარმიწურის შესასვლელი ზვრელისაკენ წაიყვანა. მოხუცმა ქალმა, რომელსაც ხელში თევზის გამხმარი თავი ეჭირა, მათ გაუსწრო და პირველი ჩავიდა კიბეებზე. მან თევზის თავი იატაკზე დადო. ახალგაზრდა ქალთან ყმაწვილებმა და ქალიშვილებმა მიიჩინეს, ღვედები შემოახვიეს და დაბლა ჩაუშვეს. ღუნია მთელი ძალით დააჭირა თევზის თავს ფეხი. შემდეგ ყველანი ჩადიოდნენ კიბეზე და ცდილობდნენ ასევე მოქცეულიყვნენ. სტუმრები რომ მოგროვდნენ, მოხუცი ქალი ბუტბუტით მივარდა თევზის თავს, ფეხით გათელა იგი, აიღო და კოცონში ჩააგდო.

თევზის თავს, კუხლიანებს, რომლებიც მხოლოდ სადგომ-

ში გაიძვრეს, ახალგაზრდა ქალის ღვედებით ჩაშვებას, ყოველივე ამას, კამჩადალების ადათ-წესების მიხედვით, პატარძალი ავი სულებისაგან უნდა დაეფარა და მომავალი ოჯახის ბედნიერება უზრუნველყო. ტერენტის არ სჯეროდა ამის, მაგრამ არც ის და არც მისი შვილი არ არღვევდნენ იმ ხალხის ტრადიციებს, რომლებიც მათთვის მშობლიური გახდნენ.

საქორწინო წეს-ჩვეულება დამთავრდა. კოცონს ტოტები შეუკეთეს და ცეცხლი გაღვივდა. ნახევარმიწური ჩქარა გათბა. სტუმრები მოხერხებულად ჯდებოდნენ, რათა საქორწილო ნადიმს შედგომოდნენ. ტრადიციით სიმამრის სახლში ამ დღეს ახალგაზრდა ქმარი მასპინძლობდა.

მზიარულება ძაღლების ხმამალალმა ყეფამ დაარღვია. კიბეებზე კაზაკების ასისთავი ჩამოდიოდა. მას კვალდაკვალ მოყვებოდნენ ტოიონი და კაზაკები.

ნათელი იყო, რომ ისინი ქორწილში არ მოსულან. მასპინძელი წამოდგა და ასისთავთან მივიდა:

— მე ხარკს წესიერად ვიხდი, ამას ტოიონი დამიმოწმებს. ჩვენთან ქორწილია, დაბრძანდით, სტუმარი იქნები.

ასისთავმა ყველა იქ მჯდომს გადახედა და მზერა კრილობებით დასახიჩრებულ ტერენტის სახეზე შეაჩერა.

— მე ამისთვის მოვედი; იგი მოლაღატეა და უნდა მოკვდეს!

— არა! იგი ჩემი სტუმარია, აქ იგი ჩემი სტუმარია!

ასისთავმა ხმაღზე დაიდო ხელი, კაზაკები მოკამათებეს შემოეხვივნენ გარს. ტერენტი თამამად მივიდა მათთან.

— შენ ჩემს წასაყვანად მოხვედი? მითხარი, რა არის ჩემი დანაშაული?

ტერენტის არც კი უფიქრია, რომ ტოიონმა დაასმინა.

— ძველი საქმეა, მაგრამ შენ იცი შადრინო! მეფის ბრძანება მოვიდა: დიდ ბუნტში მონაწილეობისათვის ყოველ სოფელში დაისაჯოს ერთი რუსი და ორი კამჩადალი. ყველა რუსებიდან შენ უდიდესი ბრალდებული ხარ.

ტერენტიმ მწარედ ჩაიციხა:

— ეგრე იყოს, ასისთავო, როდესაც თედორე ხარჩინის მეგობარს ახრჩობდნენ, მან თქვა, „სამწუხაროა, რომ მე უკა-

ნასკნელად მომიწევს ჩამოკიდება!“ მე მზადა ვარ, მაგრამ აქედან წავიდეთ, ნუ უშლი ხალხს პატარა სიხარულს.

ტერენტი კიბეებისაკენ გაემართა. იმავე წუთში პირქუშად მღუმარე სიმონმა იგი შეაჩერა:

— მამა, შეჩერდი, მე ახლავე!

მამის ძლიერმა ხელმა სიმონს ხელიდან გააგდებინა მონადირის სიმარჯვით მოქნეული დანა. შეშინებულმა ასისტავმა ტერენტისაკენ გაიწია და ხმალს წაავლო ხელი, მაგრამ როცა დაინახა, რომ ხიფათმა ჩაიარა, დაწყნარდა.

— ნუ ჩქარობ, ტერენტი! გამგებელმა მიბრძანა გადმომეცა, რომ თუ შენი ვაჟიშვილი ცოლით თავისი ნებით დედაქალაქში გაემგზავრება, შეწყნარებული იქნები.

ჯერ კიდევ 1700 წელს ატლასოვმა სცადა კამჩატკიდან დედაქალაქში წაეყვანა ერთი ადგილობრივი მცხოვრები. კამჩადალმა ვერ გადაიტანა ჰაერის შეცვლა, ძნელი და გრძელი გზა, და მოკვდა. ცხრა წლის შემდეგ ტრაგიკულად დამთავრდა ახალი ცდაც. 1722 წლის მეფის კარმა მითითება გამოგზავნა, რომ მოსკოვში გაემგზავნათ რამდენიმე კამჩადალი, მაგრამ მათგან ადგილამდე ვერც ერთმა ვერ მიაღწია. კამჩადალების სადგომებში ყველა ამ ცდების შესახებ იცოდნენ და სიკვდილზე უფრო მეტად ეშინოდათ ასეთი მოგზაურობისა. 1739 წლის გაზაფხულზე ირკუტსკის კანცელარიამ გადაწყვიტა, ისევ ჩაეტარებინა ცდა, რომლის განხორციელებაც წინანდელმა გამგებლებმა ვერ შესძლეს. კამჩატკის გამგებელს ნაბრძანები ჰქონდა, შეერჩია ახალგაზრდა კამჩადალი წყვილები და ისინი პეტერბურგში გაემგზავნა.

ასისტავის სიტყვების გაგონებაზე ტერენტი გაფითრდა:

— ყური დამიგდე, ასისტავო, მე უკვე საკმარისად ვიცხოვრე. ჩემი სიცოცხლე იმდენად არ ღირს, რომ მასში ორი ახალგაზრდის სიცოცხლე მივსცე. წავიდეთ აქედან!

სიმონმა მამას სიტყვა გააწყვეტინა:

— არა, მამა! მოიცადე! ჩვენ ხომ არ დაგვესჯიან, ჩვენ მხოლოდ დედაქალაქში წაგვიყვანენ.

ასისტავმა თავი ჩაიქნია მოწონების ნიშნად, ხოლო ტერენტიმ მოღუშულად ჩაილაპარაკა:

— შეილო, შენ არ იცი ეს გზა რას ნიშნავს. კამჩატკის  
მაცხოვრებლებიდან ტომსკამდეც არავის მიუღწევია.

— ჩემს ძარღვებში ხომ შენი სისხლი ჩქეფს!

— შენში კი, მაგრამ შენი ღუნიას ძარღვებში?

სიმონი დადუმდა და შეხედა ბადისებურ ტიხარს, სადაც  
ქალები ისხდნენ. ის იცდიდა. მისმა სიმამრმა, რომელიც თა-  
ვისას ფიქრობდა და არავის ყურადღებას არ აქცევდა, რაღაც  
სწრაფად ჩაილაპარაკა კამჩადალურ ენაზე. ტიხარს იქით ვი-  
დაც ასლუკუნდა, შემდეგ ტირილი მიწყნარდა და ღუნიამ წარ-  
მოთქვა მოკლე ფრაზა. ასისთავმა ვერაფერი გაიგო. ტერენტიმ  
აღერსიანად, მაგრამ მწარედ გაიცინა. სიმონი სიხარულით  
შეპყურებდა მამას.

— ღუნიამ თქვა: „მე ჩემს ქმართან ერთად წავალ!“



1739 წლის დეკემბერში, სულელი და მკაცრი იმპერატო-  
რის ანნა იოანეს ასულის მეფობის მეათე წლისთავზე, პეტერ-  
ბურგში ისეთი ძლიერი ყინვები დადგა, როგორიც კარგა ხა-  
ნია არ ყოფილა. ღამით იყინებოდა გარეთ მინის ქილით და-  
ტოვებული სპირტიც კი, ნევა და მისი შენაკადები ყინულით  
იყო შებოჭილი.

ასეთ ყინვაში იმპერატორის რჩეულ მედროვე ბირონს  
საზრუნავი მოემატა. სხვადასხვა საქმეებთან ერთად მას თავი-  
სი კეთილისმყოფელიც უნდა გაერთო. მისი შემწეობით რუ-  
სეთის კარი მასხარებით იყო სავსე, მათ როლში ხშირად მო-  
ხვედრილან აზნაურებიც, რომლებმაც ბირონის ან „მთელი  
რუსეთის მბრძანებლის“ რისხვა დაიმსახურეს.

დეკემბრის ერთ დღეს ბირონი შევიდა მოსაცდელში, სა-  
დაც დაახლოებული პირები უცდიდნენ. მან მწუხარე სახე მი-  
იღო და შესძახა:

მე უბედური აღამიანი ვარ აქ, რუსეთში, ბევრი იმდენად  
ჩემს დამსახურებაზე არ ფიქრობს, რამდენადაც ჩემდამი სი-  
ბულვილსა და უმადურობას გამოხატავს. მე ხომ მთელი რწმე-

ნით ვემსახურები რუსეთს და ჩვენს დედა იმპერატორს. ჩემს სიცოცხლეს არ ვზოგავ მათი კეთილდღეობისათვის. მაგრამ, აი უკვე რამდენიმე დღეა დედა-იმპერატორი არაფრით არ ერთობა, მე კი არ შემიძლია რაიმე მოვიფიქრო და მისი შუბლიდან მწუხარება განვდევნო. ვინ დამეხმარება ჩემი განზრახვის შესრულებაში?

ბირონმა ხატოვნად შემოკრა ხელი ხელს და გასასვლელისაკენ გაემართა. მაგრამ აქ იგი ერთ-ერთი დაახლოებული პირის შემპარავმა ხმამ შეაჩერა:

— მე შემატყობინეს, რომ გოლშტინსკის სასახლის წინ გაწაფულ ხელოსნებს ყინულისაგან ნატურალურზე ორჯერ დიდი ზომის ორი ლომი აღუმართავთ. რა იქნება, რომ ვისარგებლოთ ასეთი ყინვებით და წევაზე პეტრე-პავლეს ციხის წინ ყინულის სახლი ავაგოთ, ყინულის ზარბაზნები გავაკეთოთ და დედა-იმპერატორის გასართობად და გასახარად დღესასწაული მოვაწყოთ?

ბირონმა თავისთან მიიხმო მოლაპარაკე, რაღაც ჩასჩურჩულა მას და სწრაფად გაემართა იმპერატორის პალატისაკენ.

მეორე დღეს სასახლეში უკვე იცოდნენ მისი ახალი განზრახვის შესახებ. დღის ბოლოსათვის შედგენილი იქნა იმპერატორის ორი ბრძანება.

პირველით ნაბრძანები იყო უმოკლეს დროში აეგოთ სასახლესა და საადმირალოს შორის ყინულის სახლი რამდენიმე ოთახით და მთელი ავეჯი ყინულისაგან დაემზადებინათ.

მეორეთი, კუნსტკამერაში გაეკეთებინათ რუსეთის სხვადასხვა ხალხების იმ ნივთებისა და კოსტუმების ესკიზები და ჩანახატები, რომელთა კოლექციებიც მუზეუმში იყო თავმოყრილი და გადაეცათ კარის ცერემონმეისტერის განკარგულებაში. ძირითადად ციმბირის ხალხის სხვადასხვა კოსტუმები, მუსიკალური ინსტრუმენტები, იარაღები და ჭურჭლეულობა.

27 დეკემბერს გამოვიდა მესამე ბრძანება. რუსეთის ყველა ნაციონალური განაპირა მხარეების გუბერნატორებს ნაბრძანები ჰქონდათ 1740 წლის 6 თებერვლისათვის პეტერბურგში ჩამოეყვანათ ყველა არარუსი ეროვნების ქალ-ვაჟი თავიანთი „ადგილობრივი ტანსაცმლით, ადგილობრივი ტრანსპორტით“

სასახლის კარის მასკარადისათვის — „რუსეთის ხალხის საზეიმო სვლა“ „სასაცილო ქორწილის“ დღეს უნდა ჩატარებულიყო.

ყინულის სახლის მოწყობა სხვამ შესთავაზა, მაგრამ ბატონ გოლიცინის მასხარასა და ბუჟენინოვას მასხარა ქალის „სასაცილო ქორწილი“ თვით ბირონმა მოიგონა. „ახალდაქორწინებულები“ ღამეს ამ სახლში გაათევენ, გზაში კი მათი მხლებლები რუსეთის სხვადასხვა ხალხების ახალგაზრდა წყვილები იქნებიან. დაე, დაინახონ უცხოელებმა, თუ როგორ მდიდარი და ღიღია ანა იოანეს ასულის სასახლის კარი, — ასე გადაწყვიტეს სასახლეში „სასაცილო ქორწილის“ დღეს.

მოსკოვის, პოდმოსკოვიესა და პეტერბურგის ყველა გარეუბნებიდან მოუყარეს თავი ხელოსნებს ყინულოვანი სახლის მშენებლობაზე. იმპერიის ყველა კუთხეში ყველაზე სწრაფი ფოსტა დაატარებდა ბრძანებას ახალგაზრდა ქალ-ვაჟების დაუყოვნებლივ გამოგზავნის შესახებ.

სიმონს და დუნიას სადღაც ურალის ახლოს შეხვდათ შიკრიკი, რომელსაც „სასაცილო ქორწილის“ შესახებ ბრძანება მიჰქონდა. როცა გაიგეს რაში იყო საქმე, გამყოლები აჩქარდნენ.

ბოლოს და ბოლოს სამცხენა საფოსტო მარხილი მოსკოვთან მოვიდა. შიგ ტყაპუქში გახვეული იჯდნენ სიმონი, დუნია და ორი კამჩადალი, რომლებმაც ხანგრძლივი და მძიმე გზა გადაიტანეს. ორი სხვა, რომლებიც მათთან ერთად მიდიოდნენ, ირკუტსკის შემდეგ დაასაფლავეს. ფუთებში სიმონის და მისი ცოლის სადღესასწაულო ტანსაცმელი შემონახულიყო. იქვე იდგა ტერენტის ცნობილი მარხილი. ტოიონმა, რომელმაც თავისი ნათესავის სტუმარი გასცა, მაინც ვერ მიიღო იგი.

მოსკოვში დასვენება ხანმოკლე იყო. ცხენებმა კამჩადალები ჩრდილოეთში, პეტერბურგში, წაიყვანეს. ჩქარობდნენ. ახლოვდებოდა დღე, რომლისთვისაც რუსეთის ყველა მხრიდან ჩამოიყვანეს ადამიანები.

ზამთარი ისევ მძვინვარებდა. სამი თებერვლის ბოლოს ყინულის სახლი დამთავრდა.

იგი იდგა ნევის ყინულოვან მოედანზე, გამკვირვალე ყინუ-



ლის დიდი ტოლი ნაქრებისაგან აწყობილი. მზის სხივები ზედ ირეკლებოდნენ და კედლების წიბოებზე თამაშობდნენ. სახლი სიგრძით შვიდი, სიგანით ხუთი და სიმაღლით ექვსი მეტრისა იყო. ფასადის წალოში ყინულისაგან დამზადებული ბერძნული ქალღმერთების ექვსი პირი იდგა. უფრო მცირე ზომის ქანდაკებები სახურავზე აეტანათ. სახლის ზედა ნაწილი მწვანე ფერად შეღებილი ყინულის ფილებით იყო ამოშენებული. გარშემო სახლს აუჩურული მესერი ჰქონდა შემოვლებული, ხოლო მის იქით თხელი ბროლის ფოთლებიანი უცნაური ხეები ჩანდა. შესასვლელში ორი წვეტიანი კოშკი იდგა საათით, რომლის მექანიზმებიც გამჭვირვალე მინაში ჩანდა. სახლიდან მარცხნივ ნატურალური სიდიდის ყინულის სპილო იდგა ოსმალურ კოსტიუმში გამოწყობილი მხედრით. სპილო ზევით ტყორცნიდა წყლის ნაკადს, ხოლო მის შიგნით დამალული ყმა ცხოველის ყვირილს ბაძავდა. სახლში ყველაფერი ყინულისაგან იყო დამზადებული; ბალდახნიანი საწოლი, მაგიდები, სკამები, ჭურჭლეულობა, ჭიქები, სირჩები, სარკეები, სხვადასხვა საჭმელები. შეშაც და სანთლებიც ყინულისა იყო. მათზე ნავთი იყო გადასხმული და კაშკაშა ალით იწვოდა.

ღამე, როდესაც სახლში სინათლეები აინთო და კარებთან დაყენებულმა ორმა ყინულის დელფინმა ნავთის ცეცხლის შადრევნები ამოტყორცნა, მთელი ნაგებობა ზღაპრულ შთაბეჭდილებას ახდენდა. გასაკვირი და არაჩვეულებრივი ის იყო, რომ ყინულის ექვსი სამფუთიანი ზარბაზანი და ორი მორტირა ნამდვილ ბირთვებს ისროდა. ცეცხლისა და სინათლის ზღვა ყინულის კედლების შიგნით აღწევდა.

არავინ დაფიქრებულა, რა შრომა ჩააღიეს ამ განუმეორებელ და უგუხურ ნაგებობას რუსი ოსტატების ხელებმა. ეს მათ აიძულეს ესროლათ ყინულის ზარბაზნებს. ემუშავათ საათებს, ყველა ფერებით ეთამაშა ყინულს.

როდესაც ეს სახლი დაინახა, სიმონმა იკითხა:

— რა საჭიროა ეს? გაზაფხულზე მზე ყინულს დაადნობს და ყველაფერი დაიკარგება. რისთვის?

დაახლოებით სამასამდე სტუმარმა მოიყარა თავი ოთხ-ბერვალს კარის ცერემონიებისთვის თავად ვოლონსკის სახლთან. აქედან დაიწყო ახალდაქორწინებულთა სახუმარო მაყრიონი. მასხარა და მასხარა ქალი სპილოზე დადგმულ რკინის გალიაში ჩასვეს. სპილო წინ მიდიოდა. მათ წყვილ-წყვილად მიჰყვებოდნენ, უკან კალმიკები, ბაშკირები, ოსტიაკები, იაკუტები, კამჩადალები, ფინელები, მორთული სასახლის მასხარები და მასხარა ქალები. ისინი აქლემებზე და მარხილებში ისხდნენ, რომლებშიც ირმები, ძაღლები, ხარები, თხები და ღორები იყო შებმული. სიმონი და ღუნია თავისი მარხილით მიდიოდნენ, რომელშიც ძაღლები იყო შებმული. მათ ჩაიარეს სასახლესთან. ბირონის ხელს დაყრდნობილი იმპერატორი ყველასთან ერთად გულიანად ხათხათებდა. სიმონის მზერაში მრისხანებამ იელვა. მას ახსოვდა მამის დარიგება, ფრთხილად იყავიო, და მხოლოდ იმას ნატრობდა, რომ ეს წამება ჩქარა დამთავრებულიყო.

მაყრიონი სასახლიდან მთავარი ქუჩებით ცალკე მდგარი სახლების გასწვრივ გაემართა და ბირონის მანქაზე მივიდა. ნადიმისა და ცეკვების შემდეგ ყველანი ყინულის სახლისაკენ გაემართნენ. მასხარა და მასხარა ქალი ზარბაზნების ზალპის ქვეშ ღამის გასათევად საძინებელ ოთახში წაიყვანეს და რომ არ გაპარულიყვნენ, გუშაგები დაუყენეს.

„დიდი გასართობი“ დამთავრდა. სიმონმა და ღუნიამ სასახლის საფარეშოში მოახერხეს დასვენება. მეორე დღეს მათ რუსული ტანსაცმელი გადააცვეს, რადგან ჯარისკაცებმა თავიანთთვის „სამახსოვროდ“ წაიღეს არა მარტო კოსტიუმები, მარხილები, ავეჯეულობა, ჭურჭელი და აკაზმულობა, რომლებიც თვითონ ჩამოიტანეს სხვადასხვა მხარეების წარგზავნილებმა, არამედ ისიც, რაც კუნსტკამერიდან იყო გამოტანილი. მუზეუმს მისი კოლექციის მხოლოდ მცირე ნაწილი დაუბრუნეს. ვიღაცამ წაიღო ძარასა და ლერძებზე რუსული ორნამენტით მოხატული ტერენტის ცნობილი კამჩადალური მარხილიც.

სიმონი და ღუნია დიდხანს არ ყოფილან სასახლის მსახურთა რიცხვში. მალე, ანნა იოვანეს ასულის სიკვდილისა და ბირონის დამხობის შემდეგ, ისინი სამშობლოში დაბრუნდნენ. სი-

მონი ჰეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის კამჩატკის მეორე ექსპედიციაში თარჯიმნის თანაშემწედ აიყვანეს.

რამდენიმე თვის შემდეგ სიმონი და ღუნია კვლავ შინ იყვნენ. სადგომის განაპირას ისევ იდგა შადრინების სახლი, ოღონდ მასში დიდხანია ცეცხლი გამქრალიყო.

ცოლის დასაფლავების შემდეგ ტერენტი ვაჟიშვილის დაბრუნებას ვერ მოესწრო.

ღუნიას მამამ მხარზე დაადო ხელი სიმონს, რომლის ლოყებზეც მძიმე ცრემლები მოგორავდა.

— მამაშენი ძალიან კარგი ადამიანი იყო, კარგი რუსი ადამიანი. მას უყვარდა შიველუჩის ბორცვი და ელოვკა. ჩვენ იგი იქ წავასვენეთ და რუსულად დავსაფლავეთ. მწვერვალზე ჭვარი დავდგით. ის კარგი იყო, ის შენ გიცდიდა და იცოდა, რომ დაბრუნდებოდი. შენ მისი და ჩვენი ვაჟიშვილი ხარ, შენც კარგი იქნები.

მეტის თქმა მას აღარ შეეძლო და მხოლოდ განუწყვეტლივ აბოლებდა ყალიონს. ქარი ზამთრობით თოვლს ხვეტდა და ზაფხულობით ბალახს აშრიალებდა შიველუჩის მწვერვალზე, იმ რუსის მარტოხელა საფლავზე, რომელიც კამჩადალებთან ერთად ცხოვრობდა და უყვარდა ეს ხალხი. ხალხთა შორის მეგობრობა მან მთელი საუკუნით ადრე უანდერძა მომავალში გათავისუფლებულ რუსეთს.

ტერენტის მარხილს მრავალი მფლობელი ჰყავდა XVIII საუკუნის სამოცდაათიან წლებში რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სათავეში ქალბატონი დაშკოვა იდგა. მისგან კუნსტკამერამ სხვა ნივთებთან ერთად საჩუქრად მიიღო ღერძებსა და ძარაზე რუსული ორნამენტებით მოხატული ძველებური კამჩადალური მარხილი — ტერენტის მარხილი. მაშინ სპეციალურ წიგნში ჩაიწერა, რომ ეს მარხილი „ყინულის სახლიდან“ არის...

მუზეუმის ფონდებში ეს მარხილი ჩვენი სამშობლოს ჩრდილოეთის უსაზღვრო სივრცეების ბინადარი კამჩადალების და კორიაკების, ევენოკების და კეტების მარხილებთან დგას. სხვებისაგან იგი მისი ოსტატის ხელით მოხატული რუსული გვირილებითა და მამლაყინწებით გამოირჩევა.

## ლოტოსის ყვავილი

დარბაზებში სინათლეები ჩააქრეს, ჩვენ კი ისევ ვიდექით მუზეუმის ჩინეთის განყოფილების „ბუდისმის კულტის“ ღია კარადასთან. ჩემი თანამგზავრი, ჩინელი პროფესორი მა-სუ-ძიანი ყურადღებით ათვალეირებდა იშვიათ ბუდისტურ წიგნს. მასში მხოლოდ რვა არაჩვეულებრივი ფურცელი იყო. თვითელი მწვანე ნეფრიტის თხელ ფირფიტას წარმოადგენდა. რომელზედაც ბუდისტთა რვა წმინდანიდან ერთ-ერთი იყო ამოკვეთილი. რვა წმინდანი — ფარჩითა და მუყაოთი გამართული რვა ფურცელი. პირველ ფურცელზე წმიდათა წმინდა—ლოტოსის ყვავილია. ბუნებაში ლოტოსი ვარდისფერია. მაგრამ მთელ ბუდისტურ აღმოსავლეთში მას თეთრ ყვავილად თვლიან.

მა-სუ-ძიანი პირველად ჩამოვიდა ჩვენს ქვეყანაში და მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთს მრავალი წლების განმავლობაში ვწერდით წერილებს, პირველად მხოლოდ დღეს შევხვდით. ვიცოდი, რომ იგი სახალხო ჩინეთის ერთ-ერთი უძველესი ეთნოგრაფი იყო და ჰალარაშერთულ, სამეცნიერო ხარისხის მქონე ადამიანად მყავდა წარმოდგენილი. იგი კი საოცრად ახალგაზრდა, დაბალი ტანის, მოძრავი, კუპრივით შავი თმისა და ცოცხალი თვალების მქონე აღმოჩნდა. მა-სუ-ძიანი ბევრს მოგზაურობდა თავისი სამშობლოს სამხრეთ რაიონებში და დღემდე მონაწილეობას იღებს ტიბეტისა და სიჩუანის ყველა ექსპედიციაში.

მთელი მუზეუმი რომ დავათვალეირებთ, მან ამ კარადიდან ბუდისტური წიგნის გამოღების უფლება ითხოვა. მის ყურადღებას არ იპყრობდა ძველებური ნეფრიტის ლარნაკები ან იმპერატორის იშვიათი სამხედრო მორთულობანი, იგი ჩაფიქრე-

ბული ფურცლავდა წიგნს. ჩვენი სა- ჰარი შეწყდა და მე ვცდი-  
ლობდი გამეგო, თუ რას შეეძლო დაეინტერესებინა ჩინელი  
სტუმარი, ყურადღებით ვუყურებდი ხან მას და ხან წიგნს. ძვე-  
ლი ჩინელები ამბობდნენ: „შეხედო, რომ დაინახო, არ ნიშ-  
ნავს, რომ ნახო და იცოდე“ — და მე მა-სუ-ძიანს ვკითხე, ასე  
რატომ დააინტერესა ამ წიგნმა.

მან ფრთხილად დახურა წიგნი, გადმომცა და მითხრა:

— საკვირველია, მე ყოველთვის მეგონა, რომ ამ წიგნის  
მხოლოდ ერთი ეგზემპლარი არსებობს. საკვირველია, მაპა-  
ტიეთ, ჩემო მეგობარო, თქვენ ხომ არაფერი იცით. თუ თავისუ-  
ფალი ბრძანდებით, წავიდეთ ჩემთან.

სიამოვნებით დავთანხმდი და ჩვენი საუბარი ლენინგრადის  
სასტუმრო „ასტორიას“ პატარა ნომერში გავაგრძელეთ.

მა-სუ-ძიანმა სავარძელი შემომთავაზა. ჩემოდნიდან საქა-  
ლადე ამოიღო და მომაწოდა. მასში რამდენიმე ფერადი ფო-  
ტოსურათი იდო.

ყველა სურათზე მთის ერთი და იგივე პეიზაჟი იყო გამო-  
სახული: ბილიკი და დიდი ქვა, ზედ ამოკვეთილი რაღაც ტი-  
ბეტური ხელნაწერით. მასპინძელმა მომაწოდა სურნელოვანი  
მწვანე ჩაის ფინჯანი და მითხრა:

— შეხედეთ ამ სურათს, მე იგი ტიბეტის მთისწინეთში.  
ლხასის გზაზე, მდინარე სჩასტლივიაისთან გადავიღე.

მე დაძაბული ვათვალისწინებდი ფოტოს. მაგიდის ლაქ-  
პის შუქი კარგად ანათებდა მას და პეიზაჟი ჩემს თვალწინ  
გაცოცხლდა. შემოდგომაა: მზე, რომელსაც თავისი გზის ნახე-  
ვარი გაუვლია, გამხმარ ბალახებს სხივებს აფრქვევს და სუფთა,  
გამქვირვალე ჰაერს ათბობს. მთის ნაკადულთან დგას სალოცა-  
ვი წისქვილი. ბრინჯაოს დოლი მასზე ამოკვეთილი ლოცვების  
ტექსტით—რომელსაც ტიბეტელები ხურდეს უწოდებენ. დაბ-  
რუნე, გამვლელი, სახელური, დოლი გააკეთებს ბრუნს —  
ლოცვა წაკითხულია. ბილიკი მიიკლავნება, მის გვერდით კი  
ათასეული წლების განმავლობაში წყლითა და ქარით გაგლუვე-  
ბული კლდე დგას. მზის სხივი ქვაზე საუფლდაგულოდ ამოკვე-  
თილ ტიბეტურ დამწერლობას ანათებს. კლდის ქვეშ ქვების  
გროვია. მისგან ბილიკი რამდენიმე ადგილას ვიწრო და ღრმა ხე-

ვევით წყდება; ხეობის მეორე მხარეს იგი მკვეთრად ეშვება ქვემოთ. რამდენიმე ფიცარი და მორი ამ ადგილას ოდესღაც ხიდის არსებობას მოწმობს.

მე სურათი დავუბრუნე და ვკითხე, რა ეწერა კლდეზე, ვიმედოვნებდი, რომ მა-სუ-ძიანი მომიყვებოდა ამ პეიზაჟის და ბუდისტური წიგნის შესახებ, რომელმაც ასე დააინტერესა იგი მუზეუმში.

მა-სუ-ძიანმა ჩაი მოსვა, მოხერხებულად დაჯდა და თხრობა დაიწყო. ჩვენ განთიადისას დავშორდით ერთმანეთს.

თქვენ მეკითხებით, რას ნიშნავს ეს წარწერა, მე გიპასუხებთ. თქვენ შეგიძლიათ იგი ნახოთ როგორც მონღოლეთში, ასევე ტიბეტში—ყველგან იმ ადგილებში, სადაც ლამები და ლამაიზმის თაყვანისმცემლები ყოფილან. ეს მისტიკური ფორმულაა: „ომ, მანი პადმე-ხუმ“, რაც ნიშნავს „ო, შენ საგანძურო ლოტოსზე“. ეს წარწერა — ბუდასადმი მიმართვაა. თქვენ, ჩემო მეგობარო, ალბათ გასურთ იცოდეთ ისიც, თუ რატომ ვათვ:—ლიერებდი წიგნს ასე დაჟინებით, სად მინახავს კიდევ ასეთი წიგნი? მოითმინეთ. მე გვიამბობთ ყველაფერს, რაც ვიცი. გვიამბობთ ერთი ეპიზოდის შესახებ ტიბეტის მძიმე წარსულიდან.

დაახლოებით მეოთხედი საუკუნის წინათ, იმ ადგილებში. თქვენ რომ სურათზე ხედავთ, ტიბეტის სხვადასხვა კუთხეებიდან ლხასაში მიმავალი მლოცველებისათვის გზის მოვალეობას მხოლოდ ბილიკები ასრულებდნენ. თითქმის ყოველ შემოდგომით ყველა ბილიკი აზავერებით და ჯორებით ივსებოდა. მეცხოველები ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიერეკებოდნენ ფარებს. მაგრამ იმ დღეს, როდესაც მე მივედი ამ კლდემდე, ჩემი ცხენის ჩლიქები უკვე მოყინულ ქვებზე ცურავდა. ხოლო თვითონ მე გამლხვალ თოვლით ვიკლავდი წყურვილს. გამვლელებს იშვიათად, ოცდაათ დღეში ერთხელ თუ ვხვდებოდი.

გზა ლხასისაკენ მელო და მიზანთან უკვე ახლო ვიყავი. უცბად ჩემმა ცხენმა უკან დაიხია და შეშფოთებით აჭიხვინდა. თავზე ხმაურით გადაგვიფრინა უზარმაზარმა ფრინველმა, რომელმაც თავისი იძლავრა ფრთებით გააპო ჰაერი და კლდეზე დაეშვა. მე ვერც კი მოვასწარი მისი დანახვა, რომ ჩემი ყუ-

რადღება მიიპყრო კაცმა, რომელიც მოკრუნჩხული, ნახევრად  
შებრუნებული იჯდა დაშლილ ხიდთან ხრამის პირას. მე ვხე-  
დავდი მის გალურჯებულ სახეს, ორბისებურ ცხვირს და  
ზურგზე დაყრილ შავ გრძელ თმებს. ტიბეტელს დაძარღვულ-  
ხელები თავზე მოეხვია, მთელი ტანით ირხეოდა და ოდნავ გა-  
საგონად ჩურჩულებდა რაღაცას. მე არავითარი ყურადღება  
არ მომაქცია.

მას ცხვრის უსაპირო ქურჭი ეცვა, რომელზედაც სარტყე-  
ლი ისე ჰქონდა შემოკერილი, რომ ტანის ზემო ნაწილის ირგე-  
ლივ რაღაც ტომარის მსგავსი იქმნებოდა. ქურჭი რამდენიმე  
ადგილას დაკერებული იყო. მის ფეხებთან: ნაბდის ფართო-  
ფარფლებიანი ქუდი ეგდო. მოქნილი ტყავისლანჩიანი ყავის-  
ფერი მაულის ჩექმებს ძირები ძალზე გაცვეთოდა. ქამარზე  
გასაღებების შეკვრა, დანა და ხმლის ნატეხი ეკიდა.

ახლოს მივედი და ცხენიდან ჩამოუსვლელად მათრახის ტა-  
რით შევეხე. კაცმა ქანაობა შეწყვიტა და მზერა ჩემზე გად-  
მოიტანა. მისი შავი თვალები თითქოს ვერაფერს ხედავენო,  
დასაწყისში არაფერს ამბობდნენ, შემდეგ მათში შიში გამოი-  
ხატა.

ტიბეტელი წამოხტა და „ამბან“-ის ყვირილით განზე გა-  
იქცა. მისმა ყვირილმა ფრინველი დააფრთხო, იგი აფრინდა და  
ჩვენს თავზე დატრიალდა.

უცნობმა გომინდანელ მოხელედ მიმიღო და ალბათ შორს  
გაიქცეოდა, გაყინულ ქვებზე რომ ფეხი არ დასხლტომოდა და  
არ წაქცეულიყო. დავეწიე. იგი ჩემს ახსნა-განმარტებას არ  
უსმენდა. წამოვაყენე, ცახცახებდა და სახეში ვერ მიყურებდა.

კლდესთან მივედით. ფრინველი ჩამოფრინდა მწვერვალი-  
დან და ახლა თითქმის ჩვენს გვერდით იჯდა. ეს ლომ-არწივი  
იყო. მას ადამიანების არ ეშინოდა, რადგან ტიბეტში ამ ფრინ-  
ველს არავინ სდევნის.

მომავონდა რა ლომ-არწივის ჩვეულება, მე შიშით  
შევიძრწუნდი და როცა კაცი დაწყნარდა, ტიბეტურ ენაზე შე-  
ვეკითხე, — მას ან მის ახლობლებს რაიმე უბედურება ხომ არ  
შემთხვევია, ან ვინმე ხომ არ მომკვდარა. ტიბეტელმა ყურად-  
ღებით შემომხედა და თავის მხრივ მკითხა:

— შენ გადაგვარებული ჰეგენი ხომ არ ხარ, ოოჰელშიც მკვდრის სული სახლდება? საიდან იცი ჩემი უბედურება?

— არა, ჰეგენი არა ვარ, — ვუთხარი მე, — მაგრამ აქ ლომ-არწივს ვხედავ.

ტიბეტელმა ქვა აიღო და ძლივს ესროლა იგი ფრინველს.

— აქშა, უბედურების თანამგზავრო, დამაცადე, ახლა არა. მაგრამ მალე მოვეკვდები.

— რატომ ლაპარაკობ სიკვდილზე, განა იცი, როდის მოვა იგი? შენ ავადა ხარ, მოგეხმარები.

ტიბეტელმა მძიმედ ამოიხვნეშა და დაახველა. ქურქის კალთები გადაეწია და გამხდარი შიშველი ტანი გამოუჩნდა.

ყური მიგდე, ჩინელო, შენ ჰეგენი კაცი ხარ და იცი ფრინველების შესახებ. მეც ვიცი ზოგიერთი რამ. ძალიან დიდი ხნის წინათ, როდესაც ჩემი თმები მთის მტვერისაგან ასე უხეში არ იყო, მონასტერში წერა შევისწავლე. შემდეგ ჩემი წინამძღვრის პირუტყვს ვაძოვებდი და ხშირად მივდიოდი ზამთრის საძოვრებზე, მონასტერში კი ჩემი პირველი ვაჟი წავიდა. შენ კარგი აღამიანი ხარ, მაგრამ, როდესაც შიგნით ყველაფერი მეწვის და გადაჩინის საშუალება არ არის, დახმარებას ნუ მპირდები. მე ერთხელ უკვე დამპირდნენ დახმარებას, ჩემი ვაჟიშვილის დახმარებას, — ტიბეტელი ატირდა და დაახველა. ვიცი, რომ დღეს მოვეკვდები, განაგრძო მან, — მე გუმბუმელი ჰეგენი არ ვარ, მე ზუსტად ვიცი. ტიბეტელი დადუმდა.

გამიგონია ძველი ისტორია გუმბუმელი ჰეგენების შესახებ. ერთხელ, როდესაც გუმბუმის მონასტრებში უწესრიგობა მოხდა, დამნაშავე რვა ჰეგენი იმპერატორის მიერ ჰეკინიდან გამოგზავნილ სამსჯავროს წინაშე წარდგა. მოსამართლემ მათ მიმართა:

— თქვენ, ჰეგენებო, ყველაფერი იცით, რა იყო, რა არის და ისიც თუ რა იქნება! აბა მითხარით, როდის უნდა მოკვდეთ.

შეშინებულმა ჰეგენებმა უპასუხეს:

— ხვალ!

— არა დღეს! — შესძახა იმპერატორის დესპანმა და ბრძანა, მაშინვე მოეკვითათ მათთვის თავები.



ტიბეტელმა მაგრად დაახველა და პირთან მუქით თოვლა მიიტანა.

საპალნის ტომრიდან ლითონის ფინჯანი, ცეცხლის დასანთებლად რამდენიმე ნაჭერი აზავერას გამხმარი ფუნა — არგალა და საგზალი ამოვიღე. მე თან მქონდა მომთაბარე ტიბეტელისათვის საჭირო სურსათ-სანოვავის მარაგი: მიხაეისფერი ჩაის ფილა, ძამბა-მოხალული ქერის ფქვილი და ცოტაოდენი გამხმარი ყველი — ჩურა. სუსტ ცეცხლზე წყლის ადუღება ვერ მოვახერხე და ამიტომ იგი თბილი, დანაყილი ჩაით, ყველით და ძამბათი დავლიე.

მე ტიბეტელს შევთავაზე კერძი გაესინჯა. მან შემომხედა და თავი გააქნია:

— ჩემი ფინჯანი არა მაქვს, ტიბეტელი კი სხვისი ფინჯნიდან არასოდეს დაღევს. ასეთია ადათი.

არგალა ძალიან აბოლდა. ჩემი თანამოსაუბრე, სწორად ახველებდა; მან მიაგებო თავისი ისტორია. ჩემი უკვე აღარ ეშინოდა, მე ხომ მას საკმელი შევთავაზე.

— „მრავალი წლების წინ, ჯერ კიდევ „ხე-დრაკონის“, ესე იგი 1904 წლამდე, სიჩეანიდან, სადაც მისი გაღარიბებული მშობლები ცხოვრობდნენ, იგი ტიბეტში, ერთ-ერთ მომთაბარეთა სადგომში მოხვდა. მშობლებმა ბავშვი ორ აზავერაში და ერთ ცხვარში გაყიდეს. ბიჭი შრომისმოყვარე უშვილო ოჯახში აღმოჩნდა და მას ახლობელივით ექცეოდნენ.

ყოველ ზაფხულს მთელი ოჯახი თავისი მეპატრონის ფარებით მთებში მიდიოდა. ზამთრობით ისევე ბარში ჩამოდიოდნენ. მათ საცხოვრებელს მსუბუქი კარავი წარმოადგენდა, რომელსაც შავი აზავერას ბეწვისაგან მოქსოვილი ნაჭრით აკეთებდნენ. კარავი დაბალი, თითქმის კვადრატული იყო და ოდნავ დახრილი სახურავი ჰქონდა. დღის სინათლე და მზის სხივები შიგ სახურავზე დატოვებული განიერი ნახვრეტის მეშვეობით აღწევდა. ზამთარში აქედანვე გამოდიოდა კვამლი. კარავში არაფერი იყო ისეთი, რაც ღამით საგებლის მაგივრობას გასწევდა. გამქოლავი ქარი პალოებიდან გლეჯდა მიჩიგდანს, იჭრებოდა სადგომში და ცივი მიწის იატაკზე მძინარეებს თოშავდა.

ბიქის ახალი მშობლების საცხოვრებელში ძუდამ სიღარიბე და კვამლისა და ქვარტლისაგან სიბნელე იყო.

კარავის სიღრმეში, ოდნავ შემალლებულზე ორი ხისაგან გამოჭრილი სქელი მომცინარი კაცი — ლამაისტური კერპი იდგა. ასეთი მხიარული და სქელი ადამიანები ბიქს არასოდეს ენახა.

ერთ გაზაფხულზე იგი მონასტერში წაიყვანეს და იმ დღის შემდეგ თავისი ახალი ოჯახი აღარ უნახავს. მშობლები ტანგლას ქედზე ფარის ერთ-ერთი გადარეკვისას დაიღუპნენ.

ბიქი ფიქრობდა, რომ მონასტერში ღვთის მსახური გახდებოდა, მაგრამ ბერი გახდა. მას, ისევე როგორც მრავალ სხვას, ხეირიანად წერა-კითხვაც არ შეასწავლეს და დილაადრიან ერეკებოდნენ მონასტრის მინდვრებში. მალე იგი პირუტყვის სამწყესავად შორეულ საძოვრებზე გაგზავნეს.

ხუთი წლის შემდეგ იგი უკვე აღარ იგონებდა ბერ-მონაზვნურ ცხოვრებას, აღთქმა გატეხა და იქორწინა. ჯერ ერთი, შემდეგ მეორე ვაჟიშვილი შეეძინათ. მალე ცოლი გარდაიცვალა, მაშინ მათ კარავში არც ძამბა იყო, არც ყველი და არც ჩაი: სწორედ მშობიარობის წინ მოვიდნენ მონასტრიდან მოციქულები და რაც კი ებადათ, ყველაფერი ვალებში წაიღეს. ცოლს კი ძალ-ღონის მოკრება სჭიროდა.

უფროსი ვაჟიშვილი ნანგამი წამოიზარდა, — განაგრძობდა ტიბეტელი, — და წინამძღვარმა მომთხოვა, რომ იგი ბერად შემეყვანა. თან დამპირდა, რომ ხარკისაგან გამათავისუფლებდა თუ ვაჟიშვილს და რამდენიმე ყველაზე რბილ და თხელ აზავერის ბეწვს მივცემდი. ვაჟი წაიყვანეს, მაგრამ სად მომეგროვებინა ასეთი ბეწვი! ჩვენ ვალდებულნი ვიყავით გადასახადი გვეხადა. შესაძლებელი რომ ყოფილიყო ერთი წლით ხარკისაგან გათავისუფლება, მაშინ მე და უმცროსი ვაჟი ენჩი მეპატრონესთან — მონასტრის წინამძღვართან არ ვიცხოვრებდით. მე ვოცნებობდი ამაზე და ჩემი ფიქრები უფროს ვაჟიშვილსაც გადაედო. არ ვიცი, რას ფიქრობდა იგი მაშინ, მაგრამ აი რა მოხდა მეორე წელს, პირველი მთვარის მესამე დღეს“.

ტიბეტელი გაჩუმდა, შემდეგ განაგრძო:

„ნანგამი თან ახლდა მონასტრის წინამძღვარს და ლხასაში მოხვდა იმ დღეს, როდესაც იქ მენლამის — „დიდი კეთილსურვილების“ დღესასწაულის მოსამზადებლად მაღალი წოდების სასულიერო პირები ჩამოვიდნენ. გადავწყვიტე მლოცველების ბრბოსთან ერთად მეც წავსულიყავი ლხასაში, თან ენჩიც წამეყვანა. საღამოსთვის ჩვენ უკვე მარბორის მთასთან ვიყავით. დაღაი-ლამის სასახლისაკენ ძალიან ბევრი ხალხი მიდიოდა.

ჩვენ ბრბოს მივყვებოდით და აღმოვიჩინეთ ზედ წითელი სასახლის კედელთან; შენობის აღმოსავლეთ მხარეს სახურავიდან მიწამდე მსხვილი თოკი იყო გაჭიმული. მე იგი უსასრულო მეჩვენა. ყველა ზემოთ იყურებოდა. სასახლის სახურავზე სამი კაცი იდგა. ისინი რაღაცას იცვამდნენ და პატარები ჩანდნენ.

აუღერდა საყვირები, ყველა გაინაბა და მოედანზე გაისმა მაღალი ხმა:

ერთი წლით გათავისუფლდება ხარკისაგან, ვინც ამ თოკით ქვევით ჩამოეშვება. ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

ამ სახურავზე მდგომი პირველი კაცი მივიდა თოკთან, ზედ მუცლით გაწვა და თავით ქვევით დაეშვა. ბრბო გაინაბა. ვაჟკაცი მშვიდობიანად დაეშვა, ფეხზე წამოდგა და მსახურთან მივიდა. მან მისცა ფირფიტა დაღაი-ლამას ნებართვით, რომ იგი მთელი წლის განმავლობაში ხარკს არ გადაიხდიდა. შემდეგ მეორე წამოვიდა.

მესამე რომ გამოჩნდა, ბრბო უკვე აღარ დუმდა მოლოდინში და ბევრს შურდა ვაჟკაცების ბედი. მესამე ნაცნობად მეჩვენა. იგი უკვე თოკის ნახევრამდე ჩამოვიდა და სწრაფად მიდიოდა წინ. მიწა უკვე ახლოს იყო, ახლო იყო მხსნელი ფირფიტაც. უცებ ბაგირი დასუსტდა, კაცს თავბრუ დაესხა და მოწყვეტით დაენარცხა ქვის ფილებს. თავზარდაცემულმა ბრბომ უკან დაიხია, მე ენჩთან ერთად ვიდექი, გაშეშებული, შემდეგ გვამს მივვარდი და მუხლებზე დავეცი:

— ნანგამ, შვილო!..

ჩვენს თავზე უკვე ტრიალებდნენ ლომ-არწივები და კრავიკამიები. ასე დავკარგე პირველი შვილი, — დაამთავრა ტიბეტელმა და გაფითრებულ სახეზე ქუთუთოები აუკანკალდა, —

ხოლო მეორე შვილი და ყველაფერი რაც გამაჩნდა, დღეს დაკვარაგე“.

ლხასის კატოვების შემდეგ ტიბეტელმა გადაწყვიტა ენჩთან ერთად თავისი მონასტრის წინამძღვარი მოეძებნა და რადგან უფროსი შვილი დაიღუპა, ხარკისაგან გათავისუფლება მიეღო, მაგრამ მონასტერი ცარიელი იყო. საშინელ ავადმყოფობას — შავ ყვავილს ბერები სენაკიდან გამოერეკა. მიწაზე გვამები ეყარა. ამ მონასტერში, საიდანაც ტიბეტელი ხელცარიელი დაბრუნდა, ენჩი ყვავილით დაავადდა, წამლები არ იყო და მამა წინასწარმეტყველთან წავიდა.

წინასწარმეტყველი ბაზრის მოედანზე იჯდა და სალოცავ ბორბალს ატრიალებდა. მამას ხელებზე დაწვენილი მიჰყავდა ენჩი, რომლის სახეს შავი ყვავილის კოპლები ფარავდა. იგი წინასწარმეტყველის წინ შეჩერდა.

— ადამიანო, — უთხრა წინასწარმეტყველმა, — შენი ვაჟი საშინელი ავადმყოფობითაა ავად, მას არ შეუშვებენ შენს მომთაბარეთა სადგომში, საერთო კარავში და სოფლიდან განდევნიან. მე გეტყვი, რაც უნდა გააკეთო. თეთრი აზავერი წაიყვანე და შვილთან ერთად ლხასაში წადი. იქ ბევრი სასახლეები და ლამებია. იქ არის სამედიცინო. დაცანი, რომელიც დრაკონ-ჯანჯბორის ქედის მწვერვალზე დგას. სახლის უკანა კედელზე მწვანე, წითელი და ყვითელი ძვირფასი ქვებით გაკეთებული ბუდეების და მათ განსახიერებათა გამოსახულებებია. იქ არის დიდი იუტოგგონბო, მიუყვანე მას თეთრი აზავერი და შეიძლება გადაარჩინოს შენი შვილი. მაგრამ საეჭვოა, რომ შენ ბუდას ლოტოსისათვის თეთრი აზავერი იშოვო და თუ ვერ იშოვო, შენი შვილი მოკვდება.

ტიბეტელმა მეზობელ მომთაბარეთა სადგომში იშოვა თეთრი ხზო, აზავერას და ძროხის ნაჯვარი. და მისცა მასში ყველაფერი, რაც კი ებადა. რამდენიმე დღეა არ უქამია მას ძზამბა და თათქმის არ უძინია, თავისი სუნთქვით ათბობდა ვაჟიშვილს, რომელიც უკან მიჰყავდა ლხასში.

„მე ვიცოდი, — ყვებოდა ტიბეტელი, — რომ ხეობის შემდეგ გზა თაქვე ეშვებოდა და ლალის — ლამას სასახლის — პოტალას ოქროსფერ წვეროებს დავინახავდი, ისევე, როგორც

ადრე, აზავერი ხეობით გავდევნე, რქებზე თოჯი მოვაბი, რათა თვითონაც გადაესულიყავი, როდესაც იგი მეორე მხარეს გადახტებოდა. მაგრამ აზავერი მოწყდა და უფსკრულში ჩაეკიდა. ისე. რომ, თავი ნაპრაღის ერთ მხარეს მოედო და ფეხებით მეორე ნაპირს მიეხრინა. მისი ამოყვანა შეუძლებელი იყო და გადავწყვიტე გამეველო მის სხეულზე. ხელში ავიყვანე შვილი და წინ წავედი. როგორც კი ფეხი დავადგი აზავერს, მან წონასწორობა დაკარგა. ის იყო აზავერი უნდა ჩავარდნილიყო, რომ მე უკან გადმოვიწიე და მოულოდნელობისაგან შვილი ჩემი დასუსტებული ხელებიდან გამივარდა. ენჩმა მოასწრო აზავერას რქებში ხელის ჩავლება და ისინი, ჩემი ვაჟიც და თეორა აზავერიც, ხეობის საღრმეში მიიმალნენ.

ტიბეტელმა ტანჯვით შემომხედა, უბიდან ფარჩისყდიანი პატარა წიგნი ამოიღო, ნელა გადაუხევა ხელი და მომაწოდა:

— აიღე წიგნი. მე იგი ბერების, მიტოვებულ მონასტერში ვნახე, როდესაც პირველი შვილის, ნანგამის სიკვდილის საფასურად გადასახადებისაგან გათავისუფლება მინდოდა. მე წამოვიღე ეს მონასტრის წმიდათა წმიდა წიგნი. იქ ენჩი საშინელი ავადმყოფობით გახდა ავად. მე მეგონა ეს წიგნი მოეხმარებოდა მას, ენჩის — ჩემს მეორე ვაჟიშვილს. იგი კი იქ არის, თეთრ აზავერზე.

ტიბეტელი ძლივს წამოდგა და ხრამთან მივიდა:

ისინი იქ არიან და ლომ-არწივები უკვე თავს დასტრიალებენ.

მალე ტიბეტელი სამუდამოდ დადუმდა.

მე წიგნს დავხედე. მასში სულ რვა ფურცელი იყო, რვა მწვანე ნეფრიტის ფირფიტა, ბუღისტური რელიეფის გამოახეხულებით. პირველ გვერდზე ლოტოსის ყვავილი იყო ამოკვეთილი.

მე არ შემეძლო ტიბეტელის გვამი ლომ-არწივებისათვის დამეტოვებინა შესაქმელად და იგი მისი ხალხის წეს-ჩვეულებით არ დავასაფლავე. დიდხანს ვებრძოდი გაყინულ მიწას და საფლავი კლდის ძირში, ბილიკთან გავუთხარე. ზევიდან კი ქვები დავაყარე. იგი წევს ქვის ქვეშ, წარწერით ისეთივე ნაზოთეთრი ლოტოსის შესახებ, როგორც მისი თეთრი აზავერი იყო.

რომელშიაც იგი ვაჟიშვილის ხსნას ხედავდა. წიგნი თან წავიღე და იგი დღემდე მაგონებს ტიბეტელის და მისი შვილების ბკოს.

მე აღრე არასოდეს მენახა სხვა ასეთი წიგნი და არც ვიცოდი, რომ უცნობ ოსტატს იგი ორი და შეიძლება ორზე მეტიც შეუქმნია.

რამდენიმე წლის შემდეგ მივედი მის საფლავთან და გადავიღე სურათები, რომელსაც თქვენ ხედავთ.



მა-სუ-ძიანმა თხრობა დაამთავრა. მე ჩუმად ვიჯექი, რომ მყუდროება არ დაპერღვია და ძველ სურათებს ვუყურებდი.

რაც უფრო დაკვირვებით ვათვალიერებდი მათ, მით უფრო მკაფიოდ ისახებოდნენ თვალწინ სხვა, ჩემ მიერ ნანახი შორეული მხარის ახალი სურათები, სადაც ახალი ჩინეთის ადამიანები ბრძოლებში ამარცხებენ სიცივეს, გრძელ ღამეებს და მძიმე წარსულს. ნათლად ვხედავდი, როგორ მიქრიან ახალ ავტოსტრადაზე ავტომანქანები, რომლებიც ფარებით ანათებენ კილომეტრების ბოძებს, კლდეებს და გამვლელებს, გადადიან მდინარე „სჩასტლივიაზე“ აგებულ ხილზე და ლხასაში მიემართებიან.

## ფრინველის ზუმბულის მოსასხამი

ავსტრალიიდან დასავლეთ ნახევარსფეროსაკენ ისე თუ გა-  
ცურავთ, რომ გეზი ჩრდილოეთისაკენ გეჭიროთ, ახალ და ძველ  
სამყაროს შორის გემი პოლინეზიის უკიდურეს ჩრდილო არ-  
ქიპელაგს — ჰავაის კუნძულებს მიაღებთ.

დედამიწის ირგვლივ ინგლისური ექსპედიციის გემები „რე-  
ზოლიუშნი“ კაპიტან კუკისა და „დისკავერი“ კაპიტან კლარ-  
კის უფროსობით უახლოვდებოდნენ ამ კუნძულებს, რომელთა  
არსებობის შესახებ ევროპამ ჯერ კიდევ არაფერი იცოდა.



მძაფრი ქარი შესუსტდა. ცოტაც და ორივე ინგლისის დრო-  
შით მიმავალი დიდი გემი დრეიფში მოექცეოდა.

— კაპიტანო, კაპიტანო! — გაშმაგებით მოისმა უცებ სამეთ-  
ვალყურეო კასრიდან, — მეხი დამატყდეს, თუ მიწას არ ვხე-  
დავდე.

მთელი ტანით შემართული მეზღვაური ყვიროდა და ხელით  
პირდაპირ გემის გეზის მიმართულებით, ჩრდილო-აღმოსავლე-  
თით უჩვენებდა.

მოგეჩვენა, დიკ, აქ მიწა არ არის. მე ვერ ვხედავ მას!

— კაპიტანო, თქვენ იქით არ იყურებით! — ყვიროდა ზე-  
მოდან მეზღვაური.

ჯეიმს კუკი მკვეთრად შემობრუნდა, სამეთვალყურეო ჰოგ-  
რი აიღო და წინ გაიხედა.

— მიწა, მართლაც მიწა, რუკებზე კი აქ ცარიელი ოკეა-  
ნია, — ჩაფიქრებით წარმოთქვა მან და მეზღვაურს შეს-  
ძახა:

— დიკ, გამონახე ყურე!

— არის, სერ!

ორივე კარგად შეიარაღებული ხომალდი ქარის ყოველი დაქროლებით სარგებლობდა და ნელ-ნელა უახლოვდებოდა უცნობ მიწას.

ოკეანეში ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ რვა დიდი კუნძული ჩაკვითაა გადაბმული. მოგზაურების წინ არქიპელაგის ყველაზე სამხრეთით მდებარე და ყველაზე დიდი კუნძული — ჰავაი წარსდგა. მასზე მაუნა-ლიას და მაუნა-კეას ვულკანების დათოვლილი მწვერვალები იყო აღმართული. მათი თოვლიან ქედების გაღნობა ტროპიკების მხურვალე მზესაც არ შეუძლია. რაც უფრო ახლო მიდიოდნენ მთების ძირთან, მით უფრო ხშირდებოდა ტროპიკული ტყე. აღმოსავლეთის დაბლობებს ხასხასა ხალიჩასავით ფარავდა ფაფუკი მცენარეულობა. დასავლეთში, სადაც წვიმები ნაკლებია, მცენარეულობაც მცირე იყო.

კუნძულის ნაპირები ხან ციცაბოა, ხან დამრეცი. ბევრგან აქაფებული ტალღები მარჯნის ბრაგეების არსებობაზე მეტყველებდნენ და აფრთხილებდნენ მოგზაურებს, რომელთაც მხოლოდ პატარა სოფლის გასწვრივ შესძლეს მოეძებნათ მყუდრო ნავსადგური.

— კაპიტანო! — გაისმა ზემოდან, — მე ვხედავ ყურეს. მაგრამ ტალღებმა წამილოს, თუ ადამიანებსაც არ ვხედავდე. ისინი ნაევებში ხტებიან, კაპიტანო, თუ კაციჭამიები არ არიან, მე არ ვარ მათთან შეხვედრის წინააღმდეგი, რადგან საკმაოდ რიგიანად გამოიყურებიან.

ხომალდები ნავსადგურში შედიოდნენ და შორეული ნაგებობებისა და ნაპირზე გამოსული ადამიანების გარჩევა უკვე შეუიარაღებელი თვალითაც შეიძლებოდა.

— ეს ადამიანები ნამღვილად ლამაზები არიან, — მიმართა კუკმა ოფიცრებს. — ბატონებო! ჩვენ ახალი მიწა აღმოვაჩინეთ. შესაძლებელია ყოველგვარი მოულოდნელობა, ყველა აგთხოვთ ადგილებზე იყოთ.

იალქნები ჩამოხსნეს და ბრძოლისათვის გამზადებულმა ხომალდებმა ლუზა ჩაუშვეს. უკვე რამდენიმე თვეა კუკის ექს-



პედიცია ზღვებს და ოკეანეებს სერავს. უკან დარჩა დაუსახ-  
ლებელი ნაპირები და დასახლებული ქვეყნები, და ყოველთვის,  
როდესაც პორიზონტზე ახალი მიწა გამოჩნდებოდა, გემის  
ეკიპაჟს მღელვარება იპყრობდა. ასეთ წუთებში კუკი ცდილობ-  
და, სიმშვიდე შეენარჩუნებინა: „რა მელის მე ამ ახალ მიწა-  
ზე, — ფიქრობდა კაპიტანი, — რა ხალხია, რას მიქადის მათ-  
თან შეხვედრაო?“

ახლოდან შეიძლებოდა გარჩევა, რომ აღმოჩენილი მიწა  
დიდი დასახლებული კუნძული იყო, დანარჩენი კუნძულები  
მისგან მარცხნივ შუადღის ბუღში ჩრდილოეთისაკენ იკარგე-  
ბოდნენ.

ხომალდების შესახვედრად ნავებით მიიჩქაროდნენ ადგა-  
ლობრივი მცხოვრებლები.

იმ დროს რვავე კუნძულის მოსახლეობა ერთმანეთის მი-  
შართ მუდმივად მტრულ განწყობილებაში იმყოფებოდა. მე-  
ზობლები თავს ესხმოდნენ ერთიმეორეს, მიჰქონდათ ნადავლი,  
მიჰყავდათ ტყვეები თავიანთ სოფლებში და მონებად აქცევდ-  
ნენ მათ. მთავარი მტრები ნაყოფიერებით განთქმული ჰავაის  
და ოახუს კუნძულების მცხოვრებლები იყვნენ. ომები ათეულ  
წლობით გრძელდებოდა. კუნძულებზე სახელმწიფოები ყალიბ-  
დებოდა.

ყოველ მათგანს თავისი უმაღლესი გამგებელი — მიწებია,  
ტყეებისა და წყლების მფლობელი ჰყავდა. ეს წყლები რეცხავ-  
და ხრამიან, შიშველ კლდეებს და უხვი მცენარეულით დაფა-  
რულ დამრეც ნაპირებს.

კუნძულის ყველაზე მდიდარ და წარჩინებულ მცხოვრებ-  
ლებს ალიას უწოდებდნენ. როდესაც გამგებელი კვდებოდა,  
თვითეული ალია ცდილობდა ხელთ ჩაეგდო ძალაუფლება და  
მეორის წინააღმდეგ ომს იწყებდა. რამდენი სიცოცხლე მიჰ-  
ქონდათ ამ ომებს. კუნძულზე და კუნძულებს შორის ყველა-  
ზე მეტად თავისუფალი გლეხები, ხელოსნები და არენდა-  
ტორები იტანჯებოდნენ. წინამძღოლის დამარცხების შემთხვე-  
ვაში მათ ყოველთვის ემუქრებოდათ მონებად ქცევის საფრთ-  
ხე, ხოლო რა შეიძლება იყოს ადამიანისათვის უფრო საშინე-  
ლი, ვიდრე თავისუფლებისა და ადამიანობის დაკარგვა? მონი-

სათვის სიცოცხლის შენარჩუნება ალიების ძალაუფლებაში შედიოდა.

რას არ ფლობდნენ ალიები. მათ ეკუთვნოდათ თუთიყუში ყვითელი ოო და წითელი ნივიცკი, რომლებიც განუწყვეტლივ დაფრინავდნენ სანდლის ხშირ ტყეში.

კუნძულების სახელმწიფოებს თავიანთი დაუწერელი კანონები ჰქონდათ, რომელზედაც მხოლოდ ალიებს და ქურუმებს შეეძლოთ მსჯელობა. ქურუმების ძლიერი კასტა ძლევამოსილებით ალიებს ეტოლებოდა. ისინი ფხიზლად იცავდნენ თავიანთი გამგებლის ინტერესებს. მათი ძალაუფლება უსასზღვრო იყო.

„ტაბუ! ტაბუ!“ — წმიდათა წმიდა და ხელშეუხებელი „ტაბუ“ — „აკრძალვა“, ტაბუედო მთებსა და ტყეებს, გამოქვაბულებსა და საკერპეებს, სადაც ქურუმები საიდუმლო ზიარებას — მსხვერპლშეწირვას აწყობდნენ.

ტაბუ ჰქონდა გამგებლის მემკვიდრესაც. უბრალო მოკვდავს, რომელიც გაბედავდა დღისით შეეხედა მისთვის, მყიპე კლავდნენ. ოკეანეში დაჭერილი პირველი თევზი ტაბუ იყო. მას გამგებელს უგზავნიდნენ საჩუქრად. ახალი ხეების პირველი ნაყოფიც — გამგებლის სუფრაზე მიდიოდა. ოო-სა და წავი'ა ბუმბულისაგან დამზადებული გრძელი მოსასხამი მამოც—ისევ ტაბუ იყო. მისი ტარება მხოლოდ გამგებელს შეეძლო და არათუ მისი უახლოესი თანამემწეები, არამედ ყველაზე წარჩინებული ალიებიც კი ვერ ბედავდნენ ჰქონოდათ გრძელი მოსასხამები, ისინი წამოსასხამებს ან მოკლე მოსასხამებს — ახუულას ატარებდნენ.

ტაბუს დარღვევას ვერავინ ბედავდა. ქურუმებმა ტაბუს დარღვევის შესახებ ბევრი ლეგენდა და საშინელი ისტორია იცოდნენ, რითაც ხალხს აშინებდნენ. ისინი ამ ლეგენდებს ცერემონიებზე მღეროდნენ და დღიდან დღემდე თავიანთ თანატომელებს გამგებლის, ღმერთებისა და სულებისადმი მორჩილებას შთააგონებდნენ.

კუნძულზე ერთი ალია ცხოვრობდა, რომელიც აშკარად

დასცინოდა უაზრო ტაბუს და ქურუმების მიერ შეთხზულ ლეგენდებს. ვაჟკაცი კაცი, ძლიერი და წარჩინებული ალია. რომლის სიმდიდრე თითქმის თვით გამგებლის სიმდიდრეს უტოლდებოდა, შიშს გვრიდა კუნძულის მბრძანებელს. ალიას კამეამეას ეძახდნენ.

ოცი წლის კამეამეა სათავეში ჩაუდგა თავის ოხანს—თემს. კუნძულზე ჯერ ასეთი რამ არ მომხდარა. ყველა ძმები და დები, მათი ცოლები და ქვრები, ბავშვები და ბიძაშვილები მას ემორჩილებოდნენ, ხელმწიფე-მმართველის წინაშე მხოლოდ ის ერთადერთი აგებდა პასუხს. კამეამეას სამფლობელო კუნძულის სხვა ოლქებზე—მოკუხე დიდი იყო. მისი ოხანის მიწები კი, რომლებიც მთისპირა და სანაპირო რაიონებში იყო გაშლილი, მოხერხებულ და ნაყოფიერ ადგილს წარმოადგენდა. მინდვრებზე და მთის ფერდობებზე მოწყობილ ტერასებზე კუნძულის ძირითადი კულტურები ტარო და იამსი იზრდებოდა. გვალვების დროს კვირაში ერთხელ მინდვრებს ფარებით გადაკეტილი მთის მდინარეების ნაკადებით რწყავდნენ. როდესაც მინდვრებზე და ტერასებზე წყალი იღგა, ისინი ქვებით ამოშენებული აუზის შთაბეჭდილებას ტოვებდნენ.

კამეამეას საცხოვრებელი, ჩვეულებრივი სწორკუთხა სახლი ლატანებისა და ბალახებისაგან იყო აგებული და ტოტემითა და ფოთლებით დაფარული, ორმხრივ დაქანებული სახურავი ჰქონდა. კამეამეას რამდენიმე სახლი ჰქონდა: ერთი თავისთვის, მეორე ქალებისთვის, მესამე ხელოსნებისა და მონებისათვის. ერთი პატარა სახლი კი კერპებისათვის იყო განკუთვნილი. მასში ინახებოდა დიდი ღმერთის ლონოს ხის ძველი ქანდაკება. კუნძულის მთავარ ქურუმს ეშინოდა კამეამეას ამ მფარველი ღმერთისა და ცდილობდა, ალიას ტაბუზე დაცინვას არ შეემჩნია.

კამეამეას ხელოსნები და მონები დახელოვნებული ოსტატები იყვნენ. ისინი ორნამენტით მოხატულ ჭურჭელსა და გოგრის კოლებასებს აკეთებდნენ, ვულკანური ლავის ნაჭრებისაგან, სარკეებს აპრილებდნენ და მონებისათვის მიწის დასამუშავებელ უმარტივეს იარაღებს — წვეტიან კეტებს ამზა-

დებდნენ, ასეთი ლამაზი კოლებასებისა და სარკეების დამზადება გამგებლის მონებსაც კი არ შეეძლოთ.

კამეამეას ხელოსნებმა და მონებმა ტროპიკული ფრინველების პაწაწა ბუმბულისაგან ალიას ტომის მეთაურის მორთულობა—მაღალსავარცხლიანი ჩაფხუტი და მოკლე მოსასხამი დაწნეს. ამ მორთულობაში მფლობელის ახოვანი ტანი და ამაყად აწეული თავი დიდებულ სანახაობას წარმოადგენდა.

ხასხასა წითელ მოსასხამზე სიმეტრიულად იყო განლაგებული ყვითელი ბუმბულის ნახკები, რომლებიც ძალიან წაავადნენ ძველებური ცულის პირს. განიერი ყვითელი არშია ამშვენებდა მოსასხამის ბოლოს, მსუბუქი ყვითელი არშია დაუყვებოდა წითელი მუზარადის სავარცხელსაც.

მაგრამ გამგებლის შურსა და გაშმაგებას იწვევდა არა სიმდიდრე, არამედ ის, რომ კამეამეას მასზე მეტი ჰყავდა იშვიათ თუთიყუშებზე მონადირეები, ფრინველმჭერები, რომ ომების დროს კამეამეა ალიებში მებრძოლთა ყველაზე დიდ რაზმს გამოყოფდა; რომ ალია, რომელიც უკვე მთვარის ორმოც წელზე მეტს ცოცხლობს, აწყობს „სიკვდილის გამოცდას“, რომლის აკრძალვა ან გამეორება გამგებელს არ შეუძლია. ამ გამოცდას თვითონ უმაღლესი ქურუმი აკურთხებდა და კუნძულის მბრძანებელი იძულებული იყო დასწრებოდა მას.

წელიწადში ერთხელ წვრილი კენჭებით მოფანტულ შიშველ ნაპირზე ყველა ოლქიდან იკრიბებოდნენ ალიები და თავისუფალი გლეხობა. კამეამეა ნაპირის გასწვრივ დადიოდა, ხოლო რამდენიმე მებრძოლი მას შუბებს ესროდა. მისი დაკუნთული ტანი დარტყმების ძალას ამცირებდა, იგი მარდად უქცევდა გვერდს მისკენ გამოსროლილ იარაღს, წინ მიდიოდა, ბუქნავდა, ხტოდა და შუბებს ხელებით იჭერდა.

კამეამეას სიმამაცით და სიმარჯვით ყველა აღტაცებული იყო, მაგრამ ამ გამოცდის გამეორებას ვერავინ ბედავდა. კამეამეას დიდება გადადიოდა კუნძულიდან კუნძულზე, ხოლო მბრძანებელი თავს იმით ინუგეშებდა, რომ კამეამეა ვერასოდეს ჩაიცივამდა მამოს მოსასხამს.

ამაყი ალია კი სხვაგვარად ფიქრობდა. მან დიდი ხნის წინ

უბრძანა თავის მონებს დაემზადებინათ მისთვის მამოს გრძელი მოსასხამი. მისი გაკეთება მხოლოდ მოხუცებს შეეძლოთ. ისინი ვინც წვნა დაიწყო, ცოცხლები აღარ იყვნენ და ახლა მათ შრომას სხვა ოსტატები აგრძელებდნენ, ძირთან, რომელიც მცენარე ილონას ბოჭკოებისაგან დამზადებულ ბაღეს წარმოადგენდა, ერთიმეორეზე პაწაწინა ბუმბულების მიმაგრება იყო საჭირო. თუ მოკლე მოსასხამის დამზადებას წლები ჰქირდება, გრძელი მოსასხამისათვის, კუნძულის უმაღლესი მბრძანებლის მოსასხამისათვის — ათეული წლებია საჭირო. საჭირო იყო თითქმის ორიათასი თუთიყუშის ბუმბული და იგი კამეამეამ დაქვემდებარებულ ტომებს შეაწერა.

ამ ალიას, ალბათ, მართლაც არ ეშინოდა ღმერთებისა, თუ გაიფიქრა გამგებლის სიცოცხლეში კუნძულის, და განა მართო ერთი კუნძულის, მბრძანებელი გამხდარიყო. მისი საქმეების საიმედო თანაშემწემ, თვით საყვარელმა ბიძაშვილმა კოამაც კი არ იცოდა, რა შორს მიდიოდა კამეამეას ჩანაფიქრი.

\* \* \*

ჯერ კიდევ დილით, როდესაც ღია ოკეანეში კუნძულისაკენ სწრაფად მომავალი ორი წერტილი შეამჩნიეს, კამეამეამ კოას ჩამდენივე მებრძოლი გააყოლა, ნაპირზე გაგზავნა და უბრძანა ახალმოსულების შესახებ გაეგო.

დიდი დრო გავიდა, მზე ჩადიოდა, კოა კი არ ჩანდა. ალია ნერვიულობდა. ნავსადგური კამეამეას სახლიდან მთის ფერდობით იყო დაფარული. მწკრივში მდგარი მონები მეპატრონეს გადასცემდნენ, რას ხედავდა მწვერვალზე მდგომი. იგი უკმაყოფილო იყო. მიღებული ცნობებიდან ვერ გაეგო, თუ რატომ ყვირიან იქ „ლონოს!“ და რა იყო ეს მეხისებური დარტყმა, რომელიც მთის გადაღმიდან გაისმა. „ნუთუ, — ფიქრობდა ალია, — თვითონ უნდა წავიდე ნაპირზე? არა?“

მან დაუცადა კოას დაბრუნებას.

— სერ, შეხედეთ, როგორ მარჯვედ მართავენ ისინი თავიანთ ვარცლებს, თქვა დიკმა, რომელიც კუკს არ მოსცილებია მას შემდეგ, რაც ხომალდებმა ღუზა ჩაუშვეს. ფლაგმანზე „დისკავერიდან“ გადმოვიდა კლარკიც, რომელიც უკანასკნელ ხანს ჯანმრთელობის გაუარესების გამო გემბანზე იშვიათად გამოდიოდა. მეზღვაური ხომალდისაკენ მომავალ მსუბუქ ნავეებზე მიუთითებდა.

გრძელი ნავეები იყო. მათგან უმრავლესობას გვერდებზე ბალანსირები ჰქონდა მიმაგრებული, რაც პირველ შეხედვაზე ამ ტლანქ ნავეებს მდგრადობას აძლევდა. მთლიანი ხის ტანისაგან გამოკვეთილი და ორივე მხრიდან წაწვეტებული, ისინი მსუბუქად და სწრაფად ცურავდნენ ტალღებზე. კუნძულის მცხოვრებთა მთელ ჩაცმულობას ბარძაყების გარშემო შემოვლებული ვიწრო შემოსაკრავი და ხელ-ფეხზე ასხმული ნიჟარის სამაჯურები შეადგენდა.

— კაპიტანო კლარკ, — მიმართა კუკმა თავის სტუმარს, ხომ არ გაგონებენ ისინი მებრძოლ რომაელებს? შეხედეთ იმ ორის მუზარადს. შეიძლება ჩვენ იმ ქვეყანაში ვართ და ცეზართან შეხვედრა გველის, ხოლო ეს ის მებრძოლებია, რომლებსაც ნელ ცეცხლზე სწვავდნენ და მათი კანი წითლდებოდა.

კუკს გაეღიმა და ჭოგრი კლარკს გადასცა. ორი ნავის ცხვირთან ტანადი კაცები იდგნენ ლეგიონერების ბეგთარის მსგავსი წითელ-ყვითელი მუზარადებითა და განიერ ბეჭებზე ასეთივე ფერის მოსასხამებით. კუნძულის მცხოვრებნი ნელა მიცურავდნენ. მხოლოდ ნიჩბებქვეშ ჩქაფუნობდა წყალი. კლარკმა მტკივნეულად გაიღიმა და ჭოგრი კუკის თანაშემწეს — კინგს — გადასცა.

— სერ, — ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარმოთქვა კინგმა, — თქვენ არ მიაქციეთ ყურადღება ნაჯახებსა და ხელშუბებს, რომლებიც სატანის მღუმარე მოციქულებს ხელში უჭირავენ?

კუკმა ჭოგრი თვალბთან მიიტანა. დიახ, იგი ხედავს იარაღს. უცნობების მშვიდი და მამაცი სახეები არც შიშსა და

არც სიძულვილს არ გამოხატავდნენ. ისინი მშვიდები არიან, საკვირველად მშვიდები.

— ნუ სწუხართ, სერ, — დიკი კინგისაკენ მობრუნდა, — ჩვენ ჯოჯოხეთი არ გველის. ნურც შემხვედრია ზურგის ქარი, თუ ვსტყუოდე. აქაური მკვიდრები, როგორც ჩანს, მშვიდობის-მოყვარე ხალხია. ყოველ შემთხვევაში მათ ჩვენზე თავ-დასხმა არ სურთ, მაგრამ ეშმაკივით ცნობისმოყვარენი არიან.

— დიკი მართალია, — კლარკი ნელა წავიდა კაიუტისაკენ, კინგმა კი ზიზლით აიჩეჩა მხრები. მას ვერ გაეგო, რატომ აძლევდა კაპიტანი კუკი დიკს ოფიცრების წინაშე თავისი აზრის გამოთქმის საშუალებას. „რა თქმა უნდა, იგი სასარგებლო მეზღვაურია, მრავალი ენა იცის, სხვებზე ნასწავლია, მაგრამ მაინც“... ნავეების ფლოტილია გაიყო და ხომალდების შემოვლა დაიწყო. კინგი მკვეთრად შემობრუნდა კუკი-საკენ.

სერ, არ გეჩვენებათ, რომ ეს მეტისმეტია? ადგილობრივი ხალხი ჩვენ ალყას გვარტყამს და რაკი ეს მოჩვენება არ არის, ხომ არ იქნება საჭირო მათი შეშინება?

კუკმა არ უპასუხა, მისი ტვინი გამალებით მუშაობდა: „რა უნდათ მათ?“ მეზღვაურები ფარული შიშით შესტკეპროდნენ, თუ როგორ არტყამდნენ ნავეები ხომალდებს ალყას, — „რა უნდათ მათ?“

გასაოცარი, შემზარავი სიჩუმე იდგა. ნავეები არ ცდილობდნენ ქიშთან მიდგომას. გაცნობა შორიდან ხდებოდა.

უცებ ერთი ნავი ღუზის ბაგირს მიუახლოვდა, კუნძულელი გაკვირვებით აქნევდა თავს, მან ხელი მოჰკიდა ბაგირს და რაღაც ინსტრუმენტით მონღომებით დაუწყო ხერხვა. ბაგირი ადგილიდან არ იძვროდა, კუნძულელმა მოსწია იგი, ვერ გაიგო რა იყო და იმედგაწყვეტილმა უკან გასცურა.

კუკმა იმდენად ძლიერად ჩაბღუჯა ჰოგრი, რომ თითების ბოლოები გაუთეთრდა. კინგი კაპიტანს მიუახლოვდა.

— მე მართებულად ჩავთვლიდი, სერ, რომ ზარბაზნების დატენის ბრძანება მიგვეცა.

— მიეცით ბრძანება. — კუკი ხომალდის კიდესთან მივიდა.

ნავეები ხომალდს მჭიდროდ შემოერთებენ გარს. კუნძულელები კუკზე მიუთითებდნენ, ხმამალა „ლონოს“ გაპყვიროდნენ და პირქვე ემხოზოდნენ.

მალე ისინი წამოდგნენ და ახლა უკვე ოკეანეზე რაღაც საოცრად მელოდიური, ხმამალალი სიმღერა გაისმა, რომელიც საბრძოლო მარშს ან ჰიმნს წააგავდა.

ტალღებმა მშთანთქოს, — დიკი ცდილობდა დაეფარა მომღერლების ხმა, — თუ ეს ჰიმნი არ იყოს ჩვენს პატივისაცემად. კაპიტანო! ჩემთვის ნაცნობია ზოგიერთი სიტყვები, მე ის სამხრეთში, ურჩხულის ქეების მიწასთან გამიგონია. ისინი თქვენ ლონოს გეძახიან, რა გსურთ იღონოთ, კაპიტანო?

მაგრამ კუკს მეზღვაურის არ ესმოდა; იგი კინგისაკენ შემობრუნდა და ცეცხლის გახსნა უბრძანა, ისე რომ ნიშანი ნავეების უკან ყოფილიყო.

— მე მათ მხოლოდ შევაშინებ, — გადაწყვიტა კუკმა.

სროლის ხმა გაისმა, ოკეანე, კუნძული და ნავეები წამით კვამლმა დაჰფარა.

— ახლა დაიფანტებიან! — წამოიძახა კინგმა და ჭოგრი თვალებთან მიიტანა.

წუთის შემდეგ მან ჭოგრი კუკს მიაწოდა.

— თვითონ შეხედეთ, სერ, მე არაფერი მესმის.

ნავეები ადგილზე იდგნენ, მათში მჭდომნი კი სიხარულით ხმამალლა გაპყვიროდნენ უკვე ნაცნობ მოკლე სიტყვას — ლონოს!

— კუკი უკმაყოფილო იყო თავისთავით. ნერვებმა ვერ გაუძლეს! მან ზარბაზნების დაცლა ბრძანა და სწრაფად გაემართა კაიუტისაკენ.

სალამოსთვის ნავეები ნაპირზე გაბრუნდნენ და კუკმა ყველა ოფიცერი თავისთან გამოიძახა.

— ბატონებო, — კუკი მაგიდაზე გაშლილ რუქასთან მივიდა და თითოთ კამჩატკის ჩრდილოეთ წერტილზე მიუთითა, — ჩვენ ბერინგის სრუტისაკენ მივდივართ. დრო ცოტა გვაქვს და რა დალოცვილი ადგილიც არ უნდა იყოს. ამ უცნობ კუნძულებთან შეჩერება არ შეგვიძლია. დიდი გზა გველის, შეიძლება ადამიანებს, მტკნარ წყალს და საკვებს ველარსად შევხვ-



დეთ. მიუხედავად კუნძულის ბინადრებთან წარუმატებელი :გაცნობისა, ჩვენ მხოლოდ აქ შეგვიძლია შევავსოთ წყლისა და სურსათის მარაგი.

— ამ კუნძულებზე, სერ? — გესლიანად შენიშნა კინგმა:

— დიახ, სერ, ამ კუნძულებზე, რომლებმაც თქვენ ასე შეგაშინათ. კუკმა გაჯავრებით შესედა თავის თანაშემწეს. სწორედ აქ, ამ კუნძულებზე, ბატონებო. ეშმაკმა წაიღოს, მათ ჯერ კიდევ ვერაფერი ვუწოდეთ. ჩემი წინადადებაა სანდვიჩის კუნძულები დავარქვათ, ბრიტანეთის საადმირალოს ლორდის სერ სანდვიჩის პატივსაცემად. ბატონი ოფიცრები წინააღმდეგნი ხომ არ არიან? — კუკმა შეკრებილთ გადახედა, რომლებიც ყურადღებით არჩევდნენ რუკას და თავის ქნევით გამოხატეს თანხმობა. — ამრიგად, ბატონებო, ხვალ დილიდანვე აღგილობრივ მოსახლეობასთან გადასაცვლელად მოამზადეთ მძივები, სავარცხლები, ნეშები და ბეჭდები. თუ ისინი თავიანთ ელჩებს არ გამოგზავნიან ხომალდზე, მაშინ დიკთან და ერთ-ერთ თქვენთაგანთან ერთად მე თვითონ გადავალ ნაპირზე.

ტროპიკული ღამის ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედული. ნაპირზე კი საცხოვრებლებში გათენებამდე არ ჩამქრალა სინათლეები და ადამიანები გასული ღლის მომხდარ ამბებზე მსჯელობდნენ. მხოლოდ კამეამეამ არ იცოდა საფუძვლიანად რა მოხდა, მაგრამ მას შეეძლო ლოდინი. იგი მოთმინებით უცდიდა კოას.

კამეამეამ წამით ჩათვლიმა, მაგრამ მალე გამოაფხიზლა მსუბუქმა ფაჩუნმა. თვალები გაახილა. მის წინ მოკრძალებულად იდგა კოა და სიტყვები ენის წვერზე უტრიალებდა.

კამეამეას გაელიმა:

— შენ, როგორც ჩანს, მმართველის სახლში და სულების უმაღლეს მეუფესთან იყავი, მომიყვები, დიდხანია გიცდი.

— დიახ, გამგებლო, მე ვიყავი სქელ ტორეობოიასთან (აქ კამეამეამ გაიცინა: კუნძულზე არავის შეეძლო ხმამაღლა ეწოდებინა ასე გამგებლისათვის, მაგრამ მის სახლში ხალხი უფრო თამამი ხდებოდა) და სულების უმაღლეს მეუფესთან, მე ახლოს მივედი დიდ ნავებთან, რომლებიც წინათ ოკეანეში არ

შემხვედრიან და მათზე ვნახე ადამიანები ისეთივე თეთრი კანით, როგორც დიდ ლონოს ჰქონდა. მათ ოკეანეში დიდი შავი მორიდან ცეცხლი გაუშვეს და ჩვენი ხალხი „ლონოს“ ყვიროდა. ლონოს შესახებ ლაპარაკობდნენ სქელ ტორეობოიასთან და უმაღლეს ქურუმთან. — „ხვალ ლონოს დღეა! ხვალ ლონო ჩვენთან დაბრუნდება. იგი ორი დიდი ნავით მოვიდა და მასთან ერთად მთელი მისი ოჯახი — ტომი არის“. ასე სთქვა სულების უმაღლესმა მბრძანებელმა, ხოლო შემდეგ იმღერა ლეგენდა, რომელიც თვით მმართველმაც არ იცის, — ლეგენდა ლონოს შესახებ. მე ყველაფერი მოგახსენეთ, მაგრამ თვითონ არაფერი გამეგება. მე ნავებზე ვნახე თეთრკანიანი ადამიანები, განა ისინი ღმერთები არიან?

კოა დადუმდა და მოთმინებით შეხედა კამეამეას, იგი კი თვალბდახუჭული იჯდა და ფიქრობდა. მან, რა თქმა უნდა. იცის ლეგენდა ლონოს შესახებ. მამა ხშირად უყვებოდა მასზე.

ლონო ძლიერი და მამაცი მებრძოლი იყო, გულადი მონადირე და კარგი მეთევზე. იგი ერთ-ერთი პირველთაგანი დასახლდა ამ კუნძულზე. მის ტომს ყოველთვის ყველაფერი საკმარისი ჰქონდა. მას ყველგან პატივს სცემდნენ, როგორც ბელადს და ქედს უხრიდნენ, როგორც მზის ღმერთს. მას თეთრი კანი ჰქონდა.

ერთხელ ლონოს ცოლმა ტაბუ დაარღვია, მის წინაშე ქოქოსის კაკლის წვენი დალია, წეს-ჩვეულება კი ქალს უკრძალავდა მამაკაცთან ერთად სახლში ექამა საკმელი. განრისხებულმა ლონომ მოჰკლა იგი. შემდეგ კი სინანულისაგან ნაწამები ღრმა მწუხარებას მიეცა და გონება დაკარგა. ნუგეშს იგი სიკვდილში ეძიებდა, შემოიარა ყველა კუნძული და მსურველებს საბრძოლველად იწვევდა, მაგრამ მისი დაძლევა ვერავინ შეძლო, ლონო უკვდავი იყო. მაშინ მან კუნძული დატოვა, ნავით გაემგზავრა და თქვა, რომ დაბრუნდება მაშინ, როდესაც ღმერთებისგან შეწყნარებას დაიმსახურებს.

მას შემდეგ ასეული წლები გავიდა. ყოველი წლის იმ დღეს, როდესაც ლონომ კუნძული დატოვა, მუშტი-კრივი იმართება. ამავე დღეს აწყობს კამეამეაც „სიკვდილის გამოცდას“.

კამეაშეამ იცოდა, რომ კოა მისგან პასუხს ელოდა და თვალებში პირდაპირ შეხედა ბიძაშვილს.

— ხვალ ლონოს დღეა. ხვალ ეს ადამიანები, ანუ ღმერთები ნაპირზე გადმოვლენ. შენ, კოა, ადამიანების არ გეშინია და არც ღმერთების შეგეშინდება, შენ მათთან წახვალ, ყველაფერს ნახავ და დაიმახსოვრებ. თოთხმეტი მეტრძოლო თანახმაა ხვალ შუბები მესროლოს. შენ თეთრკანიანებს ნაპირზე მოიყვან, თუ ისინი ღმერთები არიან, ჩვენს ენას გაიგებენ. შეგიძლია მათ უთხრა, ხომ არ გეშინია, კოა?

— არა, მბრძანებელო, არ მეშინია!

კოამ პატრონის ბინა დასტოვა. მაუნა-ლოას თავზე მზე ამოდიოდა. დილა აღვიძებდა ყურეს და სოფელ კარაკაქუს. დადგა ლონოს დღე.

კოა ორ მხედართმთავართან და რამდენიმე მეტრძოლთან ერთად ნავით ღმერთების შესახვედრად გაემართა. მალული შიშის გრძნობით და ცნობისმოყვარეობით შეპყრობილნი მიადგნენ ისინი ხომალდის ქიმს. ტანს სამივეს ალიების სადღესასწაულო მორთულობა ემოსა. ხომალდიდან თოკის კიბე გადმოაგდეს და კოა გაბედულად აცოცდა მასზე. მაღლა, გემბანზე იგი პირისპირ აღმოჩნდა თეთრკანიანი ღმერთების წინაშე, პირქვე დაემხო და მისალმება წარმოთქვა. იგი დარწმუნებული იყო, რომ ღმერთი მის ენას გაიგებს. ლონო ხომ ამ კუნძულზე ცხოვრობდა.

— დიკ, თქვენ რაიმე გაგეგებათ? — მიმართა კუკმა თავის რჩეულს.

— რალაც გამეგება, სერ, მე მგონია, რომ იგი რომელიღაც ღმერთ ლონოსადმი მისალმებას წარმოთქვამს. მე შევეცდები ვკითხო მას.

დიკი სწრაფად ალაპარაკდა სამხრეთის კუნძულების ადგილობრივი მცხოვრებლების კილოზე. სანამ მეზღვაური თარგმნიდა, კოა გაიმართა და ცნობისმოყვარეობით უყურებდა თეთრკანიანს. „მან ჩვენი ენა ვერ გაიგო, ხოლო ეს წვერებიანი თეთრკანიანი ისე ლაპარაკობს, როგორც ჩვენთან კუნძულებზე არ ლაპარაკობენ, მაგრამ მისი სიტყვების გაგება შეიძლება. ღმერთმა ლონომ თავის ენა ვერ გაიგო, ეს ნიშნავს“... — კოას თავისი მოსაზრების შეეშინდა და თქვა:

— კუნძულის გამგებელი და ჩემი მბრძანებელი სთხოვს თეთრკანიანს კუნძულზე მის პატივსაცემად, ღმერთ ღონოა პატივსაცემად გამართულ დღესასწაულზე მობრძანდეს.

დიკმა ძლივს გაიგო კუნძულელის სიტყვები, გადათარგმნა და თავის მხრივ დაუმატა:

— სერ, რამდენადაც მე გავიგე, თქვენ მათ ღმერთად მიგიღეს და თქვენს პატივსაცემად მოწყობილ დღესასწაულზე გაპატიყდებენ.

ოფიცრებმა ერთხმად გადაინახარეს, ხოლო კაპიტანმა კლარკმა შენიშნა:

— რა გაეწყობა, სერ, რამდენადაც მათი ღმერთი ხართ, თქვენთვის უფრო ადვილი იქნება ყველა საქმეების მოგვარება და არა ღირს მათი გაღარწმუნება.

კოა ყურს უჯდებდა უცხოელების საუბარს და ვერაფრის გაგება ვერ შეძლო. იგი მივიდა ხომალდის ფერდთან და სანამ ნავში ჩაეშვებოდა, თეთრკანიანს კიდევ ერთხელ დაუკრა თავი და კუნძულზე მიუთითა. კუნძულელი კუკს თავისთან იწვევდა.

მალე ელჩების ნავმა გასცურა. მას კაპიტნის კაპანოც მიჰყვა. კუკი დიკისა და ორი ოფიცრის თანხლებით ნაპირისაკენ გაემართა. კუნძულელების ნავი მძიმე კაპანოს წინ უსწრებდა და კოა იძულებული ხდებოდა, თავისი მენიჩბეები შეეჩერებინა: ნაპირზე ორივე ნავი ერთად უნდა მისულიყო.

კარაკაუას ყურეს ნაპირზე ღონოს პატივსაცემად საღმრთო სასწაულო სამოსელით ჩაცმული კუნძულელთა ბრბო იკრიბებოდა. ალიები ბუმბულის მოკლე მოსასხამებში და მუზარადებში იყვნენ. ქალებს ენჭერის შემოსაკრავს გარდა, თხელი წამოსასხამი ჰქონდათ, რომელიც ჩვეულებრივი უბრალო ლაფანისა კი არა, ყველაზე თხელი და რბილი ბოჭკოებისაგან იყო დამზადებული. მამაკაცებსა და ქალებს ხელებსა და ფეხებზე გარეული ღორების ეშვების სამაჯურები და ნიჟარები, კისერზე კი — ფრინველთა ბუმბულის ყელსაბამები ეკეთათ.

დიდძალი ხალხი შეიკრიბა და ცარიელი მხოლოდ ის მალლობი დარჩა, სადაც ჩვეულებრივ კუნძულის მბრძანებელი ჯდებოდა ხოლმე დიდკატურად. გამგებელი და უმაღლესი ქუ-

რუმი არ მოვიდნენ „სიკვდილის გამოცდაზე“, ისინი ცოცხალი ლონოს შესახვედრად ემზადებოდნენ.

კამეამეა მივიდა ნაპირთან და სახით თოთხმეტი შუბმო-მარჯვებული მეომრისაკენ მობრუნდა. მოსასხამი და მუზარადი მოიძრო და მარტო ენქერის შემოსაკრავში დარჩა. გაისმა სასიგნალო ნიჟარის ხმა და გამოცდა დაიწყო. კამეამეა პირდაპირ მისკენ მომავალი შუბებისაგან განზე ხტებოდა, ანდა მოხერხებულად იჭერდა მათ ხელით. მაყურებლები აღტაცებისაგან დუმდნენ.

აი უკვე თორმეტმა შუბმა ჩაიჭროლა, დარჩა მხოლოდ ორი, რომ უეცრად ბრბოში გაისმა: „ლონო!“ — და ხალხი მიწაზე დაემხო.

კამეამეა შემობრუნდა. ნაპირს ორი ნავი მოადგა. ერთიდან კოა გადმოვიდა, მეორედან კი — თეთრი სახის გრძელთმიანი, შავი ტანსაცმლით შემოსილი დაბალი ტანის კაცი. მასთან ერთად კიდევ სამი გადმოხტნენ. მათ საოცარი შთაბეჭდილება მოახდინეს. ალიასაც უნდოდა სხვებივით მიწაზე დამხობილიყო, რომ კოას შემოხედვა დაიჭირა და თამამად შეხედა მოსულეებს. ისინი მისკენ მოდიოდნენ.

— გამგებელო, მან ვერ გაიგო ჩვენი ენა, სახელად კუქი ჰქვია, მან თქვა, რომ ასეთი მამაცი მებრძოლი, როგორც თქვენ ხართ, ჯერ არ უნახავს, — კოას უნდოდა ჩქარა გადაეცა ახალ ამბები ალიისათვის ისე, რომ სხვას არ გაეგო.

„კუქი ლონო არ არის!“ — გაიფიქრა კამეამეამ და ხმამაღლა დაუმატა:

— არც ერთ კუნძულზე არ არის ისეთი მებრძოლი, რომელსაც შეეძლოს შუბით ჩემი განგმირვა, მე შუბს დავიჭერ, ასე შეეძლო გაეკეთებინა მხოლოდ ლონოს.

ალიამ მრავლისმეტყველად შეხედა კუქს, უცდიდა თუ რა შთაბეჭდილებას მოახდენდა მისი სიტყვები, მაგრამ თეთრკანიანი განზე იქტირებოდა. „მას მართლა არ ესმის ჩვენი ენა“. სანამ წვერებიანი უთარგმნიდა მის სიტყვებს, კამეამეამ ისარგებლა და ბიძაშვილს ჩასჩურჩულა.

— არავინ უნდა იცოდეს ის, რაც ჩვენ ვიცით. მოიწვიე

თეთრკანიანი ჩემთან ნადიმზე და ხალხის საქციელს ყურადღე-  
ბას ნუ მიაქცევ. გამიგე, კოა?

კოამ თავი დაუქნია და დიკს მოწვევა გადასცა. კამეამეა  
მოსულებზე წინ გაემართა კუნძულის სიღრმისაკენ. ნაპირზე  
მყოფნი მოშორებით მიყვებოდნენ მათ და იმეორებდნენ:  
„ლონო! ლონო!“

ისინი პატარა დასახლების ფართო მოედანზე გავიდნენ.  
კამეამეას ნიშანზე მონებმა ქილობები გაშალეს, მიიტანეს  
სხვადასხვა მწვანანილეულობა და ღორები მორეკეს. მეპატრო-  
ნემ ნიშნებით აუხსნა, რომ ეს კუკის საჩუქარია. ბრბო ალტაცე-  
ბით ყვიროდა. კუკმა მადლობა გადაუხადა და ქილობზე დაჯდა.  
შემწვარი და გამხმარი თევზი, ცხარე საქმელები, ქოქოსის კაკ-  
ლის წვენი — ყველაფერი სტუმრებთან მიჰქონდათ, მოედანზე  
კი ლონოს პატივსაცემად ცეკვავდნენ. წნელის ჭავშანში გამო-  
წყობილი მეომრები კოხტა ქალებმა შესცვალეს. ოთხ რიგად  
დაწყობილნი, ისინი მუსიკის ტაქტის მიხედვით მდორედ იმეო-  
რებდნენ ტალღების მოძრაობას, ჟღერდნენ ფლეიტები, უკ-  
რავდნენ დოლებს.

კუკი ოფიცრებთან ერთად გვიან ღამით დაბრუნდა ხო-  
მალდზე და ნადიმზე წარმოთქმულ სიტყვებს რომ იგონებდა.  
მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ სტუმრად კუნძულის მბრძანე-  
ბელთან არ იყვნენ.

მეორე დღეს, გარსშემორტყმულ ბრბოსთან ერთად, კუკი  
კუნძულის მბრძანებელ ტორეობოისთან მივიდა. კოაც აქ იყო.  
რადგან არავის შეეძლო ისე კარგად გაეგო თეთრკანიანის წვე-  
რებიანი თანამგზავრის ენა. მბრძანებელმა ნება დართო თავის  
ქვეშევრდომებს ხომალდზე გადაეტანათ პროდუქტები და  
ლონოს სთხოვა (კუკი უკვე შეეჩვია ამ ახალ სახელს), რომ  
კუნძულზე ყოფნისას მხოლოდ მასთან ყოფილიყო; კუკისათვის  
სულ ერთი იყო და იგი დათანხმდა.

ინგლისის ექსპედიცია კვირის განმავლობაში იღებდა ღო-  
რებს, ბოსტნეულს, ქოქოსის კაკალს. სხვადასხვა ლამაზ ნივ-  
თებზე გადაცვლით. მაგრამ მალე კოამ თავისი მეპატრონის  
განკარგულებით გადაცვლის წარმოება მხოლოდ რკინისა და  
სპილენძის ნაკეთობებზე დაიწყო.

კამეამეას ოთხი შუბი ჰქონდა რკინის ბუნიკით. საიდან გაჩნდა ისინი კუნძულზე, ცნობილი არ არის, მაგრამ მან იცოდა, რომ ეს წყარუნა ქვეები იარაღს სიმტკიცეს ანიჭებს და სასიკვდილოს ხდის. მას კი მალე დასჭირდებოდა ბევრი იარაღი.

1779 წლის თებერვლის დასაწყისში ხომალდები გასამგზავრებლად მოემზადნენ. კუეი ნაპირზე ჩამოვიდა და ტორეობოიასთან ერთად უმაღლესი ქურუმის ტაძარში მივიდა. მიწაზე ქსოვილები და ჭილობები იყო დაფენილი. იამსის, ტაროს და კაკლის მთები იდგა. ცოტა მოშორებით ღორების კოლტი იყო შექუჩებული. ჩრდილში მთის წყაროების წყლით სავსე დიდი ბამბუკის კონები ეწყო. უმაღლესი მბრძანებელი და უმაღლესი ქურუმი ამ სიმდიდრეს საჩუქრად აძლევდნენ ლონოს ხალხს, ხოლო თვით ლონოს სთხოვეს, კუნძული არ დაეტოვებინა.

კოა სწრაფად გადასცემდა ქურუმის ამ ამალეღვებელ სიტყვებს ისე, რომ დიკი მის გადათარგმნას ძლივს ასწრებდა.

— შენ ვერ გაიგე, დიკ, რად უნდივარ მე მათ?

მათი სიტყვები იმდენად ძნელი გასაგები იყო, რომ მეზღვაურმა პირქუშად გააქნია თავი.

— უთხარი მათ, რომ მე ამ კუნძულზე ჩქარა დავბრუნდები!

— სერ, ამის გაკეთება საჭირო არ არის, რა საჭიროა აქ დაბრუნება?

— გადაეცი, დიკ, არ შეიძლება ასეთი გულთბილი მეპატრონის წყენინება. იქნება მოგვიხდეს კიდევ დაბრუნება, რა ვიცით.

ინგლისის ხომალდებზე აფრები ამართეს და ყურედან გასვლა დაიწყეს. ნაპირზე ბრბო ხმამაღლა ყვიროდა, თითქოს ტიროდნენ, რომ ლონო ისევ სტოვებდა თავის ქვეყანას.

მიმავალ ხომალდებს კვალდაკვალ ნავეები გაჰყვა. ორი ნავიდან ინგლისელებს უმაღლესი ქურუმისა და კამეამეას საჩუქრები გადასცეს.

კამეამეა მაინც არ ყოფილა ხომალდებზე, კოა მას გადასცემდა ყველაფერს, რაც ნახა და გაიგონა. ამაყი აღია უცხოელების გამგზავრებას უცდიდა, რადგან მათ შეეძლოთ ხელო

შეეშალათ მისთვის მბრძანებელთან ბრძოლაში, თუ ისინი დაბ-  
მარებას აღმოუჩენდნენ ტორეობოას, რომელთანაც მეგობრო-  
ბა დაამყარეს.

ახლა, როცა თეთრკანიანებს წყნარი წყალი და ქარი  
უსურვა, მისი ჟამიკ დადგა...

...ლამით ქარიშხალი გაძლიერდა. ქარი აფრებს გლეჯდა,  
ტალღები გემბანზე გადიოდნენ. მესამე დღეს ძლიერმა ქარმა  
ფლაგმანზე გროტ-ანძა გადატეხა. ხომალდები ქარიშხლის ჩად-  
გომას უნდა დალოდებოდნენ. საჭირო იყო ხომალდის აღკაზ-  
მულობის შეკეთებაც. კუკმა კარაკაკუეს ყურეში დაბრუნების  
ბრძანება გასცა.

ჰავაელებიდან არავის გაკვირვებია ხომალდების დაბრუნე-  
ბა. მათი ფიქრით, თვით ზეცამ ისურვა, რომ ლონოს თავისი  
ქვეყანა არ დაეტოვებინა. სხვები ხედავდნენ ქარიშხლით გამო-  
წვეულ ზარალს და ფიქრობდნენ, რომ ხომალდები შესაკეთებ-  
ლად დაბრუნდნენ.

როგორც კი ოკეანე დაწყნარდა, კამეამეამ ფრინველებას  
ბუმბულისაგან დამზადებული მშვენიერი მოკლე მოსასხამი  
ჩაიცვა და ხომალდზე გაემართა. მას საკუთარი თვალით სურ-  
და ენახა, დიდხანს დააგვიანდებოდათ თუ არა მათ გასვლა.

კამეამეა ათი ნავის თანხლებით მიცურავდა. თვითეულ  
ნავს სადღესასწაულოდ მორთული ერთ-ერთი ალია მეთაურო-  
ბდა. ორ მონას კამეამეას თავზე ეჭირა მარაო კახილი —  
გრძელი, ორნამენტებით დამშვენებული ჯოხები, რომლის ბო-  
ლოებზე დამაგრებული მამლის შავი და თუთიყუშების წითე-  
ლი ბუმბულები რალაც ცილინდრის მაგვარს ქმნიდნენ. მონ-  
ებს ასეთივე კახილები ეჭირათ დანარჩენი ნავების წინამძღო-  
ლების თავზეც.

ხომალდზე მხოლოდ კამეამეა და კოა ავიდნენ, თანხლებ-  
ლები კი ნავებში დარჩნენ. დიდებული სტუმრის შესახვედრად  
თვით კუკი გამოვიდა.

— ჰავაელთა ბელადმა რალაც წარმოთქვა, კოას სურდა  
გადაეთარგმნა, მაგრამ კუკის გვერდით წვერებიანი რომ ვერ  
დაინახა, შემცბარად გაიღიმა.

— დიკი, ჩემთან! — დაიძახა კაპიტანმა.



სანამ დიკს ეძებდნენ, კამეამეამ, უხერხულობა რომ განეფანტა, წყნარად მოიხადა მუზარადი და მოკლე მოსასხამი და კუკს მიაწოდა. ინგლისელმა კაპიტანმა უკვე იცოდა ასეთი საჩუქრის ფასი. მანაც შეინსნა ქორდიკი და ჰავაიელს მიაწოდა. კამეამეამ დიდებით მიიღო სამაგიერო ძღვენი, ხანჯალი ამოიღო, მსუბუქად მოლუნა და იარაღი სიმტკიცით კმაყოფილმა ქარქაშში ჩააგო.

ამ დროს აქოშინებული დიკი კაპიტნის წინაშე წარსდგა.

სად დაიკარგეთ, დიკ? გადაუთარგმნეთ ჩვენს სტუმარს, რომ მე მოხარული ვარ მასთან ახალი შეხვედრით და კითხვით რა სურს. გაიმეორა რა კოამ მეპატრონის პასუხი, დიკმა გადათარგმნა:

— სერ, ეს ბელადი მადლობას გიხდით კეთილი სიტყვებისათვის და გთხოვთ ნება დართოთ დაათვალიეროს დიდი ნავი, როგორც იგი ჩვენს ხომალდს უწოდებს. თუ ნებას დართავთ, მე ვაჩვენებ, სერ.

— კარგი, დიკ, აჩვენეთ.

კამეამეა, კოა და დიკი კარგა ხანს დაეხეტებოდნენ ხომალდზე. ბელადმა ყველა კუნჭულში შეიხედა, ხელი მოკიდა ქვემეხებს, თოფებს, ნახა როგორ არემონტებდნენ ანძას. კუკმა ალიას ხომალდზე ღამის გათევა შესთავაზა; იგი შივიდა ხომალდის ქიმთან და ნავებში მყოფთ რაღაცა დასძახა. ფლოტილიამ ნაპირისაკენ გასცურა.

გათენებისას ყველა თერთმეტი ნავი ხომალდის გვერდით ტალღებზე ირწეოდა და კამეამეამ კოასთან ერთად სტუმართმოყვარე მასპინძლები დატოვა. ბელადმა შეიტყო, რომ დიდი ნავები დიდხანს არ დარჩებიან. ჩანს, ეს თვით კუკ-ლონოს არ სურდა. ალია ნაპირზე ბრუნდებოდა მხოლოდ ენქერის შემოსართყმელთ და ხელში მაგრად ეჭირა ნაჩუქარი ქორდიკი.

კუკის საჩუქარმა ტორეობოიას ყველა დაახლოებული პირის განცვიფრება და შური გამოიწვია. განსაკუთრებით შესურდა კამეამეას ძველ მტერს ალია პარეას. იგი ერთ-ერთი პირველთაგანი ავიდა ხომალდზე, მაგრამ ასეთი საჩუქარი არ მიუღია. პატივმოყვარე პარეამ ხომალდზე თავისი მონა გაგზავნა. მას რაიმე უნდა მოეპარა. როდესაც მონა „დისკავერის“

გემბანზე აღმოჩნდა, კამპუზთან მიიპარა, ხელი დასტაცა რკინის დიდ მაშას, წყალში გადახტა და სწრაფად მიაღწია ნაპირს. კინგმა, რომელიც ავადმყოფ კლარკს ცვლიდა, მღევარი დაადევნა. ხომალდის გემბანზე მდგომ დიკს ვერ გაეგო რა ხდებოდა ნაპირზე.

— კაპიტანო, ნება მომეცით ნაპირზე გავიდე, ჩვენმა მეზღვაურებმა რაღაც არასასიამოვნო ამბავი წამოიწყეს, აქედან ვერაფერს ვხვდები.

თვით კუკიც შეშფოთებული იყო. მეორე დილას ხომალდები ზღვაში უნდა გასულიყვნენ და რაიმე უსიამოვნება სასურველი არ იყო. დიკმა ნაპირთან მისვლა ვერც კი მოასწრო, რომ შესახვედრად სწრაფად მომავალი კაპანოდან აღელვებულმა მეზღვაურმა დაუყვირა:

— უკან დაბრუნდი, დიკ, ამ ველურებმა ჩვენ კინალამ დაგხოცეს. უკან წადი!

ხომალდის კურნალში გაჩნდა ჩანაწერი:

„1779 წლის 13 თებერვალი. დღეს ერთმა ადგილობრივმა მცხოვრებმა „დისკავერის“ კამპუზიდან მაშის მოპარვა სცადა. გაგზავნილი მღევარი ნაპირზე კუნძულებების ამხედრებულ ბრბოს შეეჯახა. მათ მეზღვაურებს მაშა დაუბრუნეს, მაგრამ გამტაცებლის გაცემაზე უარი თქვეს. მეზღვაურებმა მისი ძალით ხელში ჩაგდება სცადეს და ბრბოს მივარდნენ. ვილაცამ თოფი გაისროლა; მაშინ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მათ წინააღმდეგ შუბები აღმართეს. ისინი მათ არ ისროდნენ, მოღერებული შუბებით უტევდნენ მეზღვაურებს; მეზღვაურები გაიქცნენ, ჩასხდნენ კაპანოში და ხომალდებისაკენ გაეცურეს. მათ ფეხდაფეხ მოსდევდა ბრბოს მუქარის გამომხატველი გუგუნი. რას ყვიროდნენ ადგილობრივი მცხოვრებლები, გაუგებარია. აჯობებს ამ კუნძულის სწრაფად დატოვება“.

დაღამდა. ნაპირზე მღელვარება სუფევდა. ყველგან გოდება და ქალების აღელვებული ხმები გაისმოდა, რომლებიც მებრძოლებს აფრთხილებდნენ ჩხუბი არ დაეწყოთ. სოფლიდახ სოფელს მოედო პარეას მიერ გავრცელებული ხმა, რომ თეთრკანიანებს ჰავაელების შეპყრობა და ხომალდებზე მსხვერპლად შეწირვა უნდათ. თავზარდაცემული ადამიანები ქედს იხრიდ-

ნენ ლონოს ხის გამოსახულების წინაშე, ევედრებოდნენ მას შეწყალებას და ცოცხალი ღმერთისაგან დაცვას.

განთიადისას ხომალდები ყურეს დასატოვებლად ემზადებოდნენ. შემთხვევა რომ ხელიდან არ გაეშვა, პარეამ თავის მებრძოლს ნუას „რეზოლიუშნის“ ლუზის ჭაჭვზე მიბმულ კაპანოს ხელში ჩაგდება უბრძანა. ისარგებლა რა ღამის წყვდიადით, მებრძოლი ჩუმად მიცურდა ხომალდის გვერდთან, კაპანო მოხსნა და ნაპირისაკენ გაიტაცა. იგი წყლიდან ამოათრიეს და ხშირ ტყეში დამალეს.

კაპანოს დაკარგვა მხოლოდ გასვლის წინ აღმოაჩინეს. გუშინდელი შეტაკება ყველას ახსოვდა, და კუკი, დიკის რვა ოფიცრისა და მეზღვაურების თანხლებით ნაპირისაკენ გაემართა. კანჯოში ჩაჯდომის წინ კუკს „დისკავერზე“ კინგის დასაძახებლად კაცის გაგზავნა სურდა. მაგრამ გადაიფიქრა და კლართან შევიდა კაიუტაში.

— დამპირდით, სერ, რომ იარაღს არ გამოიყენებთ, მაშინაც, თუ მე რამე მომივა!

კლარკმა თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა.

კუკი ნაპირზე გადავიდა. კუნძულელები მის დანახვაზე შეჩერდნენ და თავები დახარეს. დიკი ყველას ეკითხებოდა, მაგრამ არავინ იცოდა კაპანო სად იყო. განრისხებული კუკი მბრძანებლის სახლში შევიდა. მან გადაწყვიტა მბრძანებელი ხომალდზე წაეყვანა და მძევლად დაეტოვებინა, სანამ კაპანოს არ იპოვნიდნენ. კუკმა დიკს სთხოვა, ტორეობოიასათვის ხომალდზე მიპატიჟება გადაეცა. კოა აქ არ იყო და მბრძანებელი ძლივს ხვდებოდა დიკის სიტყვებს.

უმალღესი მბრძანებელი, რომელმაც აზრიანად არ იცოდა რა უნდოდა მისგან ლონოს, ნათესაეების თანხლებით კვალდაკვალ გაჰყვა.

ბრბო, რომელიც ფეხდაფეხ მიყვებოდა მბრძანებელსა და ღმერთს, ხმამაღლა იმეორებდა თეთრკანიანების დიდ ნავეებზე მსხვერპლშეწირვის შესახებ.

თანხლებლები მხოლოდ ნავეებთან მიხვდნენ, რომ მათი მბრძანებლის წაყვანა უნდოდათ. ცოლმა ხელი ჩასჭიდა ტორეობოიას და ხმამაღლა ატირდა. გაისმა წამოძახილები. ბრბო

სწრაფად იზრდებოდა. ჰავაელები კუკს ალყას არტყამდნენ და ხელშუბებით და შუბებით ემუქრებოდნენ. ცოცხალ ღმერთებსაც კი არ შეუძლიათ მსხვერპლად შეწირონ ტაბუზე ძლიერი უმაღლესი მბრძანებელი.

კუკი სიმშვიდეს კარგავდა და რომ ვერ გაიგო რა ხდებოდა მის გარშემო, დიკს დაუძახა:

რას ყაყანებენ!

— მე საფუძვლიანად ვერ ვერკვევი, სერ. ცოლი კივის, რომ ჩვენ არ შეგვიძლია მბრძანებელი ხომალდზე წავიყვანოთ. უკეთესი ხომ არ იქნებოდა უკან დაგვეხია სერ, ისინი ჩვენ გვემუქრებიან.

— დიკ, გადაეცი მბრძანებელს გამომყვეს და თავისიანებს გვერდზე გადგომა უბრძანოს. რაღაც უნდა დამიჯდეს, მას ხომალდზე წავიყვან!

მბრძანებელმა უარი განაცხადა გზის გაგრძელებაზე. ბრბოს არ ესმოდა კუკის ხათქვამი, მაგრამ გრძნობდა მის უკმაყოფილებას და რისხვით ახმაურდა. ბრბოს გუგუნი თანდათან მრისხანე ხდებოდა. მებრძოლები წინა რიგებში გადმოვიდნენ და კუკ-ლონოს ქვების სროლა დაუწყეს. დიკმა, რომელმაც კაპიტანს თოფი გადასცა, მოასწრო დაყვირება:

— სერ, ახლა უკვე გვიან არის, ბრძოლაა საჭირო!

მეზღვაურებმა და ოფიცრებმა ჩხუბი დაიწყეს. ისინი შეავიწროვეს და გათელეს. კუკმა გაიგონა რა თავისი რჩეულის კენესა და სასიკვდილო შეძახილი, თოფი ხელში ჩაბლუჯა. იგი მარტო დარჩა გააფთრებულ ბრბოში. გადარჩენა კიდევ შეეძლო, თუ ნავებისაკენ გაიჭრებოდა, მაგრამ იგი მამაცად გაემართა ბრბოსაკენ, წინა რიგებმა უკან დაიხიეს, მაგრამ უკან მდგომნი წინ მოაწყდნენ. წრე ვიწროვდებოდა. კუკმა თოფი ასწია და გაისროლა.

ჰაერში შუბმა გაიზუზუნა. კუკი წაბარბაცდა, რაღაც წამოიძახა და დაეცა. სცადა წამოდგომა, მაგრამ ისევ დაეცა.

ინგლისის ფლოტის კაპიტანი ღმერთ-ლონოდ წოდებული ჯემს კუკი მკვდარი იყო. მიწაზე განრთხმული ღმერთი რომ დაინახა, შეშინებულმა ბრბომ უკან დაიხია. გულადები, რომლებსაც ესმოდათ კენესა და ხელავდნენ სისხლს, ბუტბუტებ-

დნენ, რომ თეთრკანიანი ღმერთი არ იყო. მათ სიტყვის დამთავრების საშუალება არ მისცეს. უმეტესობისათვის კუკი-ლონო, რომელიც მათ მოკლეს, ღმერთი იყო.

წამი და ნაპირზე არ დარჩა არც რომელიმე ჰავაელი, არც კუკის სხეული. მათ როგორც შეეძლოთ, ისე სწრაფად წაიღეს იგი უმაღლესი ქურუმის გამოქვაბულში, რათა იქ ღმერთის შესაფერისად დაეკრძალათ.

როცა ხომალდებიდან ჩამოუშვეს ნავეები შეიარაღებული მეზღვაურებით, ნაპირზე არავინ იყო. ტყის სიღრმეში დაღვენება მიზანშეწონილი არ იყო და მეზღვაურები ხომალდზე დაბრუნდნენ. ყველაფერი ძალზე სწრაფად დამთავრდა.

ხომალდებზე კაპიტან კლარკის დროშები აღმართეს. ყურედან გავიდნენ და გეზი კუნძულის მთავარი სოფლისაკენ აიღეს.

რა უნდა კლარკს? ნუთუ მას დაავიწყდა კუკისადმი მიცემული დაპირება?

ხომალდებმა ზარბაზნები დაუმიზნეს მსუბუქ ნაგებობებს და რამდენჯერმე გაისროლეს. სოფელში ცეცხლი აბრიალდა. გაისმა ბავშვებისა და ქალების ყვირილი.

კლარკი აქეთ-იქით აწყდებოდა კაიუტაში და ძლივს არკვევდა ბრძანებას, რომელსაც მისი სახელით გასცემდა კინგი. ხომალდი შეირყა და სროლის გუგუნმა კაპიტანი აიძულა წამომხტარიყო. მან წირთხლზე დაყრდნობილმა გააღო კარი და დაიყვირა:

— შეწყვიტეთ სროლა! კინგი, ჩემთან!

ჩრდილოეთისაკენ მიმავალი ხომალდებიდან კიდევ დიდხანს მოჩანდა კუნძულზე მოელვარე ცეცხლი.

ქვემეხების ცეცხლით აღმოდებულ სოფლებში, ხანძარს არავინ აქრობდა. შეშინებული ხალხი უმაღლესი ქურუმის სალოცავისაკენ გარბოდა და გაშმაგებით ევედრებოდა ზეცას.

სალოცავის წინ ეზოში გამგებელი ალიები—კუნძულის დიდი მბრძანებელი და სულების დიდი მბრძანებელი ისხდნენ. ქვემეხების გუგუნით შეშინებული ხალხი მათ გადაწყვეტილებას ელოდა. შუბებზე დაყრდნობილი მეომრები განცალკევებით იდგნენ. ასეთი შეკრებები კუნძულებზე მხოლოდ დიდი

ბრძოლების წინ იცოდნენ. კუნძულის მბრძანებელი ღუმდა. უმაღლესი ქურუმი წამოდგა:

— ჩვენ მძიმე დანაშაული ჩავედინეთ — მოვკალით დიდი ღმერთი ლონო. ზეცა ამას არ გვაპატიებს, იგი შურისძიებას, მსხვერპლს მოითხოვს, ადამიანის დიდ მსხვერპლს! ასე ვთქვი მე, სულების უდიდესმა მბრძანებელმა.

ქურუმი ნელ-ნელა დაეშვა შემადლებულზე. ღუმდა ტორეობოია, ღუმდნენ გამგებელი ალიები. დიდხანს ღუმდნენ.

შეგროვებულთა წრეში კამეამეა გამოვიდა. იგი ჭერ ასეთი არასოდეს ენახათ, მისი თვალები რისხვით ელვარებდნენ. მან ნელ-ნელა, დამცინავად გადახედა იქ შეკრებილთ. ალიებმა სახე მოარიდეს.

— თქვენ ხდუმხართ! მოისმინეთ რასაც ვიტყვი მე, — კამეამეა გაცხარებით არჩევდა სიტყვებს, მან იცოდა, რომ დადგამომენტი, უდიდესი მომენტი, ან ახლა ან არასოდეს, — სულების უდიდესი მბრძანებელი მართალია. ზეცას შურისძიება სწყურია, იგი მსხვერპლს უცდის, იმ მსხვერპლს, რომელიც თვით ცოცხალ ლონოს სურდა.

კამეამეამ სული მოითქვა და მზერა უკან გადაიტანა. მისი მეომრები შეუშინველად მიუახლოვდნენ. უმაღლესმა ქურუმმა დააჩქარა ალია:

— განაგრძე, ალიებიდან უძლიერესო და მამაცო, განაგრძე!

— ზეცა შენს მსხვერპლს ითხოვს, კუნძულის მბრძანებელი, შენს სიკვდილს, ტორეობოია! — კამეამეა მკვეთრად შემობრუნდა მბრძანებლისაკენ და მის მხარეს გაიშვირა ხელი, რომელშიც ნაჩუქარი დაშნა ჰქონდა ჩაბლუჭული.

რამდენიმე წამით ხალხი გაშეშდა, შემდეგ კი მყუდროება გაკვირვებისა და რისხვის გუგუნმა დაარღვია.

გონს პირველად მბრძანებელი მოვიდა; მისი გასიებული სხეულისათვის უჩვეულო სისწრაფით იქვე მდგომ მეომარს ხელიდან შუბი წაგლიჯა და კამეამეას სტყორცნა.

— პირველად შენ მოკვდები, ძაღლო!

ამაყმა ალიამ თავისუფლად დაიჭირა მისკენ ნატყორცნი შუბი და უკანვე უნდოდა ეტყორცნა, მაგრამ მათ შორის უმაღ-

ლესი ქურუმი ჩადგა. მბრძანებელი ალიები წამოხტნენ და მზად იყვნენ დატაკებოდნენ ადამიანს, რომელიც შეეცადა უმაღლესი ტაბუს წინაშე აღეშარათა ხელი. მაგრამ მხოლოდ ახლა შეამჩნიეს, რომ მეომრებმა თავის ბელადს მჭიდრო კაკალი შემოარტყეს და მათ რიგებში ჩადგა კუნძულზე შუბის ყველაზე ზუსტად მტყორცნელი — კოა. შეკრებაზე მოსული ბრბო დუმდა: კამათი ალიებს შორის მიდიოდა და უბრალო მოკვდავნი ჩუმად უნდა ყოფილიყვნენ.

უმაღლესი ქურუმი კამეამეას მიუახლოვდა, მძვინვარება შეიკავა და წყნარად უთხრა:

— წადი, ძლიერო ალიავ, ნუ შებილწავ უბრალოდ დაღვრილი სისხლით სათაყვანო ღმერთებს. იცოდე ისინი არ გაპატიებენ შენს სიტყვებს და აზრებს.

— მე წავალ, სულების უმაღლესო მბრძანებლო, მაგრამ კუნძულზე სიმშვიდე არ დამკვიდრდება, ვიდრე არ დაწყნარდება ღონოს სული. ვიდრე იგი ღვთის მიერ დაწესებულ მსხვერპლს არ მიიღებს. მე წავალ, მაგრამ ტორეობოია უნდა მოკვდეს, და მე ამას გავაკეთებ!

ალიამ ხელი დაიქნია და მისი მეომრების მწყობრში გაიარა მონამ, რომელსაც მამოს ახალი გრძელი მოსასხამი მოჰქონდა. ამას კოაც არ მოელოდა. კამეამეამ მოიძრო ახუულა და მამოს მოსასხამი ჩაიცვა.

არავინ განძრეულა, რომ ღვთისმგმობელი დაესაჯა, არავის განუგმირავს იგი შუბით, ყველა ღმერთების სასჯელს უცდიდა.

მაგრამ ღმერთები სდუმდნენ, და ხელახლა გაისმა მამაცი ალიას ხმა: „მე წავალ, მაგრამ ტორეობოია მოკვდება, მე ამას გავაკეთებ!“

კამეამეას ჟამი დადგა. მან შინაბრძოლა გააჩალა. მისი ჯარები გამარჯვებული გადადიოდნენ კუნძულის ერთი სოფლიდან მეორეში. და მალე ჰავაელებზე მმართველობა მის ხელში გადავიდა. მაგრამ კამეამეას გეგმები უფრო შორს მიდიოდა. იგი ხედავდა სიმძლავრეს უცხოელებისას, რომლებიც ოკეანეზე დიდი ნაგებობით დაცურავდნენ, ნახა მათი რკინის ჯოხების სასიკვდილო ცეცხლი და სურდა მათთვის დაეპირისპირებია ერთიანი ძალა, ყველა კუნძულებისა, რომლებიც შეძლებდნენ

დაემზადებინათ ისეთივე ნავეები და იარაღი. კამეამეა პირველმა, როგორც მან შემდგომში თავის თავს უწოდა, გაერთიანებისათვის დიდი ომი დაიწყო. იგი ჩქარობდა, რადგან იცოდა, რომ ხომალდები, რომლებმაც კუნძული დატოვეს, შეიძლებოდა დაბრუნებულიყვნენ. გზა უკვე ცნობილი იყო.



1780 წლის ზაფხულის დასაწყისში კუკის ექსპედიციის ხომალდებმა კლარკის მეთაურობით კურსი კამჩატკისაკენ აიღეს. მათი ყოველი ცდა გაელწიათ ყინულებში ბერინგის ყურის სამხრეთ ბოლოსთან, უშედეგოდ დამთავრდა. ტრიუმფებში ცოტა დამარილებული ღორის ხორცი და მტკნარი წყალი დარჩა. პორიზონტზე მიწის გამოჩენას სიხარულით შეხვდნენ, მაგრამ მისი ნაპირები მიუყარებელი იყო.

მდინარე ავაჩას კლდეში კედელი გაეჭრა და უცნაურ ნავსადგურს ავაჩის უბეს უერთდებოდა. უბეს ქარებისაგან გორაკები იცავდნენ, ისინი პეტრე-პავლეს კარიბჭესთან ერთდებოდნენ და თითქოს კეტავდნენ მას. კარიბჭის კედლები პირდაპირ წყლიდან ამოზრდილ ციცაბო კლდეებს ქმნიდნენ, გორაკების ფერღობებსა და უბის ნაპირებზე დიდი ხეები, თხელი ბუჩქნარი და მაღალი ხშირი ბალახი იზრდებოდა.

სანაპირო ზოლში რვა ხის ნაგებობა იდგა. მათში მესაზღვრეები იყვნენ განლაგებული ორმოცი კაზაკი სერჟანტის მეთაურობით. ეს კამჩატკის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო იყო, რუსეთის იმპერიის კონტინენტალური ნაწილის ყველაზე შორეული წერტილი.

განაპირას მდგომი მცირედ დასახლებული პეტრე-პავლეს ნავსადგური პირველად ხედავდა ხომალდებს ინგლისის აღმებიით.

კაპიტან კლარკის ბრძანებით ოფიცერმა მეზღვაურების თანხლებით კაპანოთი ნაპირისაკენ გაცურა. რუსი კაზაკები თავდასხმას ელოდნენ და დაცვისათვის მოემზადნენ. ოფიცერმა საჩქაროდ ანიშნა, რომ ბრძოლას არ აპირებდნენ.

კამჩატკის მთავარ მეთაურთან, მაიორ ბემთან ბოლშეგრეც-



ში შიკრიკი გაგზავნეს; მას მეთაურისათვის ნავსადგურში კარგად შეიარაღებული ორი ინგლისური ხომალდის მოსვლა უნდა შეეტყობინებინა. ბემმა მოლაპარაკება გადაწყვიტა.

რუსეთის დელეგაცია ხომალდზე მოვიდა. ინგლისელებმა მათ გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს და პროდუქტებით დახმარება სთხოვეს. ბემმა ხომალდზე 250 ფუთი ჰვავის ფქვილისა და 20 მსხვილფეხა პირუტყვის გაგზავნა ბრძანა.

კაპიტანმა კლარმა არ იცოდა, რით გადაეხადა რუსებისათვის ასეთი უხვი საჩუქარის სამაგიერო. მან ბემი ხომალდზე მიიწვია; როცა კამჩატკის მეთაური ხომალდს ტოვებდა, მის პატივსაცემად ოცდაერთი ქვემეხის ზალპმა დაიქუხა. ხომალდიდან ინგლისელების საჩუქარი — ჰვავის ნივთების კოლექცია ჩამოჰქონდათ.

გამოსათხოვარ სადილზე კლარკმა თქვა:

— სიტყვებს ვერ ვპოულობ, რომ უბრწყინვალესობისა და ყველა რუსის მიმართ ასეთი უხვი დახმარებისათვის ჩემი მადლობა გამოვხატო. გთხოვთ ჩვენგან საჩუქრად მიიღოთ კოლექცია, შეგროვილი სანდვიჩის კუნძულებზე, სადაც ტრაგიკულად დაიღუპა კაპიტანი კუკი. თქვენ გესმით, რამდენად ძვირფასია ჩვენთვის ეს ნივთები, მაგრამ ჩვენ მას გადმოგცემთ მისი ექსპედიციის დახმარებისათვის მადლობის ნიშნად!

დრო უღმობლად მიდიოდა წინ. კუკის ჰვავის კოლექციები კამჩატკიდან იაკუტსკში, იაკუტსკიდან მარხილებით ტობოლსკში და შემდეგ მოსკოვზე გავლით ლენინგრადში გაგზავნეს. მასში იყო კამეამეას მოკლე მოსასხამი და მუზარადი.

მთელ რუსეთში იმოგზაურა ახუელას მოსასხამმა და კამეამეას მუზარადმა, რომელმაც მუდმივი სამყოფელი ვასილიევის კუნძულებზე, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის კუნსტამერაში ჰპოვა.

\* \* \*

კამეამეამ თავის მიზანს მიაღწია. მან ჰვავის ყველა კუნძული გააერთიანა და ერთიანი სახელმწიფო შექმნა. ჰვაველები სწავლობდნენ დიდი ხომალდების აგებას, მისმა მებრძოლებმა

გაიცვნეს ცეცხლმსროლელი იარაღი. იგი ცდილობდა, თავისი ხალხის ნაციონალური კულტურა მსოფლიოს ცივილიზებული ქვეყნების დონემდე აეწია. ამ არაჩვეულებრივმა ადამიანმა შემკვიდრეებს სახელმწიფოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა უანდერძა. ბრძოლას წარმატება ჰქონდა, ვიდრე არქიპელაგი მსოფლიო კოლონიზატორთა გზებისაგან მოშორებით იყო განლაგებული.

XIX საუკუნის ნახევარში კუნძულები აშშ დაიპყრო; უცხოელებმა ადგილობრივ მკვიდრთ კუთვნილი მიწები წაართვეს. ჰავეალები შიმშილისა და ეპიდემიური ავადმყოფობითა და პლანტაციებში განუწყვეტელი მონური შრომით სასიკვდილოდ გასწირეს.

როდესაც კუკის კუნძულებზე ხომალდები მოვიდნენ, იქ სამსიათასზე მეტი კაცი ცხოვრობდა. 1947 წლისათვის კი მხოლოდ ათიათასამდე ჰავეელი დარჩა.

ახლაც, როგორც წინათ, ავსტრალიიდან დასავლეთ ნახევარსფეროსაკენ ისე თუ გაცურავთ, რომ გეზი ჩრდილოეთისაკენ გეჭიროთ, ახალსა და ძველ სამყაროს შორის, გემი უკიდურეს ჩრდილო არქიპელაგს — ჰავეის კუნძულებს მიაღგება. მაგრამ ახლა მათ სხვა სახელი აქვთ — აშშ ორმოცდამეცხრე შტატი. როგორც წინათ, ახლაც მოჩანს მაუნა-დოას და მაუნა-კეას თოვლიანი მწვერვალები; ახლაც შეიძლება გაიგონოთ სწრაფი, ჟღერადი ჰავეური ლაპარაკი, მაგრამ კამეამეას თანამედროვეთა და შთამომავალთა თავისებური კულტურის ძეგლებს მხოლოდ გონოლულუას, ლონდონისა და ლენინგრადის მუზეუმებში ნახავთ.

## ელჩის ავბაროზი

ასეთი ამბავი ბევრს მართლაც არ შეემთხვევა. საკუთარი ნეკროლოგის წაკითხვა მხოლოდ იშვიათი „ბედის“ ადამიანს შეიძლება მოუხდეს.

ვასილი ვასილის ძე იუნკერი აფრიკაში ორჯერ იყო; იქ საერთო ჯამში ათი წელი დაჰყო და ნილოსის შენაკადებს იკვლევდა. მან შავი მატერიკის ბევრი გეოგრაფიული გამოცანა ამოხსნა, მაგრამ თავის თავს იღბლიან ადამიანთა რიცხვს მაინც არ მიაკუთვნებდა.

ოთხი წლის განმავლობაში მისგან არავითარი ცნობა არ იყო და მეგობრებმა და ნათესავეებმა მოასწრეს დასაფლავება და გამოტირება „ველური ბუშმანების მიერ უღმობლად მოკლული მოგზაურისა“, როგორც ამას ერთ-ერთი უცხოური გაზეთი მოზრდილ ნეკროლოგში იუწყებოდა.

თბილ პლედში გახვეული იუნკერი ფანჯარასთან იჯდა და ნერვიულად ფურცლავდა ძველ გამოცემებს, სადაც მჭევრმეტყველურად იყო აღწერილი მისი „ტრაგიკულად დაღუპვის ამბავი“. უკანასკნელი რომ გადაფურცლა, მან გაზეთი გადაადგო და ფანჯრიდან პეტერბურგის ქუჩებს გახედა. გაზაფხულის წვრილი წვიმა მოდიოდა. იუნკერი შეციებულღვით მოიბუზა. თავი ნელა, მოსაწყენად გუგუნს იწყებდა. ფაფუკ, ჰალარა ბაკენბარდებიან და ხშირწვერიან სახეს თაფლის სანთლის ფერი ეღებოდა.

მხოლოდ ორი დღეა, რაც პეტერბურგშია, მაგრამ ახლობლებისა და ნაცნობების შეძახილების, სიტყვებისა და გულთბილი შეხვედრების მიუხედავად, სევდა მაინც არ ეშვებოდა. ახლახანს დატოვებული კონტინენტი კვლავ დაუძლეველად აზიდავდა თავისკენ.

იუნკერი სკამის საზურგეზე გადაწვა და თვალები დახუჭა. ახლა შეტევა იწყება. ხელები უმწეოდ ჩამოცვივდა, მაგრამ ტვინი მუშაობას განაგრძობდა.

თითქოს სიზმარში ხედავს იგი ოდნავ შემალლებულ ადგილს, თავის საექსპედიციო ბანაკს; მის ყურადღებას შორეული თოფის გასროლა იპყრობს, იგი ჭოგრის აფრიკის მთიანი სოფლისაკენ მიმართავს. და ხედავს, რომ კვამლის ცალკეული ნაკადები ქოხების თავზე ერთ მთლიან ღრუბლად შეერთდნენ. მალე ცეცხლი ყველა ნაგებობას მოქედო. იგი სულ უფრო მალა და მალა მიიწევდა ფერდობზე შეფენილი სახლების თავზე. კვამლის ზოლი მძარცველებისა და ცეცხლის წამკიდებლების — გაზვების გზას მიჰყვებოდა. გაზვები არაბთა მომთაბარე ტომებია, რომელთა ინგლისელ კოლონიზატორთა მიერ მოსყიდული შეიხებიც უყოყმანოდ ასრულებდნენ თეთრი ბატონების სურვილს, თავს ესხმოდნენ თავიანთ თვისტომებს, აფრიკის მრავალეროვან შავკანიან მოსახლეობას.

მოჩვენებები ერთიმეორეს მისდევენ. სხეული უკვე უძლურია, გახურებულ ტვინში კი კვლავ სიცოცხლე ჩქეფს. აზრები აბნეულია, გონება კი, თითქოს ჯიბრით, თავის სამალავიდან მხოლოდ ყველაზე მტკივნეულ მოგონებებს აცოცხლებს და ტანჯვას ამძიმებს.

და ისევ კვამლი. სუსტი, მიფენილი კვამლი. სავანის ხანძრისაგან დანახშირებული პატარა ხეები. ყოფილი სოფლის ადგილას ფერფლი და გადამწვარი ბალახია. რა არის ეს, ნუთუ ისევ გაზვები, ისევ ის მთიანი სოფელი. არა! აი დაზარალებულთა ქოხები, ათობით მშვიერი და არაადამიანური შრომისაგან ქანცგაწყვეტილი ადამიანი. ეს არის სულ, რაც აზადის დამოუკიდებელი ტომის. ბელად მბიოს ტომის აყვავებულ ოლქიდან დარჩა. ბელადი მბიო...

ტვინი არაადამიანურად იძაბება, მაგრამ ამაოდ... მოჩვენება ქრება. იწყება ხანგრძლივი გონმისხდილობა...

გამოფხიზლებულმა ვასილი ვასილის-ძემ გაოგნებით მიმოიხედა ირგვლივ, თითქოს ვერ გაეგო, საიდან მოხვდა აქ. გაიხსენა, რომ შეტევის წინ რაღაც მნიშვნელოვანზე ფიქრობდა და გონება დაძაბა. რა თქმა უნდა, მბიოს შესახებ, მის დამოუკი-

დებელ ქვეყანაში მოხვედრის ოცნებაზე ფიქრობდა. ოცნებაზე, რომელიც ბოლომდე ვერ განახორციელა.

მან დარეკა.

მსახური შემოვიდა.

— წყალი და ჩემი ჩანთა. — სუსტი ხმით სთხოვა იუნკერმა.

ქინაქინა მიიღო და საექსპედიციო ტილოს ჩანთა გახსნა. დიდხანს ეძებდა მასში რაღაცას და ხის პატარა ნაჭერი, ცალი მხრით წაწვეტებული და ამომწვარი მოკლე ნუჯი ამოიღო.

— გახსოვს, რა არის ეს? — ჰკითხა იუნკერმა მსახურს.

— დიახ, ბატონო. ეს მბიოს ელჩის ავეაროზია.

— დიახ, ეს იყო ბელად მბიოს ელჩის ავეაროზი, ერთადერთი ნივთი, რომელიც იუნკერმა აფრიკიდან, დამოუკიდებელი აზნანდებისაგან ჩამოიტანა.

მბიოს დამოუკიდებელ ქვეყანაში მოხვედრის სურვილი მას უცბად არ გასჩენია. ჯერ კიდევ მაშინ, 1875 წელს, როდესაც იგი პირველად გადავიდა აფრიკის ნავსადგურ ალექსანდრიაში, ფიქრობდა შეეღწოა მატერიკის სიღრმეში გეოგრაფებისათვის ჯერ კიდევ უცნობი ნილოსისა და კონგოს წყალგამყოფების გამოკვლევის მიზნით.

ეს იყო დრო, როდესაც ინგლისელებმა და ფრანგებმა ეგვიპტე და სუდანის დაიპყრეს. ისინი დამკერ შეიხებს და მათ დამქაშებს აფრიკელების, ხოლო თვით აფრიკელთა ტომებს კი ერთიმეორის წინააღმდეგ აქეზებდნენ და ტროპიკებისაკენ მიისწრაფოდნენ.

რაც უფრო სამხრეთით მიიწევდა იუნკერი, მით უფრო ხშირად ხედავდა, როგორ იწვოდა დაუმორჩილებელთა სოფლები, როგორ იღუპებოდნენ ცეცხლში შავკანიანთა ხელოვნების ნიმუშები.

ტერიტორია, რომელზედაც იუნკერის გზა გადიოდა, მაშინ აზნანდეს და მანგბეტის ტომების ხალხებით იყო დასახლებული და ეგვიპტის მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა. მაგრამ აზნანდეს ყველა ტომი არ ემორჩილებოდა მას. იყვნენ ბელადები, რომლებიც მთავრობის სამსახურში იმყოფებოდნენ, იყო ტომები, რომლებიც ფორმალურად აღიარებდნენ მის ძალაუ-

ფლებას, მაგრამ თავიანთი კანონები ჰქონდათ. ზედ ტროპიკების საზღვარზე კი, ბანგეზის მთის ძირში იყო ერთი დამოუკიდებელი ოლქი — ბელად მბიოს ოლქი.

მბიოსთან წასვლის სურვილი მოგზაურს სულ უფრო და უფრო მეტად ეუფლებოდა. ერთხელ მან ამის შესახებ უთხრა თავის გამყოლს, მთავრობის სამსახურში მყოფ აზანდის ტომის ბელადს რინგიოს.

რინგიომ გაკვირვებით შეხედა იუნკერს.

— ბატონს სურს ბანგეზის მთისკენ წავიდეს?

— არა, რინგიო, მე ბელად მბიოს ოლქში მინდა მოხვედრა.

— ბატონს სურს ბანგეზის მთასთან მივიდეს? — ისევ გაიმეორა რინგიომ და მაგიდაზე გაშლილ რუკაზე დაიხარა.

— ხედავთ, ბატონო, ეს ბანგეზია. აჰ, რინგიომ მთის სამხრეთსა და ჩრდილოეთზე მიუთითა, — თავისუფალი მიწაა, ამ მიწაზე ფეხის დადგმას ჩემი ტომიდან ვერავინ ბედავს, მის იქეთ კი მბიოს ოლქია. თუ ბატონს სურს ბანგეზთან მივიდეს, მე მასთან ერთად წავალ.

რაც უფრო მეტად აშინებდნენ ასეთი მოგზაურობით იუნკერს, მით უფრო ჯიუტად სურდა მისი განხორციელება.

„ბანგეზის მთასთან, აზანდეს და მანგბეტის ოლქში, მათ კულტურასთან და ცხოვრებასთან, შეიძლება თვით მბიოსთანაც კი“, — ასეთი აზრებით ემზადებოდა იგი მოგზაურობისათვის.

დანიშნულ დღეს რინგიო მებრძოლების თანხლებით მოვიდა. ნამდვილი აზანდები იყვნენ! ახოვანნი, ძლიერნი, უცნაური ვარცხნილობით და ლამაზი ვაჟკაცური სახეებით. მებრძოლებს ხელში შუბები და ლერწმისაგან დაწნული ფარები ეჭირათ. თითოეულ მებრძოლს ფარზე ერთი ან ორი სატყორცნი დანა — განგატა ჰქონდა მიბმული. დანის ცენტრალური პირიდან განზე შროშანის გაშლილი ფურცლის მსგავსი გამონაშვერი, ლითონის მახვილი დაშნა გადიოდა — ასეთი დანა გასროლის შემდეგ ბრუნავს და რომელიმე გამონაშვერით მაინც ხვდება მიზანს. შიგნიდან და გარედან ფარები დანახშირებული ლერწმით შესრულებული შავი ნახატებით იყო დამშვენებული, ისინი ჯვარსა და მის ირგვლივ კვადრატებს გამოსახავდნენ.

რინგიოს ქვეშევრდომ ბელადებს, რომლებიც თავიანთი მებრძოლებით მოსულიყვნენ, ლეოპარდის ტყავებით დამშვენებული შუბები და გრავირებული განგატები ჰქონდათ.

ზოგიერთ მებრძოლს ენჭერის შემოსაკრავს გარდა, მხრებზე ანტილოპას, გარეულო კატის ან ლამაზი მაიმუნის — გვერცხას ტყავები ჰქონდა წამოსხმული, თავზე კი ძვლის ჩხირით დამაგრებული, მამლის ბუმბულით დამშვენებული პატარა ჩალის ქუდი ეხურა.

იუნკერს თვალი დარჩა მათ ჩაცმულობასა და სახეებზე; ამ მებრძოლებს შეეძლოთ დაეცვათ თავიანთი თავი.

ნეტავ როგორები არიან დაუმორჩილებელი აზნადები?

იუნკერის ექსპედიცია მებრძოლების თანხლებით სამხრეთისაკენ გაემართა. რინგიოს სიტყვით, ისინი სამ დღეში ბელად ანზეას სოფლამდე უნდა მისულიყვნენ, ხოლო დასვენების შემდეგ, ორ დღეში ბანგეზის მთამდეც შეიძლებოდა მიღწევა. ეს ჩვეულებრივ დროს, მაგრამ ახლა, როდესაც იქ მუდმივი ომებია, გზა შეიძლება ძალზე გაგრძელდეს.

იუნკერი თავის მიზანთან, უკვე ახლო იყო, როცა მიხვდა, რომ მბიოსთან შეხვედრის დრო არა აქვს. ციებ-ცხელება მუდმივად ტანჯავდა, ხოლო საქმეები უკან, პეტერბურგში აჩქარებდნენ და იგი სამშობლოში დაბრუნების სამზადისს შეუდგა. ბელად ანზეას მიერ თეთრი ბატონისათვის გამოყოფილ ფართო ქოხში ექსპედიციის აღჭურვილობას ალაგებდნენ. მოხერხებულად მოწყობილი ვასილი ვასილის ძე, დლიურში უკანასკნელ ჩანაწერებს აკეთებდა. შემოვიდა რინგიო, მის წინ გაჩერდა და უცდიდა, როდის მიაქცევდა ყურადღებას. იუნკერმა თავი ასწია და მას შეხედა.

— ბატონო, ანზეასთან მბიოს ელჩები მოვიდნენ.

„აი, ეს ბედია! ბედნიერი შემთხვევაა მომავალში კავშირის დამყარებისათვის. მე ხომ ისევ დავბრუნდები აფრიკაში! საჭიროა ელჩების მოწვევა და საჩუქრების გადაცემა მათი ბელადისათვის — გაუელვა აზრმა.“

მან რინგიოს შეხედა.

— მოიწვიე ისინი ჩემთან?

— არა, ბატონო, — წამოიძახა რინგიომ, — ისინი არ მოვლენ! მბიო მე თავის მტრად მთვლის.

— მე გთხოვ, მოიპატიეო ეს ხალხი. უთხარი, რომ მე მათი ნახვა მინდა და ჩემს მფარველობას ვპირდები, — დაბეჯითებით თქვა იუნკერმა.

— გადაეცემათ, ბატონო!

რინგიო ქოხიდან გავიდა.

ელჩებმა მიწვევა მიიღეს.

დანიშნულ დღეს იუნკერმა ქარავენის ყველა ბელადი და ხელმძღვანელი შეკრიბა. ყუთებიდან მზიოს საჩუქრად განკუთვნილი ნივთები—ასანთები, სანთლები, სარკეები, ქსოვილები ამოალაგა; ყველაფერი, რაც მოგზაურობის დასასრულისათვის დარჩა.

ელჩები ქოხში მიიწვიეს. ისინი ექვსნი იყვნენ, თითქოს საგულდაგულოდ შერჩეული ახოვანი და დაკუნთული ახალგაზრდები. ელჩები იუნკერის პირდაპირ ნახევარწრედ დადგნენ. მათ სახეებზე არ იყო არც პირფერობა, არც უხერხულობისა და მოკრძალების ნიშნები.

რინგიო სათარგმნელად წამოდგა, წინ, მხრებზე ლეოპარდის ტყავმოსხმული ახალგაზრდა გამოვიდა. იგი, როგორც ჩანდა, უფროსი იყო. მისი ღია სახე, რბილი და სწორი ნაკვეთები დიდ ნაიარევს დაემახინჯებინა, რომელიც ქვედა განიერ ტუჩთან იწყებოდა და კისერთან მთავრდებოდა. როცა იგი გატაცებით და ტემპერამენტით ალაპარაკდა, ნაიარევი სახეს კი აღარ ამახინჯებდა, არამედ მის ვაჟკაცობაზე მეტყველებდა.

ლაპარაკობდა სიფრთხილვზე, რომელიც მას ამ სახლში შემოსვლამდე მოსვენებას არ აძლევდა იმაზე, თუ როგორ ევედრებოდა ავგაროზში დამალულ სულს დაეცვა იგი.

დამოუკიდებელმა აზანდებმა იციან, რომ თეთრკანიანები განგებ თესენ მტრობას ტომებს შორის, რომ თეთრებს სურთ აბუ-თურქების მოსყიდული ბელადების დახმარებით მოუსპონ მათ თავისუფლება. ელჩები მოვიდნენ თეთრთან სახლში და შიშით გაქრა, ისინი ნდობით აღიჭურვნენ, მზიოს ელჩს აღარ დასჭირდება თავისი ავგაროზი და იგი კისრიდან იხსნის მას.

ელჩმა ბაწარი გაწყვიტა და კისერზე ჩამოკიდებული ხის პატარა ნაჭერი გვერდზე გადააგდო.



იუნკერმა ავგაროზი აიღო, ხელში შეათამაშა და გადაწყვიტა სახსოვრად შეენახა. მაშინ იგი არ ფიქრობდა, რომ ხის ეს პატარა ნაქერი მბიოსთან სტუმრობის აუხდენელი სურვილის ერთადერთ სახსოვრად დარჩებოდა.

ელჩმა დაამთავრა ლაპარაკი. იუნკერმა იგი დასაჯდომად მიიპატიჟა და მგზავრობაზე, ახლობლებისა და ნათესავების ჯანმრთელობაზე ასეთი ცერემონიებისათვის დამახასიათებელი შეკითხვები მისცა.

რინგიო იუნკერის თხოვნით მოსულებს გაუმასპინძლდა. ხის დიდი ჯამებით მოიტანეს საჭმელი, რომელსაც ნაიარევიანი ახალგაზრდა მარჯვედ და თანაბრად უნაწილებდა თავის ხალხს და თეფშების მაგიერ ფოთლებზე აწყობდა.

ლხინის დამთავრების შემდეგ მბიოს ხალხმა სიმღერა წამოიწყო, რომელშიაც დამოუკიდებელი აზანდეს ტომის ძლევა-მოსილ ბელადს აღიძვებდნენ. იუნკერმა ერთხელ კიდევ იხანა. რომ არ შეეძლო მბიოს ელჩებთან ერთად მისი ოცნების წარმტაც, თითქმის ზღაპრულ ქვეყანაში წასულიყო, მაგრამ მას მტკიცედ სჯეროდა, რომ დაბრუნდებოდა, — როდესაც მბიოსათვის საჩუქრებს გადასცემდა, იუნკერმა სთხოვა ელჩებს მათი ბელადისათვის მისი მეგობრული გრძნობების შესახებ ეთქვათ. ელჩი წამოდგა, ხელი გულთან მიიტანა და გაბედულად უპასუხა:

— მე — გუმბა, ვფიცავ, რომ მბიო გაიგებს სიმართლეს! ჩემს ბელადს ეცოდინება, რომ ანზეას ბელად რინგიოსთან მოსული თეთრი ბატონი მტერი კი არა, აზანდესა და მბიოს მეგობარია. ჩემი ბელადი თეთრს თავის ქვეყანაში დაელოდება.

და აი, ერთი წლის შემდეგ იუნკერი კვლავ აფრიკაშია. კვირაობით, თვეობით, წლობით დადის იგი ბანგეზის მთებთან და მბიოსთან მოხვედრას ვერ ახერხებს. მისმა ელჩებმა გადაკვეთეს თავისუფალი მიწა, მაგრამ დამოუკიდებელ აზანდეს ბელადმა ისინი არ მიიღო. მბიო მას თავის ქვეყანაში არ უშვებდა. მაგრამ ელჩის ფიცი? ნაიარევიანი ახალგაზრდის დაპირება? რაც უფრო ძლიერი იყო მისი წადილი და ოცნების ძახილი, მით უფრო ნაკლები შესაძლებლობა რჩებოდა იუნკერს მათი განხორციელებისათვის. ეგვიპტის მთავრობის ჯა-

რები და მტრულად განწყობილი ტომები დამოუკიდებელი ოლქის გასანადგურებლად ემზადებოდნენ. მათ გადაკვეთეს თავისუფალი ზოლი და მრავალთვიანი ომი დაიწყო.

1881 წელი. დაბერებული, მაგრამ კვლავ ახოვანი რინგიო ერთ დილით იუნკერთან შევიდა.

— ახლა ბატონს შეუძლია მბიოს ქვეყანაში წასვლა, — რინგიომ მწარედ გაიცინა და ჩუმად დაუმატა: — მისმა მეზობლებმა ვერ გაუძლეს. ბელადი შვილებთან ერთად ტყვედ ჩავარდა და მოკლეს. აღარ არის დამოუკიდებელი აზანდე. ბატონს შეუძლია მბიოს ქვეყანაში წასვლა, ახლა მას არავინ დააკავებს.

ოცნებაგაცრუებული იუნკერი ოდესღაც აყვავებული ოლქის ფერფლში მიდიოდა და ტირილი სურდა, რომ არ შეეძლო ამ უბედური ხალხის დახმარება. რატომ არ მოვიდა აქ ადრე, რატომ არ შეუშვა იგი მბიომ?

იუნკერი ხილავდა ევროპელი კოლონიზატორების ხელით განადგურებულ თავისუფლებას და გული რისხვით ეცხებოდა. მან ირგვლივ მიმოიხედა და მძიმედ ამოიოხრა.

— შენ რაღა დაგემართა, ამაყი ბელადის წარგზავნილო, ახალგაზრდა გუმბავ? რატომ არ შეასრულე შენი ფიცი?

\* \* \*

ხუთი დღეა მეომრებმა სოფელში მოიტანეს გუმბას მამის გვამი. ხუთი დღე და ღამეა გუმბა თავისუფალი მიწის, დანასავით მჭრელ ბალახებში იმალება, რომ შური იძიოს მტერზე. თვალები დაეღალა დაძაბულობით, ხელები განგატის გამუდმებით მოჭერისაგან დაუბუჟდა. სოფლიდან ვერავის ხედავს, მხოლოდ დედა მოდის საღამოობით თავისუფალი მიწის ზოლისა და მბიოს ოლქის გამყოფ მდინარესთან და ჩუმად უსტვენს. გუმბა ძველი ნავით გადადის მდინარეზე, იღებს საჭმელს და უკან იჩქარის. ეშინია მტერი არ გამოეპაროს ღამე და მოუსვენრად სძინავს. დილით ჰაბუქს მზის მცხუნვარე სხივები აღვიძებენ და ყველაფერი თავიდან იწყება.

იგი მტერს უტდის და ყურადღებას არ აქცევს დედის სი-

ტყეებს, რომელიც, აი უკვე ორი საღამოა ნაპირზე ლეოპარდის ბრჭყალების ახალ ნაკვალევს ხედავს. მას, თავისი მამის შვილს, მბიოს დამოუკიდებელი ქვეყნის ერთ-ერთ ბელადთან, განა მხეცების უნდა ეშინოდეს?

შორს ბანგეზის მთაა, პირდაპირ მის წინ კი სწორი სავანაა იშვიათი ეკლიანი ბუჩქნარებით. ამ ადგილებში ძნელია შეუმჩნეველად გასვლა.

აქ თავისუფალი მიწაა, მის იქით კი აზანდეს ბელადის ნდორუმას ქვეყანაა, რომელიც აბუ-თურქებმა, — მთავრობის ჩინოვნიკებმა მოისყიდეს და რომელიც მბიოს მუდმივი მტერია. ნდორუმას ხალხმა მოკლა გუმბას მამა და გუმბა უცდის მათ, რომ შური იძიოს.

აქ იშვიათად დაფრინავენ ფრინველები, თითქოს მათაც ეშინიათ ამ უსანდომო უდაბური ადგილებისა. შინ კი მაღალი პალმები იზრდებიან და ბალახი მწვანედ ბიბინებს. გუმბა სევდით უსმენს ფრინველების გალობას. საიდანაა ეს? ტრელი გაწყდა და მოშორებით ხმელი ბალახის ფაჩუნი გაისმა. ძლივს ეღირსა მათ გამოჩენას. ისინი მოცოცავენ. აბა ახლო. ახლო. უფრო ახლო... მთელი სხეული იძაბება, ახლა იგი წამოდგება და სასიკვდილო დანას ისვრის. გუმბა წამოხტა.

მეწინავე მებრძოლი მოულოდნელობისაგან წამოიწია და ყრუ კვნესით დაეცა: მისი მკერდი განგატის ბასრ დაშნას გაეპო. გუმბა გამარჯვების შეძახილით არღვევს სიჩუმეს და სწრაფად გარბის მდინარისაკენ. ნდორუმას მებრძოლებმა მომაკვდავი დატოვეს და ჭაბუკს გამოუდგნენ, მაგრამ როგორ დაეწევიან! გუმბა ბალახისაგან დასერილი ფეხებით მირბის მდინარისაკენ, როგორც სირაქლემა. მდევარი ახლოა, მაგრამ გუმბა უკვე ნავშია, იგი ჭოკის მეშვეობით უბიძგებს ნავს, და როცა მტრები მდინარესთან გამოდიან, უკვე მეორე ნაპირზეა. მტრები აქეთ ვერ გამოცურავენ. აქ მბიოს ქვეყანაა.

გუმბა ნაპირზე დგას და იცინის. თავის მტრებს დასცინის. რამდენი არიან ისინი? ათნი. ათი ერთის წინააღმდეგ. გუმბა იცინის და მოწყვეტით ჯდება. ძლიერად ნატყორცინი განგატის დანა მის თავზე გადაიჭროლებს და ხეში ერჭობა.

მამის სისხლი აღებულება და გუმბას სურს ამ მდინარეს, ხეს

და მზეს გამარჯვების სიმღერა უმღეროს. იგი მეორე ნაპირისაკენ იყურება. ნდორუმას მებრძოლები ბუჩქნარში ჩაიკარგნენ.

უცებ ხმელი ტოტების მტვრევის ხმამ იგი აიძულა ყურადღება დაეძაბა, და ირგვლივ მიმოეხედა. მისგან შვიდ ნაბიჯზე ლეოპარდის მწვანე თვალებმა გაიელვა. მხეცი ნახტომისათვის მოემზადა. გუმბამ ხელი სარტყლისაკენ წაიღო, მაგრამ გაახსენდა, რომ დანა — იქ, მტრის გულშია. მან სწრაფად გადაიტანა მზერა ხეზე, რომლის ღეროში ჯერ კიდევ ირწეოდა განგატა. მოასწრებს თუ ვერა? გუმბა ჩაქდა და სწრაფად შეხტა. გაისმა ტკაცანი. მხეცი გადაახტა ხმელ ტოტებს და ადამიანს დაეძგერა. ჭაბუკმა ამოგლიჯა დანა და იმ წუთში მოულოდნელი მტრისაკენ შემობრუნდა. ნიკაპზე ძლიერი თათების დარტყმა იგრძნო. დანიანი ხელი ძლიერად დაუშვა ლეოპარდის თავზე და ორივენი წყლისაკენ დაგორდნენ.

მბიოს ტომის მთავარი წინასწარმეტყველი — მოხუცი ბინზე — მებრძოლს სამი დღის განმავლობაში მკურნალობდა ბალახებით და სხვადასხვა ნაყენით. კრილობა შეხორცდა და ნიკაპზე მხოლოდ მუქი წითელი ნაიარვეი დარჩა.

მეოთხე დღეს გუმბას უკვე შეეძლო სახლში წასვლა, მაგრამ ამ დროს გაისმა ბელადის დიდი საბრძოლო დოლის ხმა. ადგილობრივი ბელადების პატარა დაფდაფები დარტყმებს იმეორებდნენ და მთელ ოლქში გადასცემდნენ სიგნალებს მბიოსთან დიდი საბჭოს შეკრების შესახებ. გუმბა საბჭოზე წავიდა, საითაც უკვე მიიჩქაროდნენ მისი მებრძოლები.

ოდესღაც თეთრების ჯარისაგან წამოსულმა ბელადმა ნდორუმამ თავშესაფარი მბიოსთან ჰპოვა, მაგრამ ძალიან ჩქარა დასტოვა იგი. მბიო არ დევნიდა მისი ტომის მიწაზე აბუ-თურქების ჯარისაგან თავშეფარებულ ნდორუმას და არც მის შემდეგ მოსულებს. მაგრამ მას არ სურდა თავისი მებრძოლებით დახმარება გაეწია ნდორუმასათვის, მაშინ იგი ამას უსარგებლოდ თვლიდა, რადგან მბიოსთვის მთავარი იყო დაეცვა თავისი ოლქი იმავე მტრების თავდასხმისაგან.

ნდორუმამ მას გულისწყრომით უსაყვედურა და მბიოს წინადადებაზე, მასთან სამუდამო მეგობრად და თანაშემწედ დარჩენილიყო, უარი თქვა.

ნდორუმამ დატოვა თავშესაფარი, თან წაიყვანა ცოლები და მისი ერთგული ერთი მუჟა ხალხი. ლტოლვილების უმრავლესობა მას არ წაჰყვა. განრისხებული ნდორუმა ეგვიპტის მთავრობას დაემორჩილა და გულში თავის სამხრეთ მეზობლისადმი სამუდამო სიძულვილი ჩაინერგა. ესმოდა თუ არა ნდორუმას, რომ ორ ტომს შორის მტრობა ხელსაყრელი იყო აზანდეს საერთო მტრების — თეთრებისა და გაზვესათვის, რომელთაც აფრიკელებისათვის თავისუფლების წართმევა და მათი მონებად ქცევა სურდათ, ეს ზუსტად არავინ იცოდა.

ნდორუმას წასვლის დღეს ბელადების შეკრებაზე — მბიოს დიდ ქოხში მბანგაში — გაკიცხვის ხმები გაისმა და იმ დღიდან უკმაყოფილო ბელადები ხშირად ფიქრობდნენ განაწყენებულ ნდორუმასთან ელჩების გაგზავნას.

მთავარმა წინასწარმეტყველმა ბინზემ იცოდა, რომ ზოგიერთი ბელადთაგანი არ იყო ნდორუმასთან შეხვედრის წინააღმდეგი, რათა მასთან მეგობრობა დაემყარებინა და თავისუფალ ზოლში სისხლის ღვრა შეეწყვიტა. აი, ერთ-ერთი საპატიო ბელადთაგანი გუმბას მამაც ამ შეუწყვეტელი მტრობის მსხვერპლი გახდა. ვინ იცის კიდევ რამდენი მებრძოლი დაეცემა? მაშინ ბინზემ შესთავაზა დიდი საბჭო შეეკრიბათ და ქათმის ორაკულის წესი ჩაეტარებინათ. დაე მან იწინასწარმეტყველოს, საჭიროა თუ არა ელჩების გაგზავნა.

ბინზე დიდხანს შთააგონებდა მბიოს, დიდი საბჭოს შეკრებისათვის ნიშანი მიეცა. ბელადი უსმენდა წინასწარმეტყველს, და როცა დაამთავრა, უთხრა:

— ყური მიგდე, ბინზე, შენ ბრძენი ხარ, მე შენთან დასამალი არაფერი მაქვს. მტრობა მე არ დამიწყია, მე არ გამიგზავნიან ჩემი მებრძოლები თვისტომების სათვალთვალოდ და მოსაკლავად. ნდორუმამ მეგობრობა არ ისურვა და ომი დაიწყო თავისი თანამემამულეების წინააღმდეგ. ის ეხმარება აბუ-თურქებს, რომლებსაც ჩვენი თავისუფლების მოსპობა სურთ. ყველა აზანდებიდან მხოლოდ ჩვენ ვართ თავისუფალი. მე ბელადი ვარ, ჩემი ხალხის თავისუფლებაზე უნდა ვიფიქრო, აბა მიმოიხედე — გარშემო აბუ-თურქები, თეთრები და თანამემა-

მულეების გამცემი აზანდები არიან. არ ვიცი რომელი მხრიდან ველოდო დარტყმას, მე თვითონ დიდი ხანია მინდა გავგზავნო ბრძენი ელჩები, დაე მათ გაიგონ, რა სდება ბანგეზის მთის ძირში, რატომ მოდის ქვეშქვეშა რინგიო თეთრთან ერთად? ვინ არის ის? მეგობარი თუ მტერი? აი რაზე ვფიქრობ მე და არა ნდორუმასთან ელჩების გაგზავნაზე. ჩემთვის დროის მოგებაა საჭირო, რომ ყველაფერი ვიცოდე. შენ ბრძენი ხარ, ბინზე. დაე ქათმის ორაკულმა მე დროს მომცეს. თუ ასე იქნება, მაშინ ღმერთებმა გადაწყვიტონ. შენ მპირდები მე, ბინზე?

წინასწარმეტყველი გასასვლელისაკენ გაემართა და ვიღრე ქონს დატოვებდა, ბელადს უთხრა:

— მე მესმის შენი, მბიო, დაე ღმერთებმა გადაწყვიტონ. მბანგა -საბჰო — განაპირა და ცენტრალურ ბოძებზე დაყრდნობილი ნამჯით დახურულ ორმხრივ დაქანებულ განიერი ფარდულის ქვეშ ტარდებოდა. ამ ნაგებობასაც მბანგა ეწოდება. მბანგას მხოლოდ მამაკაცები ესწრებოდნენ.

მბიო პატარა მრგვალ ტაბურეტზე იჯდა. დანარჩენი ბელადები და მებრძოლები, რომლებმაც თავიანთი შუბები და ფარები შემოსავლელში საგანგებო მესერზე მიყუდებული დატოვეს, მიწის იატაკზე იყვნენ ჩაცუცქულნი ან პატარა კვადრატულ ჭილობებზე ისხდნენ.

გუმბა ერთ-ერთი უქანასკნელთაგანი მოვიდა, მხრებიდან ლეოპარდის ტყავი მოიძრო და ბელადის შორიახლო დაჯდა.

როდესაც ყველანი შეიკრიბნენ, მბიო წამოდგა, წინ გამოვიდა და სიტყვა წარმოთქვა. იგი ლაპარაკობდა ტომებს შორის ჩამოვარდნილი მტრობის შესახებ, თეთრებისა და აბუთურქების შესახებ, რომლებიც აზანდეს დამხობისაკენ ისწრაფოდნენ, იმის შესახებ, რომ ზოგიერთი ბელადი ნდორუმასთან შერჩეებას ცდილობს; მბიო ლაპარაკობდა და ყველა ყურადღებით უსმენდა.

— მე დიდხანს ვიცადე, მაგრამ უფრო ძეტი უნდა მეცადა. ბელადებისა და უხუცესების მოუთმენლობამ მაიძულა დღეს მბანგეს შეკრება. ახლა ყველა ჩუმად იყოს. დაე ღმერთებმა გადაწყვიტონ ჩვენი კამათი.

მზიომ თავისი ადგილი დაიკავა. მებრძოლები გაიწ-გამოიწიენ და წრე შექმნეს.

პატარა დოლის — ტამტამას ხმაზე, წრეში ცეკვით შემოვიდა ბინზე. მის ქუდს მამლის ბუმბულის ვეებერთელა ჯილა ამშვენებდა, კისერზე, სარტყელზე, მკერდსა და ფეხის კოჭებზე სამკურნალო ძირები, ხის ღილები, ძვლები და ნიჟარები ჩამოეკიდნა, რომლებიც ხმაურით ეხლებოდნენ ერთმანეთს.

ბინზემ ცეკვა ნელა დაიწყო და თითქოს ყურს უგდებდსო, ხანდახან მიწისაკენ იხრებოდა. თანდათან ცეკვა უფრო სწრაფი გახდა. წინასწარმეტყველი ხელებს სწრაფად ამოძრავებდა და ხტოდა. შემდეგ იგი უცებ შეჩერდა და ბელადებს მოაგონა, რომ ქათმის—ორაკული უნდა ჩატარდეს. ღმერთები თვითონ გადაწყვეტენ გავგზავნოთ თუ არა ელჩები. თუ ქათამი მოკვდა, არ გავგზავნით, თუ ცოცხალი დარჩა — ღმერთებმა თავიანთი თანხმობა მოგვეცეს და მებრძოლები ნდორუმასთან წავლენ.

ბინზე ხელახლა დატრიალდა, როცა შეჩერდა, მისმა თანაშემწემ წრის შუაგულში ჯოხზე მიბმული ქათამი ჩააგდო.

დაძაბულობამ იმატა. ყველას ესმოდა გადამწყვეტი მომენტის მნიშვნელობა.

ბინზემ ხელი წაავლო შხამიანი ბალახისაგან დამზადებულ ნარევს—ბენგეს, და სანამ მას მსხვერპლს ჩაასხამდა პირში, გამომცდელად შეხედა მზიოს. ბელადი სიმშვიდეს ინარჩუნებდა.

ბინზემ ქათამს ნისკარტი გაუღო, ბენგე ჩაასხა და ისევ დაუხუტრა. დაბმული ქათამი ბრძოლას აგრძელებდა.

შერიგების მომხრეები თავთავიანთი ადგილებიდან წამოდგნენ, გუმბა კი, რომელსაც არაფრით არ უნდოდა ნდორუმასთან შერიგება, ტკივილამდე იკვნეტდა ტუჩებს. ბინზე, რომელიც მზად იყო მკვდარი ქათმით ხელში სოფლებში წასულიყო და წინასწარმეტყველების შედეგები შეეტყობინებინა, თითქოს დაბნეული იდგა. მზიო მშვიდად იყო.

მაგრამ, ეს რაა? ქათამი შეფრთხილდა, ცოტაზე გაათრია, ჯოხი და მკვდარი დაეცა. ბინზემ აიღო ის.

მზიომ ოდნავ შესამჩნევად გაიღიმა და წამოდგა. რაკი ქათამი უეცრად არ მოკვდა და არც ცოცხალი დარჩა, ნათელი

იყო, რომ ღმერთების გადაწყვეტილება გამოხატული არ იყო. ბელადმა წარმოთქვა:

— ღმერთებს გადაწყვეტილება არ გამოუტანიათ. შეიძლება ამაში ბენგეა დამნაშავე?

— დიახ, ბენგე, — სიტყვა გააწყვეტინა ბინზემ, — ღმერთები გაგვირისხდნენ, რადგან ჩვენ არ გვაქვს იმ ბალახის ნორჩი ღეროები, რომელიც მდინარე ასსის სანაპიროებზე და ანზეას მიწებზე იზრდება.

ხომ გესმის, — განაგრძობდა მბიო, — ჩვენ არა გვაქვს ბალახი ბენგესათვის. გაუგზავნოთ ანზეას თორმეტი ტვირთი სპილოს ეშვი და მივიღებთ მისგან ბალახს მისი მიწა-წყლის მდინარეების ნაპირებიდან: რას იტყვიან ბელადები და მეომრები?

მბიო ისევ დაჯდა. ახლა იგი ძალზე ყურადღებით უსმენდა. სიტყვა პირველად გუმბამ აიღო, შემდეგ კი სხვებმა.

ბელადებმა და მეომრებმა მხარი მბიოს დაუჭირეს.

მზანგამ მიიღო გადაწყვეტილება ელჩები ანზეასთან გაეგზავნათ, წინამძღოლად კი გუმბა აირჩიეს.

ანზეასთან მბიოს ელჩები ხშირად დადიოდნენ. ჩვეულებრივ ამ ტომთან სავაჭრო ურთიერთობა იყო დამყარებული და მბიოს ხალხს უშიშრად შეეძლო მათ სოფლებში შესვლა. მაგრამ ახლა ბელადი და ბინზე შეიშობდნენ ელჩების გამო. იყო ხმები, რომ ანზეასთან რინგიოს თანხლებით თეთრი მიდიოდა. დამოუკიდებელ აზანდეს ბელადს სწორედ ისინი და მათი მიზნები აწუხებდა.

მბიო თვითონ გამოვიდა წარგზავნილების გასაცვილებლად. მან გუმბა თავისთან მიიხმო.

— ბელადო გუმბავ, თეთრთან ერთად აზანდესთან ბელადი რინგიო მიდის. შენ მის შესახებ ყველაფერი უნდა გაიგო; თუ საჭირო იქნება, თვითონ მიხვალ თეთრთან. მე ვიცი, რომ არ შეშინდები, მაგრამ გზაში ფრთხილად იყავი. შენს დაბრუნებას დაველოდები. ახლა კი წადით ბინზესთან, იგი თქვენ გიცილით!

გუმბამ ბელადს თავი დაუკრა და ელჩები წინასწარმეტყ-



ველის ქოხისაკენ გაემართნენ. იგი შესასვლელის წინ იღვა ისევ სადღესასწაულოდ მორთული, როგორც ქათმის ორაკულის დროს.

მეომრები მის წინ შეჩერდნენ, იარაღი მიწაზე დააწყვეს და დაჯდნენ. ბინზემ დოღს დაჰკრა, წყნარად ამღერდა, ცეკვა დაიწყო, მუხლებზე დაემხო და მიწას ყური მიადო. წინასწარმეტყველი წამოდგა და თავის ქოხში შევიდა. მეომრებიც წამოდგნენ.

— ბელადო გუმბა, ჩემთან მოდი, — დაუძახა ბინზემ ქოხიდან გამოსვლისას; წინასწარმეტყველს ხელში წვრილ თოკზე შებმული ხის ავგაროზი ეკირა.

გუმბა მასთან მივიდა. ბინზე ფეხის წვერებზე შედგა და მებრძოლს ყელზე ავგაროზი — ცალ მხარეს წაწვეტებული და ამომწვარი ხის პატარა ნაჭერი შეაბა.

— მამაცო გუმბა, შენ მებრძოლებთან ერთად სახიფათო გზაზე მიდიხარ. მე ვესაუბრე ღმერთებს, ისინი დაგიცავენ გზაში და შეხვედრის დროსაც. ისინი გაანადგურებენ მტრებს, როგორც ცეცხლი ანადგურებს ხეებს. გაუფრთხილდი ამ ავგაროზს, მასში ღმერთების ძალა და დახმარებაა!

ბინზემ გუმბას მებრძოლებსაც ჩამოკიდა კისერზე ავგაროზები.

თავისუფალ მიწაზე აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ფრთხილად, განგატის დანებით და შუბებით შეიარაღებული მიყავდა გუმბას მებრძოლთა და ბარგის მზიდავთა რაზმი;

ისინი ანზეას ქვეყანაში მივიდნენ. გადასცეს მას სპილოს ეშვები და ბენგეს ბალახი მიიღეს. მებრძოლები აჩქარებდნენ გუმბას, მაგრამ მას ჯერ კიდევ არ უნდოდა წასვლა.

რინგიოსთან ერთად მოსული თეთრის შესახებ ხალხი სხვადასხვაგვარად ლაპარაკობდა და გუმბამ გადაწყვიტა ანზეას-თვის ეკითხა მასზე.

— ყური მიგდე, ბელადო ანზეა; ხალხი ამბობს, რომ თეთრს, რომელსაც შენ თავშესაფარი მიეცი და მასპინძლობას უწევ, ჩვენს ქვეყანაში სურს მოხვედრა. მართალია ეს?

ანზეამ შეხედა ახალგაზრდა ბელადს და ჩაფიქრებულმა ჩაილაპარაკა:

— ხალხი სიმართლეს ამბობს. რინგიომ თქვა, რომ თეთრ ბატონს სურდა მბიოს ქვეყანაში ჩასვლა, მაგრამ მას შემდეგ დიდი დრო გავიდა და თეთრი თავის ქარავანს კრებს, საით სურს წასვლა, არ ვიცი. მამაშენის მამაცო მებრძოლო, რატომ შენ თვითონ არ კითხავ თეთრს, იგი ხომ ლებულობს აზანდეს ბელადებს?

მართლაცდა, რა უბრალოდ შეიძლება სიმართლის გაგება! მბიო ტყუილად ხომ არ ამბობდა: „თუ საჭირო იქნება, თვითონ მიხვალ თეთრთან“—ო. რა თქმა უნდა, იგი წავა მასთან. გუშმა ფიქრობდა, რა ეპასუხა და სულელებს ევედრებოდა, რომ თეთრთან მომავალი შეხვედრის დროს დაეცვათ იგი.

— შენ იცი, ბელადო ანზეა, რომ რინგიო ჩემი ბელადის მტერია. თუ თვით არ დამიძახებს, მე მასთან მისვლა არ შემიძლია. მიჩიე, ანზეა, როგორ მოვიქცე, შენ ჩემზე უფროსა და ჭკვიანი ხარ.

— კარგი, ბელადო გუმბავ, რინგიოს ვეტყვი, რომ ჩემთან მბიოს ელჩები მოვიდნენ. დაე, მან გადასცეს თავის თეთრ ბატონს და მე ვფიქრობ, რომ თეთრი დაგიძახებს — უთხრა ანზეამ.

მხოლოდ ხუთმა ერთგულმა მებრძოლმა იცოდა თუ რატომ აყოვნებს გუმბა, რატომ არ მიდის იგი სახლში ბენგეს ბალახის მიღების შემდეგ. ღამით, როდესაც ფიქრობდნენ, რომ დანარჩენებს სძინავთ, თვითელი ფრთხილად ეხებოდა ხელით ავგაროზებს; ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ღმერთები დახმარებას აღმოუჩინენ და გაურკვეველობით გამოწვეული შიში ქრებოდა.

თეთრმა მბიოს ელჩების ნახვა მოისურვა და ხუთი მეომარი ახალგაზრდა ბელად გუმბასთან ერთად შეხვედრაზე მოვიდა. თეთრმა ბატონმა ისინი მეგობრებივით მიიღო, და როდესაც გუმბამ კისრიდან მოიძრო უკვე გამოუსადეგარი ავგაროზი, მებრძოლებმა შეაქეს თავიანთი ბელადი. გუმბა სწორად მოიქცა, ღმერთებმა თავიანთი ვალი მოიხადეს. მებრძოლებს ესმოდათ ფიცი და ბელადის კვალდაკვალ თავისთვის ჩუმიად

იმეორებდნენ მას, ისინიც დებდნენ ფიცს, ეთქვათ მბიოსათვის, რომ თეთრი აზანდეს მეგობარია.

გუმბას რაზმი უკან ბენგეს ბალახით, მბიოსათვის თეთრისაგან მიძღვნილი საჩუქრებით და სასიხარულო ცნობებით ბრუნდებოდა. ისინი თავისუფლად მიდიოდნენ, რადგან იქ დასტოვეს მძიმე ტვირთი. — სპილოების ეშვები და მტანჯველი შიში.

რაზმი ისევ თავისუფალ მიწაზე მიდიოდა. კიდევ ორი დღის სავალი და ისინი შინ, მშობლიურ მიწაზე იქნებოდნენ.

უკანასკნელი დღის წინა ღამეს რაზმმა ბანაკი დასცა. მებრძოლებს არაფერი აწუხებდათ და ერთი გუშაგის გარდა ყველას მშვიდი ძილით ეძინა. შუალამით გუშაგმა გუმბა გააღვიძა:

— ბელადო, ჩვენი ბანაკი ნდორუმას ხალხმა შენიშნა. ისინი იმ პატარა ბორცვს იქით წვანან, და მოლაპარაკემ ღამეში ძლივს შესამჩნევ ბორცვზე უჩვენა.

ძილი გაფრთხა, გუმბა დაძაბული უგდებდა ყურს, მაგრამ ღამის სიწყნარეს არაფერი არღვევდა. ჩანდა, მტერი გათენებას ელოდა.

ძილით ველი საბრძოლო შეძახილმა გააღვიძა და უეცრად მიწყდა. შორს სროლის ხმა გაისმა და გუმბა, რომელსაც ჯერ კიდევ არაფერი დაენახა, მიხვდა, რომ ნდორუმას მებრძოლების თავდასხმაზე უფრო საშინელი და მოულოდნელი ამბავი მოხდა, მის ბანაკს გაზვები უახლოვდებოდნენ. გაქცევა გვიან იყო. ტვირთის მზიდავები გაიფანტნენ, მაგრამ ტყვიები მათაც ეწეოდათ. ხსნა ვერავინ ჰპოვა.

მებრძოლებმა გუმბასთან მოიყარეს თავი, რას გახდებოდნენ შუბებით და ფარებით გაზვების თოფების წინააღმდეგ? მაგრამ როდესაც მტერი ყიყინითა და ყვირილით მოახლოვდა, არავინ შემკრთალა, დაიზუზუნეს განგატებმა და გუმბას მებრძოლები ბრძოლაში ჩაებნენ. მტერს ახლოს მისვლა არ უნდოდა, ისინი ჩაწვნენ და ერთ მუქა მამაცებს სროლა დაუწყეს. ტყვიები ლერწმის ფარებს ხვრეტდნენ და მებრძოლები თაჯიანთი ბელადის ფეხებთან ეცემოდნენ. მარტოდ დარჩენილი გუმბა მალლა აწეული შუბით მტერს ეკვეთა; იგი წინ მი-

დიოდა, გარშემო კი ტყვიები ზუზუნებდნენ. ძლიერი დარტყმა მკერდში. ბელადი წაბარბაცდა და გულაღმა დაეცა.

გაზვების ყვირილი თანდათან მიწყდა. მძარცველებმა წაიღეს ყველაფერი, რაც ქარავანს მიჰქონდა და ახლა შინისკენ მიისწრაფოდნენ.

გუმბა წამით გონს მოვიდა და შუადღის მზის შემყურემ გაიფიქრა, რომ ვერ შეასრულა ფიცი და მბიო ვერაფერს გაიგებს თეთრის შესახებ.

სალამოს დედამ შვილის სხეული იპოვნა. მან იცოდა, სად წავიდა იგი, უცდიდა მას და ესმოდა სროლის ხმა სავანებში. ვინ იძიებს შურს მისთვის, ვინ ეტყვის დედას, რომ მრგვალი ქრილობა მისი შვილის მკერდზე იმ თეთრი ხალხის ავკაცობა არ არის, რომელთანაც იგი იყო წასული?

ვერც დედა და ვერც მბიო ვერასოდეს გაიგებენ, რომ თეთრი, რომელიც რინგიოსთან ერთად ზანგეზისკენ მიდიოდა, აზანდეს და მბიოს მეგობარი იყო. ახალგაზრდა გუმბამ ვერ შეასრულა თეთრისათვის მიცემული ფიცი და იგიც ვერასოდეს გაიგებს, თუ რატომ მოხდა ასე.

ღრუბლებმა დაფარეს მთვარე და სიბნელეში ისმოდა მარტოხელა ქალის ტირილი.

\* \* \*

გავიდა ათეული წლები. ყოფილი მბიოს ოლქის დასავლეთით სულ რამდენიმე ასეული კილომეტრის დაშორებით ეკვატორული აფრიკის დამოუკიდებელი სახელმწიფო — განა წარმოიშვა. დაიწყო შავი კონტინენტის თავისუფლებისმოყვარული ძალების გამოღვიძება, ნაციონალური სახელმწიფოების და რესპუბლიკების ჩამოყალიბება. მბიოს ყოფილი დამოუკიდებელი ოლქი კონგოს რესპუბლიკის ნაწილი გახდა. აზანდეს შთამომავლებმა თავისუფლება მოიპოვეს. ხოლო ძველებურ სახლში, ნევის სანაპიროზე, როგორც სახსოვარი კვლავ ინახება გარეგნულად ნაკლებ ღირსშესანიშნავი პატარა ნაქერი, რომლის ქვეშაც ასეთი წარწერაა:

„ელჩის ავგაროზი. ამ ავგაროზს ატარებდა ბელად მბიოს ელჩი, რომელიც მივიდა რუს მოგზაურთან გ. ვ. იუნკერთან 1871 წელს. კეთილ შეხვედრაში დარწმუნებულმა ელჩმა გადაადგო ავგაროზი, როგორც ზედმეტი ნივთი. იგი ვ. იუნკერმა აიღო და მუზეუმს საჩუქრად ჩამოუტანა“.

## ცეცხლოვანი მიწის ტრაგედია

წერილი ესპანურ ენაზე წერილად ნაწერი რამდენიმე ათეული მცირე ზომის ფურცლისაგან შედგებოდა. მისი პოვნა, ჯერ კიდევ 1912 წელს მიღებულ კოლექციებში, დიდი მოვლენა იყო. იგი არაფერს უმატებდა თავის დროზე გამოქვეყნებულ ცეცხლოვანიწელთა საერთო აღწერას, მაგრამ ისეთ დაწერილებით ცნობებს შეიცავდა, რომელიც ძნელად თუ შეიძლება ცოდნოდა ვინმეს. წერილის ავტორი კონკრეტულად არავის მიმართავდა. იგი ასე იწყებოდა:

„არის მოვლენები, რომლებზედაც მე გაჩუმება არ შემიძლია. ვსარგებლობ შემთხვევით, რათა მთელი ხმით განვაცხადო იმ საშინელი ბოროტების შესახებ, რაც ტერა დელ ფუეგოს არქიპელაგის მრავალრიცხოვან კუნძულებზე ხდება. მსოფლიომ უნდა იცოდეს ამის შესახებ.

1882 წელს ლონდონის გაზეთში\* მე შემდეგი შენიშვნა წავკითხე: „შეიმჩნევა ტერა დელ ფუეგოს არქიპელაგის უდიდესი კუნძულის ფართო კოლონიზაციის დასაწყისი. რიო-გრანდეს ველზე აღმოჩენილი ოქროს გარდა შესაძლებლად ითვლება მეცხოველეობის განვითარება არა მარტო სან-სებასტიანის ყურეში, არამედ კუნძულის მთელ ჩრდილოეთ ნაწილში. კუნძულის ათვისების ამ გეგმას შეუძლია მიიზიდოს ძველი ქვეყნის კოლონისტები, რომელთაც ფართო გასაქანი ეძლევათ თავიანთი ვაჟკაცობა და გამდიდრების უნარი გამოავლინონ, რამდენადაც გეგმის მეორე მხარე ცეცხლოვანი მიწის მოსახლეობის განადგურების აუცილებლობას ითვალისწინებს, თვი-

\* წერილის ავტორს ალბათ მხედველობაში აქვს ინგლისური გაზეთის „დეილი ნიუს“ 1882 წლის 3 მარტის ნომერში გამოქვეყნებული შენიშვნა.

თეულ მოკლულ ცეცხლოვანმიწელში მთავრობა გირვანქა სტერლინგს იძლევა. ხოლო ინგლისის ერთ-ერთი ანტროპოლოგიური საზოგადოება ოთხჯერ მეტს გადაიხდის მათ თავებში!“

მე შევძრწუნდი, საკუთარ თვალებს არ ვუჯერებდი და ერთხელ კიდევ გადავიკითხე შენიშვნა. ნუთუ, ვფიქრობდი, მას შემდეგ, რაც მთელმა მსოფლიომ გაიგო და გაიციხა ტასმანელთა ტრაგედია, სადაც ინგლისელმა დამპყრობლებმა კუნძულის მთელი მრავალრიცხოვანი მოსახლეობა მოსპეს, ჩვენს საუკუნეში კიდევაა შესაძლებელი მთელი ხალხის განადგურებისაკენ ასეთი ცინიკური მოწოდება. მე არ დავუჯერე გაზეთის ცნობას და საკმაოდ მკვახედ მივწერე რედაქტორს, უარეყო იგი. ვიდრე პასუხს მივიღებდი, რამდენიმე კვირა გავიდა, შემდეგ კი რედაქტორმა შემატყობინა, რომ უარყოფის გამოქვეყნება საჭირო არ არის, რადგან ტერა დელ ფუეგოსზე მომხდარი ამბები სრული სიმართლეა.

მალე საშინელი განზრახვის დამადასტურებელი ცნობების ასლები მივიღე არგენტინიდან და ჩილიდანაც. მე ახალგაზრდა ვიყავი და ის-ის იყო დავამთავრე სამედიცინო ფაკულტეტი. ჩემი მოწოდება ადამიანების გადარჩენა იყო. გაზეთებში ვგზავნიდი საპროტესტო სტატიებს, მაგრამ დამცინოდნენ და მათ არ ბეჭდავდნენ. ჩემი ცხოვრების მიზნად ცეცხლოვან მიწაზე მოხვედრა იქცა. მალე შემთხვევა მომეცა და ჩვენი ოჯახის ახლო მეგობარი ერთი პატრის წინადადებით ცეცხლოვან მიწაზე გავემგზავრე ქრისტიანული მისიის ექიმად.

თითქმის ოცდაათი წელია აქ ვცხოვრობ და ამ ხნის მანძილზე ბევრი ისეთი ტრაგიკული შემთხვევის მოწმე გავხდი, რამაც გული ჩამწყვიტა. მე მოგმართავთ მოწოდებით მთელი ხალხის გადასარჩენად. ზოგჯერ მეჩვენება, რომ უკვე გვიანაა, მაგრამ იმედს არ ვკარგავ. ძნელია გამოვტყდე, მაგრამ მე არ მჯერა ღვთის მოწყალებისა. ცეცხლოვანმიწელებს ღმერთი ვერას უშველის, მათ ადამიანები ანადგურებენ, მხოლოდ ადამიანებს შეუძლიათ მათი გადარჩენაც.

ნუ დაუჯერებთ მათ, ვინც იტყვის, რომ ტერა დელ ფუეგოს მცხოვრებლები ნახევრად ცხოველები არიან. არა, და კიდევ

ერთხელ არა! ისინი ისეთივე ადამიანები არიან, როგორც ჩვენ. მაგრამ თავისი ცხოვრება, თავისი ადათ-წესები და კულტურა აქვთ!

ბუნებას სიუხვე არ გამოუჩენია და მისცა მათ მხოლოდ ტიტველი კლდეები, ნათესებისათვის გამოუსადეგარი მიწა, წაართვა მზის სხივების სითბო. აქ ყველაფერი თითქოს ადამიანის დასაღუბად იყო მოწყობილი, მაგრამ მან გაუძლო და განა მართო გაუძლო. ცივილიზაციის გზებიდან შორს, მკაცრ ბუნებასთან ბრძოლაში, აქაური ადამიანი სრულიად მოწყვეტილი იყო სტიმულს პროგრესისადმი და ამიტომ პრიმიტიული იარაღების ამარა დარჩა, მაგრამ ამაში განა ადამიანია დამნაშავე, განა იგი, მისი მისწრაფებითა და ყოველგვარი სტიქიის წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლის უნარით, ალტაცების ღირსი არ არის?

მე ჩავედი ცეცხლოვან მიწაზე. ჩემს მოვალეობას შეადგენდა სამედიცინო დახმარება როგორც კოლონისტების, ასევე ცეცხლოვანი მიწელებისათვისაც. რაკი ცეცხლოვანმიწელთა მრავალ დასახლებაში ხშირად და ხანგრძლივად მიხდებოდა ყოფნა, მე ვაკვირდებოდი მათ ცხოვრებას, შევისწავლე მათი ენა და მეგობრებიც კი შევიძინე.

არქიპელაგზე მაშინ სამი ტომი ცხოვრობდა. ყველაზე დიდ — ცეცხლოვან მიწის კუნძულზე ონები იყვნენ დასახლებულნი, ალაკალუფები არქიპელაგის დასავლეთ ნაწილში იყვნენ გაფანტულნი, ხოლო სამხრეთით მდებარე კუნძულებზე იამანები ცხოვრობდნენ.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის შუა წლებში სამივე ტომში 12 ათასი კაცი იყო, მაგრამ უკვე 1880 წლისათვის მათგან 8 ათასზე ოდნავ მეტი დარჩა. ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, ახალი საუკუნის მეათე წელია, 1880 წლიდან მხოლოდ ოცდაათი წელი, ერთ თაობაზე ნაკლები გავიდა — და ცეცხლოვანმიწელები ორიათასილა არიან. ვინ არის თავმდები, რომ სიკვდილი მომავალში მაინც შეაჩერებს თავის უღმობელ ცელს? „რა მოგველის ჩვენ შემდეგში?“ — მკითხა სულ ახლახან ჩემმა მეგობარმა კუანიპმა ონას ტომიდან. პასუხი ვერ გავეცი. იგი თავისი ცხოვრების ოცდარვა წლის მანძილზე ხედავდა



ყველაფერს, რაც ირგვლივ ხდებოდა და ტყუილის თქმა არ შემდეგლო.

მისი ცხოვრება დღიდანდღემდე მარტოოდენ მწუხარება და ვარაშია. ყველაფერს თანმიმდევრობით მოკვებები.

მთელი არქიპელაგიდან ცეცხლოვანი მიწის კუნძული ყველაზე მიმზიდველია. მის ცენტრალურ და ჩრდილო ნაწილში უტყეო ხშირი დაბლობებია მშვენიერი საძოვრებით, სადაც ცხვრის სწორი გრძელბეწვა და გრძელფეხა გუანაკოები ბალახობდნენ. მათზე ნადირობა თავის რჩენის საშუალებას იძლეოდა. მაგრამ გუანაკო არც ისე ბევრი იყო და ონას თითოეულ ტომს თავისი სანადირო ტერიტორია ჰქონდა. მეზობლის ტერიტორიაზე ნადირობა კუნძულზე ყველაზე დიდ დანაშაულად ითვლებოდა. სწორედ ცეცხლოვანი მიწის კუნძულზე, ერთ დროს ონებით დასახლებულ რიო-გრანდეს ველზე, დაიბადა ჩემი მეგობარი.

თუ სამხრეთით ან დასავლეთით წახვალთ, მიადგებით დიდ წყალს, რომელიც კუნძულის დამამშვენებელ შავი გრანიტის ფრიალო კლდეს ეხლება. ყველგან, სადამდისაც კი თვალი მიწვდება, ქარაფებით ღდაფარული კუნძულები ან ზღვიდან ამოწვდილი კლდეები ჩანს. განუწყვეტელ ქარებს ხეების ვარჯები დაუღუნავთ. მათ ტოტები ქარის მიმართულებით გაუწვდიათ და სამუდამოდ ასე დარჩენილან. აქ უქარო ამინდშიც ძლიერი ქარიშხალი გეგონებათ. უცქერით დამახინჯებულ ხის ძირებს და თითქოს ტოტების კრიალი გესმით. დიდებული მყინვარები მთებიდან ეშვებიან და თავისი სითეთრით კიდევ უფრო ამძაფრებენ ქარაფების შავ გრანიტს. ფრინველები აქ იშვიათად პოულობენ ბინას. ქარი და მხოლოდ ქარია კუნძულებზე მთების შემდეგ მეორე მბრძანებელი. დამრეც ნაპირს მკიდროდ შემოხვეული ბუჩქები ქარისაგან ისე გადახლართულან, რომ მათზე გავლისას ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ზამბარებიან გზაზე მიდიოდე.

ერთხელ, როცა გორნის კონცხიდან პუნტა არენას მახლობელ მისიაში შეგვიანებით ვბრუნდებოდი, ჩვენ ხომალდს უკვე გვიან საღამოს კლდეებით დაცულ ერთ-ერთ კუნძულთან მოუხდა გაჩერება. მზე ის იყო უნდა ჩასულიყო, რომ უეცრად

ლამის წყვილია ჩამოწვა. ქარი ძლიერდებოდა, ტალღებმა იმატა და ხომალდს ნაფოტივით ათამაშებდა. კარგია საიმედო ყურეში დგომა და აბობოქრებული სტიქიის ცქერა. ხედავ, რად შეიძლება უეცრად გადაიქცეს წყლის ოდნავ მღელვარე ზედაპირი და გესმის რატომაა, რომ მიუხედავად მაგელანის ოთხასი წლის წინანდელი აღმოჩენისა, იშვიათად თუ რომელიმე ხომალდი გაბედავს ამ სრუტეში შემოსვლას.

ლამე ყოველთვის შთანთქავს უღიმღამო ფერებს და ყველაფერს სადღესასწაულო იერს აძლევს. მე ვერ ვხედავდი რუხ მცენარეულობას, კლდეთა პირქუშ მღუმარებას, ირგვლივ წყვილია იყო, ზევით კი ლამის მნათობებით დაფარული ცა, აქ, მიწის დასასრულთან, იგი განსაკუთრებული იყო და მე დიდხანს ვაკვირდებოდი. სამხრეთის ცის ფონზე ირმის ნახტომის ახლოს, ორი მკაფიოდ გამოსახული ლაქა გავარჩიე და მომაგონდა ვარსკვლავების სისტემის სახელწოდებაც, მაგელანის ღრუბლები. ისინი მართლაც ჰგავდნენ ცაზე დაკიდებულ მსუბუქ ღრუბლებს, რომლებშიც შორეული ვარსკვლავების შუქი აღწევდა. მე თავი დავხარე. მაგრამ რა არის ეს?

ჩემს წინ, მოპირდაპირე კუნძულის კლდეზე და მოშორებით ცეცხლი ციმციმებდა. ღურბინდი ავიღე და ყველა მიმართულებით დავიწყე ყურება. ცეცხლი და ისევ ცეცხლი. ცეცხლის ენები კანკალებდნენ, და ძლივს ჩანდნენ სამოთხ კუნძულზე, თვით ნაპირის გასწვრივ ან დაბალი მთების შიშველ ფერდობებზე. ერთმა მოძრაობა დაიწყო, ხან გაქრებოდა, ხან ისევ გამოჩნდებოდა მოპირდაპირე ნაპირზე, შემდეგ შეჩერდა და ადგილზე გაქვავდა. მე ვაპირებდი ახსნა-განმარტებისათვის კაპიტნისათვის მიმემართა, რომ მომაგონდა კოცონებზე, რომლებიც ონებთან და მათ სამხრეთ მეზობლებთან — იამანებთან მინახავს. კოცონი მუდმივად ენთო ცეცხლოვანმიწელთა ქოხების წინ ან თვით ბინებში და ზამთარ-ზაფხულს ათბობდა მათ, თუკი საერთოდ შეიძლება ლაპარაკი ზაფხულზე ამ ადგილებში, სადაც კლიმატი თითქმის მთელი წლის განმავლობაში უცვლელად ნესტიანი და ცივია.

ცეცხლის მოპოვება ცეცხლოვანმიწელებისათვის სიძნელეს არ წარმოადგენს. ისინი სხვა ხალხებზე წინ წავიდნენ პრიმი-

ტიულად ცეცხლის მოპოვებაში და მას ხახუნით კი არა, კვე-  
სით იღებდნენ; კაეი და კვესი ამ ადგილებში ბევრია, ხოლო  
აბედად ხავსს ან ფრინველის ბუმბულს იყენებენ. მიუხედავად  
ამისა, არც ერთი ოჯახი არასოდეს არ აქრობდა ცეცხლს, თუ-  
კი საღმე თუნდაც ერთი ან რამდენიმე დღით გაჩერდებოდა.

სწორედ ასეთი კოცონები, უფრო ზუსტად კი მათი კვამლი  
შეამჩნია მაგელანმა, როდესაც მიწას უახლოვდებოდა. მაშინ  
ცეცხლოვანიმიწელებს კიდევ მეტი ქოხები ჰქონდათ, ბევრნი  
იყვნენ თვითონაც, კოცონებიც მეტი ენთოთ და შორიდან ისე  
ჩანდა, თითქოს კვამლისა და ცეცხლის კერები მთელ კუნ-  
ძულზე იყო მიმოფანტული. ამ მიწას მაგელანმა კვამლების მი-  
წა უწოდა; უფრო მოგვიანებით მას სახელწოდება შეუცვალეს  
და ტერა დელ ფუეგო — ცეცხლოვანი მიწა დაარქვეს.

მოხეტიალე ცეცხლს მეც მოუუნახე ახსნა.

კუნძულის მიწის უმნიშვნელო სიმდიდრეებიდან ყველაზე  
უკეთესი გუანაკოს საძოვრები ონას ტომს შეხვდა; მათ მეზო-  
ბლებს — ალაკალუფებს და იამანებს — ბუნებამ მხოლოდ  
ოკეანე არგუნა. და მათ ძირითად საარსებო წყაროდ მისი  
ცისფერი მინდვრები იქცა. ონები გუანაკოებზე მონადირეები  
და მიწაზე ფესვების შემგროვებლები იყვნენ და კოლონისტე-  
ბი მათ ხშირად „ფეხით მოსიარულე ინდიელებს“ უწოდებდ-  
ნენ. ალაკალუფები და იამანები კი ზღვის მონადირეები  
იყვნენ. ისინი ნადირობდნენ სელაპებზე, წავებზე, იჭერდნენ  
თევზებს, აგროვებდნენ მოლუსკებს და მოსულები მათ „ნავე-  
ბიან ინდიელებს“ უწოდებდნენ.

ეს სახელწოდება მეტად სამართლიანია. ზღვაზე სანადი-  
როდ ნავია საჭირო. პრიმიტიული იარაღებით ბევრს ვერაფერს  
მოიპოვებ. კლდეებით კუნძულს ერთი ბოლოდან მეორემდე  
ვერ გადასერავ. ამიტომ ცეცხლოვანიმიწელები დიდიდან გვიან  
სალამომდე კლდეების გასწვრივ შიშველ ნაპირზე ეძებდნენ  
ისეთ ადგილს, სადაც მოქცევის დროს წყალს ქვებზე გამოჰქო-  
ნდა მოლუსკების ნიჟარები ან გამოშიგნული ვეშაპი.

წყალზე საკვების ძებნაში გადიოდა დღეები, თვეები და  
წლები, სიცოცხლის უდიდესი ნაწილი.

მათ მძიმე გზაზე მონადირეებს ცეცხლი ყოველთვის თან

ახლდათ. იგი ნავის ცენტრში მიწისა და ქვისაგან გაკეთებულ სპეციალურ საცეცხლურში ენთო.

იამანისათვის ნავი ყველაზე დიდი სიმდიდრეა, მის აგებას დიდი შრომა ჰქირდება. ამ წყლებში ხეების ქერქისაგან დამზადებული დანჯღრეული ნავი დიდი-დიდი ნახევარი წელი თუ გაძლებდა.

ნავეს 4—6 მეტრის სიგრძის და დაახლოებით ერთი მეტრი ზიგანისას აკეთებდნენ. ასეთი ნავისათვის შესაფერ ხეებს მთის ფერდობებზე შეფენილ ტყეებში ეძებდნენ. ორი ან სამი მამაკაცი ძვლის საფხეკებით ხეს ქერქს აცლიდა, და რომ არ გატეხილიყო, ღვედებით ჰკრავდა, რადგან თუ ქერქი გატყდებოდა, ყველაფერი თავიდან უნდა დაეწყოთ. ქერქს ნაჭრებად ჰკრიდნენ და შემდეგ კერავდნენ. მოთმინება და უნარი უნდა გქონდეს, რომ ნავი ასე შეკერო! ცეცხლოვანმიწელები ძაფის ნაცვლად ვეშაპის უღვაშს ან წვრილ წნელს იყენებდნენ და მათ ძლივს სადგისით გაკეთებულ ნახვრეტებში უყრიდნენ. გულდასმით მუშაობისას ყოველთვის აღწევდნენ, რომ ნახვრეტი ძაფის სისქეზე მეტი არ ყოფილიყო.

ქერქის ნაჭრებს ერთმანეთს გადააკერებდნენ და ნავიც მზად იყო. მთელი ოჯახი ბავშვებით სხდებოდა შიგ და ნაპირის გასწვრივ ტალღების დაკვალვას იწყებდა.

იმ ღამეს ვუყურებდი მოციმციმე ცეცხლის ალებს და მეშინოდა ტალღებისა, რომლებსაც ნავის გადაბრუნება შეეძლოთ. ცეცხლი გაჩერდა. ალბათ ყველაფერი კეთილად დამთავრდა.

მაშინ მე რაღაც სიმპათიაც ვიგრძენი კოლონისტებისადმი, მათ ამ კუნძულებზე მოიტანეს რკინის იარაღები და ცეცხლოვანმიწელებს უჩვენეს, როგორ უნდა გამოკვეთონ ქერქის ნავეებზე გაცილებით უფრო გამძლე ნავი ხის ტანისაგან და ყველაფერი ეს კოლონისტებმა, ინდიელების ჯალათებმა, გააკეთეს!

მაგრამ, მე ხომ თანმიმდევრობით მოყოლას დაგპირდით. იმ ტომის სანადირო ტერიტორია, რომელშიც ჩემი მეგობარი დაიბადა, რიო-გრანდეს მარცხენა ნაპირიდან ჩრდილოეთით 20—40 კმ-ზე გადადიოდა. მისი ოჯახის ქოხი მაშინ ტომის აღმოსავ-

ლეთ საზღვარზე მდებარე დიდი ქვის ახლოს იდგა, დასავლეთი საზღვარი კი მდინარის სათავე იყო. ახლა იქ კოლონიტების ერთ-ერთი შთამომავლის ჯულიო პოპერის ფერმაა.

ჩემი მეგობარი იმ წელს დაიბადა, როცა გუანაკოზე ნადირობა განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო. მამამისმა, გვარეულობის თავმა, ნანამ, ტყავების გაყოფისას წილად ექვსი ცალი ტყავი მიიღო. შეიძლებოდა ზამთრისათვის ტანსაცმელი შეეკერათ და გადაეხურათ კონუსისებური ქოხი, სადაც მისი ოჯახი მამამისის უფროსი ძმის ოჯახთან ერთად ცხოვრობდა. გუანაკო მთელ გვარეულობას აძლევდა ყველაფერ აუცილებელს, მის ხორც კამდნენ, ტყავი ბეწვით გარეთ გაკერილი ან უბრალოდ ცალ მხარეზე გადადებული და ქამარშემორტყმული, ზედა ტანსაცმლის მოვალეობას ასრულებდა. მისგან ჩაჩივით ქულებს და სანდლებსაც კერავდნენ. ორსამ ტყავს ერთმანეთზე აწყობდნენ და ზამთარში ქოხის გადასახურავად იყენებდნენ, რომელსაც ზაფხულობით წვიმისაგან ფოთლებით ან ტოტებით იცავდნენ.

კერა ქოხის შუაში იყო გაჩაღებული და მას ორ ნაწილად ყოფდა, რომლიდანაც თვითეული ცალ-ცალკე ოჯახებისათვის იყო განკუთვნილი. კუანიპის დედა — ნანას მეორე ცალი, მოგროვილი მცენარის ძირებით სახლში დაბრუნებისას, ხშირად დასასვენებლად მათი ქოხის ახლოს დიდი მიწის ქვასთან ჯდებოდა. ქვას ცალი მხარე ირიბად ჰქონდა დახრილი და წვიმის დროს ჩარდახის მოვალეობას ასრულებდა.

ყველას შურდა ნანას ბედი, რომელსაც ისრების ამ ადგილებისათვის იშვიათი პატაგონური ქვის წვეტიანი ბუნიკები, ზუსტი თვალი და მტკიცე მარჯვენა ჰქონდა. მან საცხოვრებელი ადგილიც კი მოხერხებულად შეარჩია. ოთხ ხეს, რომელიც იქ იზრდებოდა, ფარჯნები გადაჭრეს, რამდენიმე ლატანი დაუმატეს და მოხერხებული საცხოვრებელი ბინა მიიღეს. ქოხის მთავარი სამკაული ნანას მშვილდი იყო.

ნანა მამაცი მონადირე იყო და მიუხედავად ახალგაზრდობისა, მას პატივს სცემდნენ.

ამ ადგილებში ცოტანი ცხოვრობდნენ. ბიჭები ჯანმრთელები იყვნენ და უკვე სანადიროდ დაჰყავდათ, გოგონები დედებს

ფიჩხის და საკვები ფესვების შეგროვებასა და ტყავის გამოყვანაში ეხმარებოდნენ. შეიძლება ყველაფერი კარგად ყოფილიყო, მაგრამ გუანაკოები შემცირდნენ და სხვა ტომებიდან მოსული მონადირეები ხშირად არღვევდნენ ნადირობის მკაცრ კანონს, ამას კი მტრობა მოსდევდა. ნანა ერიდებოდა უსიამოვნებას. განა საჭირო იყო ომი მისი ხალხისათვის, რომელსაც ყველაზე საშინელი მტერი შიმშილი ემუქრებოდა? რა ვქნათ. თუ გუანაკოები წავლენ? ამაზე ლაპარაკობდა ყველა მონადირე სეზონის დასაწყისში. საჭიროა გაერთიანება, ტერიტორიის შეცვლა და წასვლა ჩრდილოეთისაკენ. საითაც გუანაკოები წავლენ. მთელი გვარეულობით ნადირობა, ნანადირევის ტოლად გაყოფაა საჭირო — ფიქრობდა ნანა. იგი მართალი იყო, შიმშილს შეეძლო სასოწარკვეთილებამდე მიეყვანა ხალხი. საჭირო იყო როგორმე მათი გადარჩენა. ნანას ღრმა, შავ თვალებში მუღმივმა შიშმა დაისადგურა.

მკაცრი და მამაცი მონადირე ნანა ალერსიანი და რბილი ადამიანი იყო. უკანასკნელ ხანს იგი ხშირად ასრულებდა ქალის სამუშაოს. ცოლის ნაცვლად, რომელსაც მალე უნდა ემშობიარა. იგი ვაჟს ელოდა. ცოლი დასასვენებლად დიდ ქვებთან მიდიოდა. ნანას ვაჟი იქ, იმ დიდ ქვებთან დაიბადა. გახარებულმა მამამ ბიჭუნას დახედა და წამოიძახა:

— გახსოვთ, ხალხო, ლეგენდა ჩვენი ხალხის გმირის კუანიპის შესახებ? მისი დედა წითელი მთა იყო, მამა კი — კალის კონცხი. როდესაც პირველად მოვიდა მიწაზე, მას ჰკითხეს: „ვინ ხარ? ვინ გშვა შენ?“ — და მან უპასუხა: „მე ქვის შვილი ვარ“. — ნანამ გაიღიმა. — „ჩემი შვილი დიდი ქვის ქვეშ დაიბადა. დაე მას კუანიპი — ქვის შვილის სახელი ერქვას“.

კუანიპი რომ მეექვსე წელში გადადგა, მის ოჯახში დღიდან დღემდე მატულობდა შიმშილობა. მამა დარღობდა და სხვა მამაკაცებთან ერთად სანადიროდ წასული კვირაობით იკარგებოდა. ქოხებში შეშინებული ქალები ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. მთელი ტერიტორიის შემოვლა ხომ ორ დღეში შეიძლება, სად გადაიკარგნენ ერთი კვირით? ვაითუ სხვის მიწებზე დაიწყეს ნადირობა? — შეძრწუნებულნი ფიქრობდ-

ნენ სახლში დარჩენილნი და შეშინებულნი მოუთმენლად ელოდნენ მონადირეების დაბრუნებას. როცა მამაკაცები მცირე ნადავლით ბრუნდებოდნენ, ქალები ყურადღებით იყვნენ: მდევარი ხომ არ არის? მაგრამ ყველგან სიწყნარე იყო. გადიოდა ორი, სამი დღე. თავდებოდა მარაგი და მამაკაცები, რომლებიც ამ დღეებს თითქმის სიტყვის უთქმელად ატარებდნენ. ისევე მიდიოდნენ.

ასეთ დაძაბულობაში გადიოდა თვეები, და. ბაერთო განგაში პატარა კუანიძსაც გადაედო. მან იცოდა, რომ სახლში საჭმელი არ იყო და საკვები ფესვების საძებნელად შორს დაეხეტებოდა. ერთხელ დედამ მას ბალახის კაკანათი დაუწნა. კუანიძი კაკანათს აგებდა, რომ რამე ფრინველი დაეჭირა.

ერთხელ სხვებთან ერთად ორი მონადირე არ დაბრუნდა. მთელი საცხოვრებელი სევედამ მოიცვა. ხალხი უცდიდა, რას იტყოდა ნანა და მან ყველაფერი თქვა.

ის და უფროსი მონადირეები უკვე რამდენიმე დღეა ამჩნევენ, რომ ამ მხარეში გუანაკო თანდათან შემცირდა. მათ გადაწყვიტეს ჩრდილოეთით წასულიყვნენ, იქით, საიდანაც გუანაკოები მათ ტერიტორიაზე მოდიოდნენ. რამდენიმე დღე იარეს, მაგრამ ცხოველის კვალსაც კი ვერ მიაგნეს. მონადირეებმა მხოლოდ მეხუთე დღის ბოლოს დაინახეს ვრცელი საძოვარი. შორს რაღაც ვეებერთელა კვადრატული ქოხები და მობალახე თეთრი გუანაკოები ჩანდა. დიახ, დიახ, თეთრი გუანაკოები! ნანას ეს ყველაფერი მოჩვენება ეგონა. მაგრამ, აი თეთრი გუანაკოები ძოვით მოახლოვდნენ. ნანამ მიმოიხედა. ის მთელი ათი წელია არ ყოფილა ამ ველზე, სადაც მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლებოდა ნადირობა მთელი ტომით. მან ვერ იცნო ველი და მხოლოდ ხეებმა, ქვებმა და კლდეებმა დაარწმუნეს, რომ არ შემცდარა. ერთმა მონადირემ ვერ მოითმინა და გაისროლა. ისარმა განგმირა თეთრი გუანაკო, დანარჩენები შეჩერდნენ და უკან გამობრუნდნენ. მონადირეებმა მხოლოდ ახლა შენიშნეს ჯოხიანი ადამიანები, რომლებიც სრულებით არ ჰგავდნენ ონას ტომელებს. ერთი მათგანი მოკლული ცხოველის თავთან დაიხარა; შემდეგ ისარი და თავისი ჯოხი აიღო. ასევე მოიქცნენ სხვებიც. უცებ

იგრილა და მათი ხელიდან ცეცხლმა იფეთქა. ნანას გვერდით ბუჩქებთან მდგარი ერთი მონადირე დაეცა. მისი მოსასხამის ტყავს ცეცხლი მოედო და აბოლდა. ნანა მისკენ დაიხარა და სისხლი შენიშნა. იგი შიშმა შეიპყრო, მაგრამ არ დაიბნა და ლამბი აუშვა. მან თეთრი სახის ჯოხიანი კაცი მოკლა: — მე მართალი ვიყავი. ეს მიწა ჩვენი ტომისაა. იქ ნადირობა არავის შეუძლია, თუ მთელი ტომი ერთად არ ნადირობს. ისინი თავიანთი ქონებისაკენ გაიქცნენ, მაგრამ მალე ისევ გამოჩნდნენ და უკვე ბევრნი, თან რალაცას ყვიროდნენ და ცეცხლს გვაყრიდნენ. ჩვენგან კიდევ ერთი წავიდა. ჩვენ უკან გავიქცით, ისინი რალაცნაირ მაღალ, შიშველ გუანაკოებზე ისხდნენ და ჩვენ მოგვედევნენ. დალამდა და ჩვენც დავბრუნდით — ნანამ ტყავის მოსასხამი გადასწია და დახვეული ცხვრის ტყავი გამოიღო. — აი თეთრი გუანაკო!

ყველა შიშის ზარით შესცქეროდა ხან ტყავს, ხან ნანას. მათ იშვიათად ხედებოდათ თეთრბეწვიანი გუანაკო და მაშინაც მისი მატყლი შამანის ქუდს ხმარდებოდა, მაგრამ, ამბობენ, რომ იქ თეთრი გუანაკო ბევრია. ნანამ ტყავი გაშალა და დაფიქრებით წარმოთქვა:

— ეს თეთრი გუანაკოები ჩვენებს არ ჰგვანან, ისინი ტომის მიწაზე მოსულმა ადამიანებმა მორეკეს. მათ საძოვრებიდან გარეკეს ჩვენი გუანაკოები. საჭიროა ეს ყველა ტომებს შევატყობინოთ.

ალბათ, ჯერ კიდევ მაშინ იგრძნო ნანამ განსაკუთრებული შეშფოთება თავისი ხალხის გამო. გუანაკოები, რომლებზედაც ისინი ნადირობდნენ, ამ საძოვრებიდან გაქრნენ. თეთრ გუანაკოებზე ნადირობა — მოსულებთან ბრძოლას ნიშნავს. მათ კი ცეცხლის მსროლელი ჯოხები ჰქონდათ. მან გაიფიქრა, რომ სიფრთხილეა საჭირო და თვალებით დაუწყო ძებნა თავის შვილს, რომელიც ჯერ კიდევ არ ენახა ნადირობიდან დაბრუნების შემდეგ.

— კუანიპ! — დაიძახა ნანამ, მაგრამ ხმა არავინ გასცა.

მეუღლე წამოდგა და აკანკალებული ხმით უთხრა, რომ კუანიპი დილიდანვე კაკანათების შესამოწმებლად წავიდა და



ჯერ არ დაბრუნებულაო. უკვე ღამე ჩამოწვა და ირმის ნახტომის თავზე უმოძრაო, მაგელანის ღრუბლები ეკიდა.

დაახლოებით იმავე დროს ჯულიო პოპერის ფერმიდან მისიაში შიკრიკი გაგზავნეს. ფერმის მეპატრონე სასწრაფო სამედიცინო დახმარებას ითხოვდა.

მე ამ ადგილებში ჯერ კიდევ ახალბედა ვარ, მაგრამ პოპერის შესახებ უკვე ბევრი მსმენია. იგი კუნძულზე ხუთი წლის უკან მოვიდა. არგენტინის მთავრობისაგან შეისყიდა ვრცელი საბალახო ნაკვეთები, რომლებიც მთავრობას არ ეკუთვნოდა და ონას ტომის საკუთრებას წარმოადგენდა, და მეცხვარეობის ფერმა შექმნა.

მისიამდე აღწევდა ხმები, რომ პოპერმა თავისი სამფლობელო გააფართოვა და ცეცხლოვანი იარაღები გარეკა; იგი ისე ანადგურებდა მათ, როგორც „თავისი ფარის ქურდებს“. პოპერი კარაბინერების მთელ რაზმს ინახავდა. ხუთი წლის განმავლობაში მათ მოასწრეს არა მარტო განდევნა, არამედ გუანაკოს ფარების განადგურებაც, რომლებიც ზამთარში თავშესაფარს ველზე პოულობდნენ.

კარაბინერები, რომლებსაც მეპატრონისაგან ნაბრძანები ჰქონდათ თითოეული ადგილობრივი მცხოვრებლისათვის გაფრთხილების გარეშე ესროლათ, ყოველთვის თან ახლდნენ მწყემსებს ფარასთან ერთად.

სასწრაფოდ გავემზადე, როდესაც პატრმა პოპერთან გამგზავრება შემომთავაზა, მაშინ მე იმ ხმებზე არ ვფიქრობდი და მხოლოდ ის მახსოვდა, რომ ავადმყოფები მელოდნენ.

ფერმა მისიიდან შედარებით ახლო მდებარეობდა. რამდენიმე საათში ჩემს თანმხლებთან ერთად ფერმაში მივედი. მაღალი ღობის შიგნით ფიცრის უხეში ორსართულიანი შენობა იდგა. მას გვერდზე სხვადასხვა დამხმარე სათავსოები ჰქონდა მიშენებული. მსხვილ ღობეებში სათოფურები იყო ამოჭრილი. ეზო სამხედრო ბანაკს წააგავდა, სადაც შეიარაღებული ხალხი დადიოდა. კუთხეებში კოცონები ენთო და თოფები გროვად იდგა.

თანმხლებმა მაღლა ამიყვანა და შემიძღვა ოთახში. სადაც

მწოლიარე დავინახე, მას მკერდი დაუდევრად ჰქონდა შეხვეული. ჩემს შესახვედრად შევთმინიანი, ფუშფუშა ულვაშებიანი მამაკაცი წამოდგა. რომაული ცხვირი მასში იტალიელს ამყლავნებდა, ამავე დროს გერმანული იერიც შეიგრძნობოდა. მან ბრძანებას ჩვეული კილოთი წარმოთქვა:

„ექიმო, ჯულიო პოპერი, ვიცნობდეთ ერთმანეთს! ჩემი ძმა ადგილობრივი მცხოვრებლის ოსრითაა დაჭრილი. სამი დღე გავიდა და ჰრილობა ჩირქდება. ჩვენ შეწუხებულნი ვართ, ისარი მოწამლული ხომ არ იყო?“

მე ხელი არ გავუწოდე, მხოლოდ თავი დავუკარი და ჰრილობის დათვლიერებას შევეუდექი. როგორც ვფიქრობდი, მოწამვლას ადგილი არ ჰქონია, უბრალოდ ჰრილობის დაჩირქებას ხელს უწყობდა ბინძური ნაჭერი, რომელიც სახვევის მაგიერობას ასრულებდა, შეხვევა რომ დავამთავრე, დაციხვით ვკითხე მეპატრონეს:

— ბატონო პოპერო, რისთვის გყავთ ასეთი სამხედრო დაცვა?

მეპატრონე გამოცოცხლდა.

— აბა როგორ, ექიმო! ჩვენ ისე ვცხოვრობთ, როგორც ვულკანზე. ადგილობრივი მცხოვრებლები ყოველდღე მზად არიან თავს დაგვესხან. აი სამი დღის წინ ჩემს ხალხს ცხვარს აბალახებდა, მათ კი მშვილდ-ისრების სროლა ატეხეს. ცოტა ხნის შემდეგ ჩე ჩემს ყმაწვილებს ვუბრძანე ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე ესროლათ მათთვის. თქვენ ახალი კაცი ხართ, მაგრამ რაც არ უნდა თქვათ, მთავრობა მაინც სწორად იქცევა, რომ ადგილობრივი მოსახლეობის სროლით მოგერიების უფლებას იძლევა!

ღიას, მე არ შევმცდარავარ, სწორედ ასე გამოიყენა მან მონადირეების ტერმინი „სროლით მოგერიება“. მე გამაჟრჟოლა.

— იცით თუ არა თქვენ, რომ ამ ხალხს მშვილდებისა და ისრების გარდა არავითარი იარაღი არ გააჩნია და ამასაც ერთმანეთთან ბრძოლის დროს იშვიათად იყენებენ. იგი არ გამოუგონიათ არც იამანებს და არც ალაკალუფებს. იარაღი მათ არ ჰირდებათ, მათ მხოლოდ სამონადირო საგნები აქვთ.

— მით უკეთესი! — ჯულიო ძმას მიუბრუნდა: — ხომ გე-

უბნებოდი, რა მხეცები არიან ადგილობრივი მცხოვრებლები! მით უკეთესი ჩვენთვის.

მან თვითკმაყოფილად გაიღიმა. მე მინდოდა უკმეხად მეთქვა რაიმე, რომ ჩემი ყურადღება მიიზიდა ყვირილმა, რომელიც ეზოდან მოისმა.

— რა არის?

— ნუ ღელავთ, ექიმო! იქ შავკანიანი კვდება ტიფისაგან. ჯულიო წამოდგა და მეზობელ ოთახში გაწყობილ მაგიდასთან ჩემი მიპატიჟება განიზრახა.

მე უკვე კაზებზე ჩავრბოდი. მაგრამ, სამწუხაროდ, საჭირო აღარ ვიყავი. ყვირილი ავადმყოფის უკანასკნელი ამოძახილი იყო.

დალამდა და იქ დარჩენა მომიხდა. ცუდად მეძინა. არ მჯეროდა, რომ ინდიელები თვითონ დაესხნენ თავს ფერმას. ისინი ასე არასოდეს იქცევიან. ალბათ სანადიროდ წავიდნენ. რა უნდა ექნათ მათ, თუ გუანაკო გარეკეს, ხოლო სხვა საჭმელი კი არა აქვთ. ისინი პატრონის დაუკითხავად ესროდნენ ცხვრებს, რომლებიც გუანაკო ეგონათ. თუმცა არც ინდიელებისათვის უკითხავს ვინმეს, როდესაც მათ მიწებს ყიდდნენ ან კოლონისტებს აძლევდნენ.

დილით ავდექი იმ სურვილით, რომ ფერმის პატრონისათვის მეთქვა ყველაფერი, რასაც ვფიქრობდი. მაგრამ უფრო მეტის თქმა მომიხდა. ოთახში იმ დროს შევედი, როცა მეპატრონე თავის ძმას ელაპარაკებოდა.

— დილა მშვიდობისა, ექიმო! განსაჯეთ რომელია ჩვენში სწორი, — მითხრა ჯულიომ. — იგი ამტკიცებს, რომ ხუთი დღე გავა, ვიდრე ტიფით ავადმყოფი სხვებს დაავადებს, მე კი ერთ კვირას ვამბობ.

მისი ნალაპარაკევი ვერ გავიგე და შევეკითხე:

— რაშია საქმე?

— იმდენი არაფერი, ექიმო! ჩემი ძმაც ცოტათი მედიკია, იგი ვეტერინარია. მისი დაჭრის დღეს ჩვენ სამედიცინო იდეა მოგვივიდა. — ჯულიომ გაიცინა. — ხოლო ჩემმა მამაცმა კარბინერებმა ეს იდეა განახორციელეს. მათ ცხენები რიო-

გრანდეს მიმართულებით გააჰქენეს და რომელიღაც ადგილობრივი სოფლის ახლოს ექვსი წლის ველური დაიჭირეს. გახსოვთ, მე გუშინ ერთ შავკანიან ავადმყოფზე გელაპარაკებოდით? ჩემმა ძმამ ველურის ტიფით დაავადება მოახდინა და ჩვენ იგი გავუშვიტ. ბიჭის სოფელში მივა, იქ მის მამას, დედას, ძმებსა და დებს გაეხარებათ, ვიპოვნეთო, ერთ კვირაში კი გვამებად იქცევიან. ტყვიები აღარ არის საჭირო და ადგილიც გათავისუფლდება.

მარჯვედაა მოფიქრებული არა, ექიმო? — ა? მაგრამ თქვენ რა მოგივიდათ?

მე ალბათ გავფითრდი, არა სისუსტით, არამედ რისხვით. უცებ გამიელვა აზრმა კოლტი ამომეძრო და მისთვის თავი გამეჭექჭყა. მაგრამ ამით რა გამოვიდოდა? მისი ხელქვეითები მე მომკლავდნენ, აქ მისი ძალაუფლებაა. ხოლო ვინ იხსნიდა ინდიელებს ტიფისაგან, იქნებ ჯერ კიდევ შეიძლებოდა მათი გადარჩენა? მე ხელი დავმუჭე და თითქმის ჩურჩულით ვთქვი:

— ყურს გიგდებთ და მაინც ვერ გავიგე, ვინა ხართ თქვენ, ბატონო პოპერო? მანიით შეპყრობილი თუ ავაზაკი? ერთიც და მეორეც, მაგრამ მთავარია, რომ არამზადა ხართ! ძალიან ვწუხვარ, რომ არ შემიძლია ახლა ტყვია დაგახალოთ შუბლში. მე მაგის დრო არ მაქვს, თქვენს მიერ დათესილ ბოროტებას უნდა ვებრძოლო!

თქვენ ფიქრობთ, რომ პოპერი მუშტებით დამეტაკა? სრულებითაც არა. მართალია, სახე ოდნავ შეეცვალა, მაგრამ მის პირზე ღიმილი გაჩნდა:

— სენტიმენტალობის გარეშე, ექიმო! მე არ გავბრაზდები თქვენს ეპითეტებზე, რადგან ისინი სრულიადაც არ მცვლის. მე ჩემს საქმეს ვაკეთებ და აქ მოსარადებელი არაფერია! ჩემთვის ერთი ჩემი ნაზმატყლიანი ცხვარი უფრო ძვირფასია, ვიდრე ის ნახევრად ცხოველი ადამიანები, რომლებიც ჯერ კიდევ ცხოვრობენ ამ კუნძულზე. ვიმედოვნებთ, რომ ისინი აქ აღარ დარჩებიან. თქვენ კი უძლური იქნებით ხელი შეგვიშალოთ. მომავალ შეხვედრამდე!

იგი წამოდგა და ჩემ წინ კარი თავაზიანად გააღო. გასასვლელში ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ.

— ჩვენ ისევ შევხვდებით ერთმანეთს, ბატონო პოპერი! ...  
გამომწვევად ვუთხარი და დაბლა დავეშვი.

ჩემთვის არავის უთქვამს, რომელ მხარეს წავიდა სენშეყ-  
რილი ყმაწვილი. ვიცოდი მხოლოდ, რომ იგი რიო-გრანდეს  
ველიდანაა. საჭირო იყო აჩქარება, უკვე ოთხი დღე გავიდა.  
და მე ვჩქარობდი. ინდიელები ზოგან ალერსიანად მხვდე-  
ბოდნენ, ზოგან შიშით. მე შევამჩნიე, რომ ერთი სოფლიდან  
მეორეში თითქმის ჩემთან ერთად გზავნიდნენ კაცს და თან  
რალაცას აბარებდნენ. მოგვიანებით გავიგე, რომ ისინი ნანას  
უფრთხილდებოდნენ, მაგრამ ბიჭი ჯერ არსად შემხვედრია.

ძიებაში რამდენიმე კვირა გავიდა, როდესაც ბოლოს და ბო-  
ლოს დავინახე დიდი შავი ქვა და მასთან ახლოს თავწვეტა  
ქოხი, მე ძალიან გამაკვირვა სოფლის მოჩვენებითმა სიჩუმემ.  
გული შემეკუმშა. მალე მივხვდი, რომ დამავციანდა.

აქ, ნანას სოფელში, დაახლოებით 30 კაცი ცხოვრობდა.  
მათგან ჯანმრთელი მხოლოდ ნანა დარჩა. ეს იმიტომ მოხდა,  
რომ იგი კვირის განმავლობაში დადიოდა საჭმელის საშოვნე-  
ლად და სახლში მაშინ დაბრუნდა, როდესაც შვილი სიცხეში  
ბორგავდა. იგი მასთან ახლოს არ მიდიოდა და დამეს ქვასთან,  
ფიქრებში ატარებდა. კუანიპი ბოდავდა და ნანას საშინელი  
ექვი აღეძრა:

„მოსულებმა სოფელში სიკვდილი გამოგზავნეს!“

ოთხ ქოხში უკვე ჩაქრა კოცონი, დარჩა კიდევ სამი, მათ-  
გან ერთი მისი იყო, სადაც ცოლი და ქალიშვილები კვდებო-  
ნენ, ვაჟი კი აგონიით იტანჯებოდა.

ღიან, კუანიპი აღმოჩნდა ის დაავადებული ბიჭი, რომელ-  
საც მე ვეძებდი. სოფელში მშიერი ძაღლები დაძრწოდნენ. და  
გვამებზე ყმუოდნენ. მართლაც, საშინელი სურათი იყო.

რაც შემეძლო ყველაფერი გავაკეთე. არ მახსოვს რამდე-  
ნი დღე თუ კვირა დავეხეტებოდი მისიასა და ნანას ქოხს შო-  
რის და კუანიპის სიცოცხლისათვის ვიბრძოდი. როდესაც მან  
გამოჯანმრთელება დაიწყო, დავისვენე. რამ გამოაჯანმრთელა  
კუანიპი, ჩემთვის დღემდე ამოუხსნელია.

მალე მე წავედი და ნანას მკაცრად ვურჩიე დაეწვა არა  
მარტო გვამები, როგორც ეს ცეცხლოვანმიწელების ზნე-  
მ. რუდოლფ იტსი

ვეულებითაა მიღებული, არამედ ყველა მათი კეთენილი ნიგ-  
თიც.

ერთ კვირაში მე ისევ მოვახერხე დიდ ქვასთან მისვლა. ნა-  
ნას ჩემი დარიგება პირხათლად შეესრულებინა. მისი ქოხი ცა-  
რიელი იყო, მაგრამ მბუჟტავი მუგუზლები მოწმობდა, რომ  
პატრონები ეს-ეს არის წავიდნენ.

დიდი ქვიდან ცხენი დინების მიმართულებით გავაქენე.  
არავინ იყო უკან მოვბრუნდი და მალე ჩემს წინ დაუვიწყარი  
სურათი გადაიშალა.

ბუჩქების ავლით ბილიკზე წინ ნანა მიდიოდა, მარცხენა  
მხარეზე გადაგდებული გრძელი ტყავი კოჭებამდე სწვდებო-  
და. მარჯვენა მხარი და მკლავები შიშველი ჰქონდა. მარცხენა  
ხელით ტყავის ორივე ბოლო და ცნობილი მშვილდ-ისარი  
ეჭირა. თეთრი ბეწვის ქული ეხურა და ფეხებზე თეთრპირიან-  
ი დიდი სანდლები ეცვა. იგი აუჩქარებლად მიდიოდა. უკან  
კუანიპი მიჰყვებოდა, რომელსაც მამის მსგავსად ეცვა, მხო-  
ლოდ ტყავი ორივე მხარეზე ჰქონდა გადადებული. ორივე ხე-  
ლით ეჭირა მისი ბოლოები და ამავე დროს პატარა მშვილდი  
და ისარი მიჰქონდა. თავზე არ ეხურა და ფეხშიშველა იყო.  
რა თქმა უნდა, ავადმყოფობის შემდეგ იგი ჯერ კიდევ სუსტად  
იყო, მაგრამ, რადგან მისმა მამამ ძველი საცხოვრებელი დას-  
ტოვა, ალბათ ასე იყო საჭირო. მე ცხენიდან ჩამოვედი. ნანამ  
დამინახა, შეკითხვას არ დაუცადა და მითხრა:

— ჩვენ მდინარის იქით, სამხრეთისაკენ, დიდი წყლისაკენ  
წავედით. ჩვენ მხოლოდ გუანაკოებს ვესვრით. მაგრამ  
ყველამ იცოდეს, რომ ეს მიწა ჩვენი! მე ჩემი ქოხი დავტოვე  
და დაბრუნება შემიძლია!

იგი ისევ წინ წავიდა. კუანიპმა შემომხედა და გამიღიმა.  
ისინი კიდევ დიდხანს მოჩანდნენ, სანამ ბუჩქნარს მიეფარე-  
ბოდნენ.

სან-სებასტიანის ყურეს სანაპიროს დასავლეთით პატარა  
გორაკებს გასწვრივ ონას ერთი ტომის მეორესთან მისასვლე-  
ლი გზა გასდევდა. აქ ერთ-ერთ ღარტაფზე ისინი ტომის საერ-  
თო დღესასწაულზე იკრიბებოდნენ და უფრო ხშირად დიდ

საჩრდილო ქოხებს აგებდნენ, რომლებშიც ახალგაზრდების კურთხევა ტარდებოდა. უხუცესებისა და შამანების მეთვალყურეობის ქვეშ ახალგაზრდები ფიცს დებდნენ, რომ გვარეულობისა და ტომის კანონებს დაიცავდნენ, სწავლობდნენ სამონადირეო იღეთებს, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ისმენდნენ მოთხრობებს ლეგენდარული გმირობის შესახებ. როდესაც ახალგაზრდა წეს-ჩვეულების ყველა მოთხოვნილებას შეასრულებდა და ქოხს ტოვებდა, მას უკვე დიდად თვლიდნენ.

კუნძულის აღმოსავლეთ სანაპიროზე მოგზაურობის დროს იმ გორაკების მახლობლად გამავალი გზით მეც ხშირად ვსარგებლობდი.

შემოდგომა იდგა, გზაზე დღესასწაულის ადგილისაკენ მრავალი სოფლის ახალგაზრდები და მათი მამები მიდიოდნენ. მე ცალკეულ ჯგუფებს გავუსწარი და მივუახლოვდი გორაკს, რომელსაც ონას ენაზე „შორტ“-ს უწოდებენ — რაც „თეთრი ქვის სულს“ ნიშნავს. გორაკზე მართლაც იღო რამდენიმე თეთრი ქვა, რომელთაც თაყვანს სცემდნენ. უეცრად სროლის ხმა გაისმა. კვამლი ავარდა. წინ მომავალნი ყვირილით დაეცნენ მიწაზე. ჩემი ცხენი ყალყზე შედგა. სანამ მე მოვისაზრებდი რაში იყო საქმე, სროლა განმეორდა. „რისთვის — გამივლვა თავში, — აქ ხომ ფერმა არ არის და ონა ცხვრებზე — თეთრ გუანაკოზე არ ნადირობს?“ მე დეზი ვკარი ცხენს და გორაკზე ავეარდი, სადაც საფარი იყო მოწყობილი. ჩემმა გამოჩენამ ქვებს მოფარებულ ყაჩაღებს თავზარი დასცა. ზოგიერთები წამოხტნენ და გაქცევა დააპირეს, მაგრამ უფროსმა ჩემთვის ძალიან ნაცნობი ხმით, მკვეთრად შესძახა მათ:

— მოემზადეთ, ცეცხლი!

— შესდექით, ჯულიო პოპერ! აი ჩვენ შევხვდით! — მოვასწარი შეყვირება ახალ გასროლამდე.

— ა, ეს თქვენ ხართ, ექიმო! გაიარეთ თქვენი გზით, ხელს ნუ უშლით ჩემს ბიჭებს დამიზნებაში!

პოპერი ჩემთან მოვარდა, ცხენს ალვირში წაატანა ხელი.

— შეჩერდით, არამზადებო! რა დააშავა ამ ხალხმა! — დავუყვირე მე ჯულიოს.

მან ისევე, როგორც წინათ, ტუჩები მოლრიცა:

— ეს თქვენი საქმე არ არის, ხელს ვერ შემიშლით! წაეთრიეთ, სანამ მოთმინებიდან არ გამოვსულვარ!

— გაფრთხილდით, პოპერ!

მე ბოლმა მახრჩობდა და კოლტი ამოვიღე.

— მე თქვენ ცოდვებს არ გაპატიებთ, ან ახლავე დასტოვებთ თქვენი ხროვით ამ გორაკს ანდა... მე მუქარით მოვიმარჯვე იარაღი.

— ექიმო, მე უკვე გითხარით, წაეთრიეთ და ნუ მაშინებთ! აბა, ბიჭებო, ცეცხლი!

გავისროლე. დავინახე, როგორ დაეცა ჯულიო, ცხენს დეზი ვკარი და გორაკიდან ველისაკენ დავეშვი. ტყვიებმა, რომლებიც მე დამადევნეს, მიზანს ვერ მიაღწია.

თორმეტი წელი გავიდა, სანამ ბუენოს-აირესის ციხის კედლებს დავტოვებდი და პატერის დახმარებით კვლავ მოვახერხებდი ცეცხლოვან მიწაზე დაბრუნებას. რას მივალწიე? პოპერის ადგილი სხვამ დაიკავა. თორმეტი წლის მანძილზე მან და მისმა მსგავსებმა ბევრის გაკეთება მოასწრეს. მე დავდიოდი ძველ ადგილებში — ყურეს ნაპირის გასწვრივ, მდინარის ველზე და არსად შემხვედრია ონას თავწვეტიანი ქოხები, ამბობდნენ რომ ისინი კიდევ არიან სადღაც სამხრეთში.

ალაკალუფებს და იამანებს ანადგურებდა ტუბერკულოზი, რომელიც მათ კუნძულებზე ბამბის ქსოვილებთან ერთად მოვიდა, და რომელსაც ცეცხლოვანმიწელებს მისიონერები ახვევდნენ თავს. ეს ქსოვილები არასოდეს შრებოდა და ინდიელები მუდამ გაციებულნი იყვნენ.

ონას განადგურებისა და მათი მიწების დაპყრობის შემდეგ კოლონიტებმა კუნძულებზე შეღწევა დაიწყეს და თოფებმა იქაც დაიჭუხა. ჯერ არ დაწყებულყო, მაგრამ უკვე ახლოს იყო ტრაგედიის უკანასკნელი მოქმედება.

საახალწლო დღესასწაულის შემდეგ, რომლითაც მისიაში ახალი საუკუნის დასაწყისი აღნიშნეს, მალე მე იამანებთან გავემგზავრე. ჩემი მისწრაფება გახდა მომეგროვებინა ცეცხლოვანმიწელების კულტურისა და ცხოველების ამსახველი ნივთები, რათა მომავლისათვის შემომენახა.



როდესაც სამხრეთის ერთ-ერთ კუნძულზე მივედი, დასასრულს უახლოვდებოდა წავეების ჰერის დრო, რომელთა ტყავებს ტანსაცმლის დასამზადებლად იყენებდნენ. წავებს ძაღლების დახმარებით იჭერდნენ. ცეცხლოვანმიწელი წყლიდან თავამოყოფილ მხეცთან ჩუმად მიცურდებოდა და ისარს ესროდა. თუ მხეცი მხოლოდ დაჭრილი იყო, წყალში ძაღლს აგდებდნენ, რომელიც მას კლავდა. წავებზე, თევზებზე ან ფრინველებზე სანადირო ისრებს უფრო მსუბუქი ჯიშის ხეებისაგან აკეთებდნენ, ვიდრე სელაპებზე სანადირო ბარჯისას, ისრის ბუნიკი, როგორც ბარჯი, სელაპის ან ვეშაპის ძვლებისაგან იყო დამზადებული. კბილები მას ცალ მხარეს ჰქონდა, ბარჯს კი ორივე მხარეს.

წავებზე ნადირობა დამთავრდა და სელაპების თავშესაყარის და მოლუსკებით მდიდარი ადგილების ძებნა დაიწყო.

იამანებს დროებითი საცხოვრებლები აქვთ. რადგან მათთვის მართლაც ძნელია ერთ ადგილზე ნიჟარების მდიდარი მარაგის შეგროვება და ილბლიანი თევზჭერის იმედად დარჩენა. ხანგრძლივად მხოლოდ იმ რაიონებში ჩერდებოდნენ, სადაც ნაპირის ციცაბო კლდეებს თავშეფარებული ჩვამები ბუდობდნენ, ჩვამებს ღამით იჭერდნენ. ინდიელი სელაპის სარტყელს შემოიკრავდა და ამხანაგების მხარდაჭერით ქვიდან ქვაზე გადადიოდა, ფრიალოზე ცოცავდა. ბუდეს რომ მიაღწევდა, ფრინველს იჭერდა, თავს კვეთდა და შემდეგ კვერცხებს აგროვებდა. ეს მხოლოდ შედარებით წყნარ ამინდში შეიძლებოდა, რადგან სხვა დროს გამბედავს ქარი უშლიდა ხელს. ჩვამების საჭერად შეჩერების დროს იამანები თივის ზვინივით ქოხებს აგებდნენ, რომლის ჩონჩხსაც ლატანისაგან აკეთებდნენ და ზევიდან სელაპის ტყავს აფარებდნენ. ტყავები იმდენად მძიმე იყო, რომ როდესაც იამანები ხელახლა იწყებდნენ სრუტეებში მოგზაურობას, მათ ორ-სამ ნაჭრად ჰკრიდნენ და ცალკეულ ნავებში ათავსებდნენ.

ერთ კუნძულზე იმ დროს მივედი, როდესაც მეზობელი კუნძულებიდან მისკენ ნავების ფლოტილია მოეშურებოდა. ეს არაჩვეულებრივი სანახაობა იყო. საკვების მცირე მარაგის გამო ერთ რაიონში ორი ან სამი ნავი ერთად იშვიათად ნადი-

რობდა, ხოლო აქ კი კუნძულისაკენ რამდენიმე ათეული ნავი ერთად მოდიოდა.

მეც იქით წავედი, საითაც იამანები მიიჩქაროდნენ.

ნაპირს მივყვებოდი და კონცხისთვის რომ შემომეველო, მაღლა ასვლა დამჭირდა. მწვერვალიდან ნავების მთელი ფლოტილია დავინახე. ისინი ნაპირთან მოგროვდნენ, მონადირეები გადმოვიდნენ და რალაც სიგარის მაგვარ დიდ შავ მასას შემოერთყენენ გარს. ერთი შეხედვით იქ ორასზე მეტი ინდიელი იქნებოდა.

მსურდა გამეგო რაში იყო საქმე და ძირს ჩავედი. რაც უფრო ახლოს მივდიოდი, მით უფრო გარკვევით ჩანდა, რომ ეს მასა ზღვის მიერ ნაპირზე გამოგდებული ვეშაპის ლეში იყო.

იამანები, ისევე, როგორც სხვა ტომები, მარაგს არ იმზადებდნენ, ამდენი ხორცი და ქონი უსარგებლოდ რომ არ დაკარგულიყო, ოჯახი, რომელიც ნაპირზე გამოშიგნული ვეშაპის გვამს მიაგნებდა, სხვებსაც ატყობინებდა. იკრიბებოდა ორასამდე კაცი, ისინი აქ რამდენიმე დღეს რჩებოდნენ, ვიდრე ნადავლს სულ არ შექამდნენ. ასეთი დღეები თავისებურ დღესასწაულად იქცეოდა ხოლმე. როგორც ჩანს, იამანები ახლაც თავის ნადიმზე მიიჩქაროდნენ.

მე მათ მივუახლოვდი; მამაკაცებს შორის, რომლებიც ხორცს ანაწილებდნენ, ჩემი ყურადღება ერთმა ახალგაზრდამ მიიპყრო, დაბალტანიან იამანებს შორის იგი თავისი სიმალლით გამოირჩეოდა და კარგად განვითარებული ფეხები ჰქონდა. იამანებს კი ნავებში ხანგრძლივად ჯდომის შედეგად ფეხები არ უვითარდებათ და მთელი ტანი უმახინჯდებათ; ეს განსაკუთრებით ეტყობათ ქალებს, რომლებსაც ნიჩბებით ხშირი მუშაობის გამო განსაკუთრებით განვითარებული ხელები და ტანის ზედა ნაწილი აქვთ.

ახალგაზრდა კაცი ჩემსკენ შემობრუნდა. იმდენად დიდი იყო ჩემი გაოცება მეხსიერებაში ციხეში გატარებული თორმეტი წლის შემდეგაც შემორჩენილი სახის დანახვისას, რომ მე ხმამალა შევყვირე: „ნანა!“ ახალგაზრდა დაეინებით და-

მაცქერდა, შემდეგ მოძიახლოვდა, თითქოს რაღაცას იგონებ-  
სო და ჩუმად მითხრა:

— ნუ ახსენებთ მის სახელს, იგი ჩვენგან წავიდა.

— მაგრამ შენ ვინ ხარ, ვინ გშვა შენ? მივეცი მას ჩვეუ-  
ლებრივი კითხვა, რომელსაც ინდიელები აძლევენ ყოველ უც-  
ნობს.

მე ქვის შვილი კუანიპი ვარ, — მიპასუხა ახალგაზრდამ და  
გაიღიმა თითქმის იმავე ღიმილით, რომელიც უკანასკნელად  
მის სახეზე ბავშვობაში ვნახე.

შეხვედრა იმდენად ნაღვლიანი იყო, რამდენადაც შემთხ-  
ვევითი და სასიხარულო. გავიგე, რომ ამ კუნძულზე კუანიპი  
და მამამისი კოლონისტების დევნისაგან თავის დაღწევის მი-  
ზნით გაღმოვიდნენ. მამამ მას ნავების გაკეთება შეასწავლა,  
ნანა ხომ დიდი ბელადი იყო. როდესაც კუანიპი მარტო დარჩა  
და მოზარდი გახდა, ცოლად იამანის ქალი შეირთო, თავის-  
თვის ნავი გაიკეთა და უკვე რამდენიმე წელია იმ ხალხთან  
ცხოვრობს, რომელმაც იგი შეიხიზნა. წარსულის სახსოვრად  
მხოლოდ მამის ისარი დარჩა, მაგრამ იგი მას არასოდეს ხმა-  
რობდა. სელაპები მოუქნელი ცხოველებია, ისინი გუანაკოე-  
ბი არ არიან და მათთვის ისრის სროლა საჭირო არ არის. რო-  
დესაც კუანიპმა გაიგო, რომ აქ დიდხანს ვაპირებ დარჩენას,  
სელაპებზე სანადიროდ მიმიწვია. ნადირობა ვეშაპის ხორცის  
გათავების შემდეგ უნდა ჩატარებულყო.

შემდეგ მე არაერთხელ მინახავს, როგორ ნადირობდნენ  
სელაპებზე ნავებიდან, როცა ცხოველს ნიჩბის დატლაშუნე-  
ბით მოიტყუებდნენ, ბარჯით აყენებდნენ ჭრილობას და შემ-  
დეგ ნაპირზე ამოათრევდნენ. ნაპირზე ალყით ნადირობისას  
იამანები სელაპებს ეპარებოდნენ. ცხოველების ნაწილს ფა-  
რას ჩამოაშორებდნენ და ან კეტებით აბრუებდნენ, ან შუბე-  
ბით ხოცავდნენ.

სელაპები, ვეშაპები, დელფინები, მოლუსკები და კიბო-  
რჩხალები, ზღვის ზღარბები და ვარსკვლავები — იამანებისა  
და ალაკულუფების ეს ძირითადი საკვები ოკეანეში მოიპო-  
ვებოდა. ნავები სერავდნენ ოკეანეს ნაპირების გასწვრივ. იგი

მართლაც მდიდარია საკვებით, მაგრამ მის მოსაპოვებლად ხალხია საჭირო. ხალხი კი სად არის?

კუნძულებზე ევროპელების მიერ შემოტანილი დაავადებები, ვეშაპისა და სელაპის გადასამუშავებელი სამრეწველო ბაზების მშენებლობა ონასთან ერთად იამანებისა და ალაკალუფების განადგურება ამცირებდა იმათ რიცხვს, ვისაც ოკეანე საუკუნეების განმავლობაში ასაზრდოებდა. კუანიპი მწუხარებით მიაშობდა, რომ მთელი კუნძულის მოსახლეობას თითქმის მხოლოდ ის იამანები შეადგენენ, რომლებიც ახალი შეხვედრის პირველ დღეს ვეშაპის გვამთან ვნახე.

რა ვიღონო, რომ ცეცხლოვანმიწელები გადავარჩინო? მე ვიცი, რომ ჩემმა პატრმა შეიტანა წინადადება შეექმნათ კუნძულზე ისეთი ზონები, სადაც ევროპელი ვერ შეებდავდა, შემოვლობათ ისინი ეკლიანი მავთულით და ამით იამანებისათვის ძველებურად ცხოვრების პირობები შეექმნათ. მაგრამ რით განსხვავდება ასეთი ნაკრძალი სამხეცისაგან? არ შეიძლება ადამიანების ზოობალის გალიებში ჩასმა, მათ უნდა დავეხმაროთ და თავისი აზრის გამოთქმის საშუალება მივცეთ. აზრის გამოთქმა კი მათ შეუძლიათ.

მე ვუყურებ მათ ნახელავ ბარჯებსა და ისრებს, ნანას მშვილდს, რომელიც კუანიპმა მაჩუქა, დაწნულ კალათებს, კაკანათებს, უბრალო ნიჟარებს, რომლებიც კურკლის მაგივრობას ასრულებენ და ალტაცებაში მოვყავარ არა მხოლოდ მათ ოსტატობას, არამედ გონებასაც.

ალტაცებას მგერიდა როცა ვხედავდი, როგორ მიცურდებოდა დანჯღრეული ნავით ძვლის ბარჯით შეიარაღებული ინდიელი მასიურ სელაპთან და მას ბარჯს სტყორცნიდა. ეს კაცი ზღვის ცხოველთან ბავშვად მოჩანდა, მაგრამ იგი იმარჯვებდა, იგი უფრო ძლიერი იყო, რადგან ხელთ ადამიანის მიერ შექმნილი იარაღი ეპყრა.

ცეცხლოვანი მიწის ტრაგედია ჯერ არ დასრულებულა. ოცდაათი წელი ვებრძოდი და უძლური აღმოვჩიდი შემეჩერებინა ადამიანების ბოროტი განზრახვა. ახლა მხოლოდ ის მამშვიდებს, რომ ცეცხლოვანმიწელების ნივთები, რომლებიც ბუენოს-აირესის, ბერლინის, ლონდონის, ლენინგრადისა და

ზოგიერთი სხვა ქალაქის მუზეუმებში ინახებიან, ხალხის ცხოვრებისა და კულტურის შესახებ მეტყველებენ. ხალხისა, რომელთა შესახებ მხოლოდ სიმართლე დავწერე...

\* \* \*

დროისაგან ოდნავ ფერდაკარგული მოღუნული ტოტი, რომელშიც სელაპის მყესის ლარია გაბმული — ასეთია მუზეუმში დაცული ნანას მშვილდი, და მე სათუთად ვიღებ მას ვიტრინიდან, სადაც იგი ტერა დელ ფუეგოს მკვიდრთა ცხოვრებისა და საქმიანობის ამსახველ პატარა კოლექციასთან ერთად დევს.

დროს უკვე დაუმჩნევია მშვილდზე მსუბუქი ბზარები, როგორც ნაოჭები ადამიანის სახეზე. მე მინდა ყველამ იცოდეს ცეცხლოვან მიწაზე მრავალი წლის უკან მომხდარი მოვლენების და ფაქტების სისწორე. არა! ასეთი ბარათი არ ყოფილა, მაგრამ საქმეები და ადამიანები, რომელთა შესახებაც მოვყევი, იყვნენ. იყვნენ იმ ქვეყნის მკვლევართა ბარათებსა და წიგნებში, ანგარიშებსა და შენიშვნებში, სადაც დიდხანია ჩაქრა უძველეს მკვიდრთა კოცონები. მე არაფერი დამიმატებია ჩემი მხრივ, მხოლოდ თავი მოვუყარე იმ წლების ფაქტებს. მე ვფიქრობდი, რომ ასე უნდა მოვქცეულიყავი და ამის უფლებაც მქონდა.

კუნსტკამერის კოლექციები ინახავენ იმ ხალხის ხსოვნას, რომელიც 1920 წელს გავრცელებულმა შავი ჭირის ეპიდემიამ აღგავა პირისაგან მიწისა. ცეცხლოვანი მიწის მრავალათასიანი მოსახლეობიდან სულ რამდენიმე კაციღა დარჩა. მათ არ უყვართ წარსული სისხლიანი წლების მოგონება, დუხჭირვა ცხოვრებამ ისინი დუმილს მიაჩვია, მაგრამ არაფერი დავიწყებიათ. „იცის კი მსოფლიომ ჩვენს შესახებ?“ — თითქოს გვეკითხებიან მათი ღრმა სევდით აღსავსე თვალები.

## დასკვნის მაგიერ

თვითმყოფი კულტურის მოსპობა და ხალხების განადგურება — ასეთია კოლონიზატორების გზა მსოფლიოს ყველა მხარეში. განსაკუთრებით თავშეკავებულად ისინი დიდი ოკეანეების კუნძულებზე, აფრიკასა და ორივე ამერიკაში იქცეოდნენ. კოლონიზატორები დარტყმას მიმართავდნენ არა მარტო შედარებით მცირერიცხოვან ხალხებისაკენ, როგორც ცეცხლოვანი მიწისა და ჰავის კუნძულების მცხოვრებლები იყვნენ, არამედ ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის მილიონიანი ტომების წინააღმდეგაც.

ხელმძღვანელობდნენ რა სულ სხვა მეთოდებით, ვიდრე ცეცხლოვან მიწაზე, დამპყრობლები იმპერიალისტების კოლონიად ზედიზედ აქცევდნენ ახალ მიწებს, სპობდნენ ჩილის უდიდესი ხალხის, არაუკანების ნაციონალურ კულტურას.

დადგა დრო, რომელზედაც ოცნებობდნენ ჩვენი პლანეტის საუკეთესო ადამიანები, რომლისთვისაც ბრძოლაში, ისინი უყოყმანოდ სწირავდნენ სიცოცხლეს.

ახალ, მთელი მსოფლიოს ხვალისდელი დღის, კომუნიზმის საუკუნეში ადამიანები გაცილებით ძლიერნი არიან. მათ, რომლებიც მშვიდობისა და სინათლისათვის, ომისა და ბნელეთის წინააღმდეგ უწმინდეს ბრძოლას ეწევიან, არაფრის დავიწყება არ უნდათ.



ნევის ნაპირას მდებარე მუზეუმის დარბაზებში ჰალალი შავგვრემანი მამაკაცი დადიოდა. მისი მკაცრი სახე მსხვილი ორბისებური ცხვირით, ფართო თვალებით და უკან გადავარცხ-

ნილი შავი თმებით ძალზე ნაცნობი იყო, განსაკუთრებით მაშინ, როცა პირთან ჩიბუხი მიჰქონდა. ეს ის კაცი იყო, რომლის სახელსაც მის ქვეყანაში გამგებლები ზიზღით და მშრომელები სიყვარულით ახსენებდნენ. კანონგარეშე გამოცხადებული და პოლიციის აგენტებს დამალული, იგი არასოდეს ქცეულა დევნილად. ყველა მკაცრი დადგენილების წინააღმდეგ ის დადიოდა თავის ქვეყანაში და მას მშრომელი ხალხი იცავდა. თავშესაფარს პოულობდა ყოველი სამთოელის, მეთევზის, ხის მკრელისა ან გლეხის ქოხში. მისი სახელის ხსენებაზე იღებოდა ყველა სახლის კარები ნებისმიერ დროს.

ის ათვალეირებდა მუზეუმის ექსპონატებს და როცა ცოტა ხნით ჩილას არაუკანების კოლექციებთან შეჩერდა, მომეჩვენა, რომ თვალზე ცრემლი მოადგა. წასვლისას იგი დაიხარა საპატიო სტუმრების წიგნის სუფთა ფურცლებზე და გაკრული ხელით წააწერა:

„საუცხოო მუზეუმია! განსაკუთრებული მღელვარება განვიცადე არაუკანების დევნილი და განადგურებული რასის ნივთების ნახვისას. ნივთებისა, რომელიც შენახული და დაცულია საბჭოთა მეცნიერებისათვის“.

გიძღვნიტ გულწრფელ სალამსა და პატივს!

პაბლო ნერუდა

29.12.54 წ.

## უ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვა  
შესავლის ნაცვლად  
გოტორპის გლობუსი  
მარხილი ყინულოვანი სახლიდან  
ლოტოსის ყვავილი  
ფრინველის ბუმბულის მოსასხამი  
ელჩის ავგაროზი  
ცეცხლოვანი მიწის ტრაგედია  
დასკენის მაგიერ

---

რედაქტორი გ. კუბლაშვილი  
მხატვარი თ. კარბელაშვილი  
მხატვრული რედაქტორი დ. დუნდუა  
ტექნიკური რედაქტორი ლ. პაპკორია  
კორექტორი ო. ცინცაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/VI—65 წ.  
ჭ.ლ. ზომა 84×108<sup>1</sup>/<sub>32</sub>. ნაბეჭდი თაბახი 7,18.  
საალრ.-საგამომც. თაბახი 6,16.  
ტირაჟი 10 000. შეკვ. № 338.

ფასი 22 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“  
თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

---

Типография № 4, Тбилиси, Медгородок  
მე-4 სტამბა, თბილისი, მედჯალაქი